

ნოჯისური

ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
მძინარეც ამას ვდუდუნებ
ვაჟა-ფშაველა

ლიტერატურული გაზეთი №36 მირკანი, 2016



**დახრავებულს ჯარსანად, ღმერთო, მომასწარ სამართალს,
ისეთ გამართულ ქვეყანას, გლეხი რომ გუთანს გამართავს!**



თამარს ვაქებდეთ მეფესა!

„მოცურავს ზღვაში ხომალდი,
რა დიდებული რამ არი!
ზღვის პირით დარუბანდამდე
დგას მშვენიერი თამარი!“

გალაკტიონი

დიდი თამარი

ქალო, ქართველთა სულის დგმავ,
ქალო, ქართველთა დედაო!
ტყუილად ვამბობთ შენს სიკვიდის,
თამარს ცოცხალსა გხედაო.
რუსთველის ენას ჩვეულო,
მეც ქებას გაგიბედაო.
როს ვგრძნობ, იმისებრ ვერ ვმღერი,
რად არ ვწუმდები ნეტაო?!
არ მოგეწონოს, იქნება,
სქევა: „რისთვის ითავებდაო,
მონად აღზრდილმა მოლექსემ
სალამი გამიბედაო?!
შენ თვალთ სხივებმა ამაგზნო,
დამათრო, ამაყებდაო.
საუნჯევ სათნოებისა,
ჩემიც მიიღე ქებაო,
ვინმე სანყალის ფშავლისა
ცრემლი აღარა შრებაო.
თამარის სალოცავშია
მოსჩანს ფშავლების კრებაო,
შენთვის მსხვერპლისა შეწირვით
ქალ-ვაჟი ვერა ძღებაო,
შენთვის დაკლულის ცხვარ-ძროხის
დიდი ჩახტები დგებაო,
გულში გვინთისხარ ლამპრადა,
ნათობს და არა ქრებაო.
შენს და შოთაის მარჯვენას
ვემთხვიე ზედი-ზედაო,
შენა ხარ ერის სიცოცხლე,
თავი არ მომიკვდებაო!
მონყალედ გვექმენ ქართველთა,
ჩვენო ლამაზო დედაო!

ვაჟა-ფშაველა

ამას მკარნახობს ფიქრიც, შეგნებაც

ამას მკარნახობს ფიქრიც, შეგნებაც,
სამყარო ცეცხლში თუ დაინთქმება,
სიცოცხლეს აზრი მაინც ექნება,
თუ საქართველო კიდევ იქნება!
გულწრფელად ვამბობ სათქმელს,
გულლიად,
დე, მკრეხელობად ნუ აღიქმება:
სხვა ყველაფერი წყალს წაუღია,
თუ საქართველო აღარ იქნება!

გრიგოლ აბაშიძე

ჩვენი ჯიში და ჯილაგი

სულის და სისხლის ყვილი მოგვეყვება ჩვენ იმთავითვე;
რომ არ გვეყოლოდა ვახტანგი, არ იქნებოდა დავითი.
დღესაც რომ გვადიდგულებს და ვართ ამაყი და თამამი,
ვინ ამხნევებდა ქეთევანს, თუ არა სისხლი თამარის.
დღესაც რომ ვუმზერთ იმედით,

დღესაც რომ რწმენით ვიგონებთ,
ვინ აქეზებდა ბასიანს, თუ არა სული დიდგორის.
დღესაც რომ ებრძვის ბაღვაშებს, ფარნავაზ-ქუჯის მაღლია,
კობტაგორაზე მათი ხმა გულს უმაგრებდა დადიანს.
არ დაგვრჩენია არც ომი, არც ლხინი გადაუხდელი,
რომ არა ენა ქართული, არ იქნებოდა რუსთველი.
რომ არა სვეტიცხოველი, არ იქნებოდა სიონი,
არცაღა ურუსთაველოდ — ვაჟა და გალაკტიონი.
არ ივინყებდა სამშობლო არც არავის და არაფერს,
ის ცხრა ძმა ხერხეულიძე წვრთნიდა იმ სამას არაგველს.
ვაჟკაცებს სანთლებს ფუნთებდით,

მაგრამ იმედს არ ვმარხავდით,
რომ არ გვეყოლოდა პაატა, ვერც თევდორე ბერს ვნახავდით.
კრწანისთან თუკი დავდუმდით, კოჯორთან კვლავ ავხმინდით,
რომ არ გვეყოლოდა ილია, არ იქნებოდა ზვიადი.
როდესაც მერაბს ეჭირა სამშობლოს დროშა გაშლილი,
ძარღვებში სისხლი უჩქეფდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის.
ქართველი გოგო-ბიჭები ჯალათმა რომ არ დაინდო,
იმ ცხრა აპრილის კოცონი ცხრა მარტის ცეცხლით აინთო.
გულიდან გულში იღვრება, სისხლიდან სისხლში გადადის,
სული შოთას და დავითის, დიდგორისა და მარაბდის.
ასე ვიყავით, ამ რწმენით მივალთ სამარის კარამდე,
ქვეყნისთვის ვიხარჯებოდით, სიცოცხლეს არ ვიპარავდით.
ასე ვიყავით, ასე ვართ, ასე დავრჩებით ბოლომდე,
ისევე გულდაგულ დავხვდებით სიკეთეს და სიბოროტეს.
ჩვენი ჯიში და ჯილაგი, გვეჯერა, არ გადაგვარდება,
გამარჯვებული სამშობლო ლაშარის გორზე დადგება!

ნოდარ ჯალაღონია

850 წლის წინ (1166) დაიბადა თამარ მეფე — საქართველოს ისტორიაში ყველაზე პოპულარული გვირგვინოსანი. თამარ მეფეს ასე მოიხსენიებდნენ მეისტორიეინი: „მეფეთ-მეფე და დედოფალთა დედოფალი აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შირვანშა და შაჰანშა და მბრძანებელი ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, დიდება ამა სამყაროსა და სარწმუნოებისა, მესიის მოვლენილი.“

განთქმული ლეგენდარული სიმშვენიერით, უზუნაესი სიბრძნითა და უსპეტაკესი ზნეობით.

მამამ, გიორგი III-მ, თანამოსაყდრედ დაისვა 1178 წელს, ხოლო ერთპიროვნულ ხელმწიფედ, „მეფეთ-მეფის“ ტიტულით, შეიქნა იგი 1184 წელს.

თამარის მეფობის დროს ქართველებმა გარეუბ მტრებთან ყველაზე ძლიერად მოხერხებულ ბრძოლები გადაიხადეს:

- 1184 წ. — არანს, გელაქუნს, კლარჯეთსა და შავეთს;
- 1185 წ. — კარს, კარნიფორასა და ბასიანს;
- 1186 წ. — დვინს;
- 1187 წ. — პართიასა და განძას;
- 1189 წ. — ტაოს;
- 1193 წ. — ბარდავს, არზრუმს, გელაქუნსა და არაქსის ხეობას;
- 1195 წ. — შამქორსა და განძას;
- 1196 წ. — ამბერდს;
- 1202 წ. — განძასა და დვინს;
- 1203 წ. — ხლათს, კარს, ლაზიკა-პონტოსა და ბასიანს;
- 1208 წ. — არჭემს; არდაველს;
- 1209 წ. — სპარსეთს.

თამარის დროს საქართველოს საზღვრები: გაინია ჩრდილოეთით — ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, სამხრეთით — სინოპიდან არდაველამდე. საქართველოს საზღვრებში შედიოდნენ: საკუთრივ საქართველო, სომხეთი, შირვანი, აღარბადა-განი, ტრაპეზუნტის საკეისრო. არზრუმის საამირო, ერზინკის საამირო, ხლათის სასულტნო, განძის სასულტნო (არანი), ქაშაგეთი (ჩერქეზეთი), ოვსეთი, დურძუკეთი, ლუნძეთი ლეკეთი. თამარის მეფობა საქართველოს ისტორიაში ინათლება როგორც „ოქროს ხანა.“

თამარ მეფის გარდაცვალების თარიღად ძველი წყაროები 1207 წლის 27 იანვარს ასახელებენ.

ქართველი ისტორიკოსები კი მიიჩნევენ, რომ თამარი 1210 ან 1213 წელს გარდაიცვალა. თამარი ჯერ მცხეთაში (სვეტიცხოველში) მისთვის განკუთვნილ აკლდამაში დაკრძალეს, ხოლო მოგვიანებით გელათში გადაასვენეს...

ერისკაცი 77 წლისაა!



... თავისუფლების შენ ნერგი დარგე,
სხვამ არ აცალა წელში გამართვა!..

* * *

თუ არ მზაკვრობა და უგუნურობა, გონიერება და სიმართლე იმას ვერ იტყვის, რომ მეგრელები ქართველები არ იყონ და, მეგრულიც ძირითადი ქართული!

აბა, თუ ვინმე იმას იტყვის, რომ მეგრელებს ან სიტყვით ან საქმით მოეცეთ რამ საბუთი, რომ ჩვენ ვსთქვათ: ისინი აღარ ქართველობენო! პირიქით... ქართველობა დღეს იმათ უფრო ეტყობათ: ჩვენს საზოგადო საქმეებში მეტ მონაწილეობას ისინი იღებენ.

მეგრული დღეს საღაროა ნამდვილი ქართული სიტყვების. აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-სპარსულ-თათრული შემოუღია, რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხილება და გულსა სწყინს... და მეგრულ ენაში კი შენახულან ობოლ მარგალიტებივით ის ძველი სიტყვები. ჩვენ ვურჩევთ ჩვენს მწერლებ-მწიგნობრებს მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილ სიტყვებით შეივსონ დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი. ეს ხომ ასეა, ეს ყველამ ვიცით.

აკაკი წერეთელი

ჩვენი საუნჯე



სვეტიცხოველი — ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების უბრწყინვალესი ძეგლი — მოხატული და ჩუქურთმებით დამშვენებული. აგებულია XI საუკუნის პირველ მესამედში (1010-1029) ხუროთმოძღვარ არსაკიძის მიერ (არქიტექტორი კათალიკოსი მელქისედეკი). 1994 წლიდან სვეტიცხოველი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი.

იუბილე

საკუთარი თავისადმი მომთხოვნი მეცნიერი პრინციპული იყო სხვების მიმართაც...

შოთა მესხია თავისი მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობების უმნიშვნელოდ შესრულებასთან ერთად...

მისი მეთვალყურეობით შეიქმნა საქართველოს ისტორიის სიტყვანი; ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის პირველი ტომის ბევრი მასალა...

შოთა მესხიამ ჩვენი ისტორიის კორიფეს ივანე ჯავახიშვილისა და მისი სახელოვანი მოწაფეების — სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის გარდაცვალების შემდეგ...

... რაც დრო მიდის, მით უფრო მკვეთრად წარმოისახება სამეცნიერო საზოგადოებრიობის და ხალხის წინაშე შ. მესხიას, როგორც მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, ღირსეული მოქალაქის ნათელი სახე.

როინ მატრაქელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი.



პირველ რიგში, მარცხნიდან: შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი; მეორე რიგში: აკაკი ურუშაძე, შოთა მესხია, სერგო ჯორბენაძე, ლეო გორგილაძე.

მაისის ბოლოს დავბრუნდი ერაყიდან, მოსკოვში ცოლ-შვილი დამხვდა, მაგრამ შოთას ამბავი არ გამიხილეს. მეორე დღეს სასტუმროში ერთ ქართველ კაცთან საუბარში შევიტყვე, რომ შოთა ამქვეყნად აღარ იყო...

ოთარ ჯაფარიძე, 1972

უალრესად შინაარსიანი იყო შოთა მესხიას სამეცნიერო მოღვაწეობა, სტუდენტობის ხანიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მან თავისი ძლიერი ნებისყოფა, მაღალი ნიჭი და თავდადება საქართველოს საისტორიო მეცნიერების პრობლემის შესწავლას შეაღწია.

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას საუკეთესო მოწაფეს, ჩვენი ისტორიოგრაფიის კორიფეების — ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის გარდაცვალების შემდეგ დაეკისრა საქართველოს ისტორიის სამეცნიერო დარგის მეთაურობა და ხელმძღვანელობა. იგი დაუღალავად, თავგანწირვით და წარმატებით უძღვებოდა ამ დიდ საქმეს, რაზმავდა ისტორიკოსებს ისტორიის საკვანძო პრობლემების შესასწავლად.

მისგან დიდად დავალბულია არა მარტო საქართველოს ისტორია, არამედ არქეოლოგია, ეთნოგრაფია და სხვა საისტორიო დისციპლინები. მას ემარჯვებოდა საისტორიო მოვლენებში ღრმად ჩანვდომა, ისევე როგორც მოვლენების ანალიზი და განზოგადება. მის მიერ შესწავლილი საისტორიო პრობლემები სცილდებიან ვიწრო ფარგლებს და საერთო საისტორიო ჟღერადობას იღებენ. ამის ნათელსაყოფად საკმარისია დავესახელოთ მისი მონოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე საქართველოს ფეოდალური ქალაქების შესახებ, რომლებმაც საერთო აღიარება ჰპოვა და სახელმძღვანელო წიგნად იქცა.

შოთა მესხიამ დიდი ამაგი დასდო საქართველოს ისტორიის რვატომეული საქართველოს ისტორიის ყველაზე რთული პერიოდის X-XII საუკუნეების ისტორიის დაწერა. მან ესეც ბრწყინვალედ შეასრულა.

შოთა მესხიამ დიდი ამაგი დასდო საქართველოს საისტორიო საზოგადოებას, რომლის უცვლელი ვიცე-პრეზიდენტიც თავად იყო და რომლის ხელმძღვანელობას ბევრ დროს ანდომებდა.

მე ყოველთვის მაკვირვებდა და მსიბლავდა მისი მინაგანი კულტურა, რომელიც განუმეორებლად მესახება.

გიორგი ჩიტაია, აკადემიკოსი, 1972

აკადემიკოსების ივ. ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის ქართული საისტორიო სკოლის ღირსეული მემკვიდრისა და გამგრძელებლის საქ. მეცნიერე-

ბათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის შოთა მესხიას სახელი სამარადისო სათაყვანებლად აღიბეჭდება ჩემს გულში...

მისი გასაოცარი სითბო, არაჩვეულებრივი სიყვარული სტუდენტ-ახალგაზრდობისადმი, სალექციო აუდიტორიის კარის გაღებიდან იწყებოდა. ეს განსაკუთრებული, კოლხური სილამაზის მქონე, დარბაისეული, ტანანყობილი, თამში ოდნავ ჭალარა გამოჩენილი მაღალ-მაღალი კაცი ისე შემოაღებდა კარს, რომ შეუძლებელი იყო სტუდენტს მისდამი უსაზღვრო რიდი და პატივისცემა არ გასჩენოდა. მისი ლექცია იყო ფანჯარა წარსულისაკენ და ხიდი მომავლისაკენ.

ბატონ შოთას დამახასიათებელი თვისება იყო უანგარო დახმარება ადამიანებისადმი. იგი გამორჩეული ყურადღებას უთმობდა საქართველოს მთის რაიონებიდან ჩამოსულ სტუდენტობას.

მასსოვს, მე და, ამაჟამად ცნობილი პოეტი ზაურ მოლაშხია, მაშინ, დაუსწრებლიდან ისტორიის ფაკულტეტის დასწრებით სწავლების მეორე კურსზე გადავიდოდით. განცხადება ერთად შევიტანეთ ბატონ შოთასთან... ოჯახური მდგომარეობა იკითხა... საქმე დადებითად გადაგინწყვიდა და თან დაგვმომღერა: „გახსოვდეთ, ისე უნდა ისწავლოთ, როგორც ეს ჩვენს უნივერსიტეტს და თქვენს მშობლებს ეკადრებათ.“ ეს სიტყვები ისეთნაირად იყო ნათქვამი, რომ ჩვენი შემდგომი მოქმედების საფუძვლად იქცნენ.

მაშინდელ პირობებში ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლად დარჩენა ძნელი საქმე იყო. ცოდნის გარდა „კაცი“ უნდა გყოლოდა, რომ ასპირანტი გამხდარიყავი. მე არ მყავდა ასეთი „კაცი“, მაგრამ იყო სამართლიანი და ობიექტური კაცური კაცი ბატონი შოთა მესხია, რომლის წყალობითაც მე ასპირანტი გავხდი.

... და რამდენს ახსოვს ბატონ შოთას ასეთი უანგარობა, კაცურკაცობა, სიკეთე...


დაიხ! არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ნაღვანითა და ნამოქმედარით, ფიზიკურ არყოფნაშიც აგრძელებენ მუდმივ სიცოცხლეს, ერთ-ერთი იმ რჩეულთაგანია შოთა მესხია!

არჩილ გელოვანი, დოცენტი.

შოთა მესხიას მეცნიერული შრომები, რომლებიც საქართველოს ისტორიის სხვადასხვა სფეროს ავტორისათვის დამახასიათებელი სიღრმითა და გონებამახვილობით განიხილავენ, გვრჩებოან იმის იმედად და წინანდრად, რომ ბატონი შოთა ისევე ჩვენთან არის, ჩვენი შორის იმყოფება და ჩვენთან ერთად იბრძვის მშობელი ხალხის, მისი ისტორიისა და კულტურის ხვალისდელი დღისთვის.

აგერ გუშინ არ იყო, „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე რომ გამო-

შოთა მესხია — 100



შოთა მესხიას საფლავი დიდუბის პანთეონში

100 წელი სრულდება დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის შოთა ამბაკოს ძე მესხიას დაბადებიდან.

შოთა მესხია დაიბადა 1916 წლის 27 აპრილს წალენჯიხის რაიონის (მაშინდელი ზუგდიდის მაზრა) სოფელ თოხუჯში, გლეხის ოჯახში. დედა — ლიდა შენგელია ლეო ქიაჩელიის ახლო ნათესავი იყო.

1917 წელს ოჯახი გაგიდაში გადავიდა საცხოვრებლად, ხოლო 1920 წელს ზუგდიდში.

1923-1930 წლებში შოთა მესხია სწავლობდა ზუგდიდის არასრულ საშუალო სკოლაში. 1931-1933 წლებში სწავლობდა ზუგდიდის სატყეო სასწავლებელში.

1933-1937 წლებში შოთა მესხია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე სწავლობდა. მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ასპირანტურა 1941 წელს დაასრულა. საკანდიდატო დისერტაციაც დამთავრების სტადიაში იყო, მაგრამ სამამულო ომის დაწყებამ შეაფერხა.

შოთა მესხია იბრძოდა ჩრდილო კავკასიის ფრონტზე, მონაწილეობდა ანაპის ბრძოლებში. დაჯილდოვდა II ხარისხის ორდენით და მედლით „კავკასიის დაცვისათვის.“ 1942 წელს დაიჭრა, მკურნალობის შემდეგ ჩამოვიდა საქართველოში და მეცნიერული კვლევა გააგრძელა.

1942 წლის 15 დეკემბერს შოთა მესხიამ დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ხელისნობა ძველ საქართველოში V-XII ს.ს.“ მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

1943 წლიდან ის მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე უფროს მასწავლებლად. 1945 წლიდან კათედრის დოცენტი.

1951 წელს მიაღწინეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დოქტორანტურაში, რომელიც 1953 წელს დაასრულა. 1955 წელს მან მოსკოვში წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ფეოდალური საქართველოს ქალაქები და საქალაქო წყობილება“, რისთვისაც მიენი-

ჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის წოდება. 1957 წელს შ. მესხიას პროფესორის წოდება მიენიჭა. 1961 წელს იგი ინიშნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანად.

1967 წელს შ. მესხიას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იმავე წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1971 წელს გერმანელ მეცნიერთა მიწვევით შ. მესხიამ იმოგზაურა გდრ-ში, სადაც მილერის სახელობის ეინის უნივერსიტეტში ლექციები წაიკითხა საქართველოს ისტორიის შესახებ. შემდეგ ეს ლექციები გერმანიაში გამოიცა ცალკე წიგნად.

შოთა მესხია გარდაიცვალა 1972 წლის მაისში. დაკრძალულია თბილისში, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ამონარიდები თვალსაჩინო მოღვაწეთა გამოქვეყნებული წერილებიდან — დიდი მეცნიერის შესახებ

ჩემს მახსოვრობაში ერთ-ორ კაცზე თუ გამიგონია ასეთი ერთობლივი და უტყუარი: — რა კაი კაცი იყო!

საქართველო ნაადრევად დასტოვა მისმა ერთგულმა და პირუთვნელმა მემატიანემ.

შოთა მესხია, ჭეშმარიტად, ივანე ჯავახიშვილის „გორისა“ იყო. ივანესავით საქართველოს წარსულით ჰქონდა სული განათებული.

ჩვენდა სავალალოდ, შოთას არ დასცალდა მთელი თავისი ნიჭისა და ენერჯის სამშობლოს საკურთხეველზე მიტანა.

მიუხედავად ამისა, რაც მან საქართველოს ისტორიის დარგში გააკეთა, — სავსებით საკმარისია მისი უმნიშვნელო სახელის უკვდავსაყოფად.

შესანიშნავი ისტორიკოსი, შესანიშნავი პედაგოგი, შესანიშნავი მოქალაქე, შესანიშნავი მეგობარი! — აი, როგორი იყო შოთა მესხია! ვაი, რომ „იყო!“

მუხრან მაჭავარიანი, 1972

1972 წლის თებერვალში ერაყში მივდიოდი არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. ნასვლის წინა დღეს შოთა და მე ერთად ნამოვედით აკადემიიდან და მაშინდელ ლენინის მოედანზე, ბავშვთა სამყაროში შევედით შვილიშვილებისათვის საჩუქრების საყიდლად. შოთამ თავის საყვარელ შვილიშვილს — სანდროს დიდი ორთქმავალი უყიდა. მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ ეს ჩემი და შოთას უკანასკნელი შეხვედრა იქნებოდა...

2

აქვეყნა მან თავისი უაღრესად მნიშვნელოვანი წერილი „საცნობად თავისად?“ საქმის ღრმა ცოდნით და ნამდვილი მამულშიველი სულისკვეთებით დაწერილი ეს წერილი თანამედროვე ქართულ საშუალო სკოლაში საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხს შეეხებოდა და მეტად და მეტად პრინციპულ მოსაზრებებს შეიცავდა. რა საწყენია, რომ მეცნიერი ვერ მოესწრო მის მიერ წამოჭრილი პრობლემების ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრას! იმედი უნდა ვიქონიოთ, თავიანთი ღვაწლმოსილი მასწავლებლის გზას ღირსეულად გააგრძელებენ ქართველ ისტორიკოსთა ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები და ფრთხილ შეასხამენ ჩვენგან ასე უდროოდ წასული მეცნიერის არაერთ იდეას.

რევაზ ჯაფარიძე. 1972.

* * *

ერთხელ პროფესორი გამომცემლობა „ნაკადულს“ წვია. თან ახლდა ორი ახალგაზრდა, რომელთა ნაშრომების გამოქვეყნება დაბეჯითებით გვთხოვა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი თავისი სტუდენტების ნაშრომის ცალკე წიგნად გამოცემას გვიჩვენებდა. რა თქმა უნდა, ვენდეთ ამ რჩევას და ნაშრომს გამოვეცით. წიგნის გამოცემამ ძალიან გაახარა მასწავლებელი. ასეთი სიხარული მხოლოდ ჭეშმარიტ პედაგოგებს ძალუძთ, მხოლოდ კეთილშობილი ადამიანებს, რომელთაც ნიჭიერი ახალგაზრდებისათვის გზის გაკვლევა პირად შემოქმედებით გამარჯვებულ მიაჩნიათ.

ეს შემთხვევა მოვიგონე, როგორც დამახასიათებელი შოთა მესხიას პიროვნებისა.

პროფესორი შოთა მესხია მეცნიერის, მასწავლებლის, მოქალაქის სრულყოფილი ნიმუში გახლდათ. მზრუნველობა და გულსხმიერება ადამიანის მიმართ ძველრობაში ჰქონდა გამჯდარი. ბევრს, ძალიან ბევრს, ვისაც მეხსიერება და მადლიერების გრძნობა აქვს, არ დაავიწყდება მისი ამაგი.

სხვათათვის შრომა და ენერჯის დახარჯვა კი არ ანუხებდა, პირიქით: აბედნიერებდა და ახალისებდა. ამიტომ იყო, რომ მასთან თამამად მიდიოდნენ უცნობი ადამიანებიც, რომელთაც რაიმე უჭირდათ; მიდიოდნენ, რადგანაც იმედოვნებდნენ, რომ იგი ღირსეულთათვის გარჯას დროის დაკარგვად არ თვლიდა.

იოლად არაფერი მიუღია: არც სახელი და არც დიდება. ნალენჯის რაიონის სოფელ ობუჯში, ღარიბ გლეხის ოჯახში დაბადებული და თბილისის უნივერსიტეტის კედლებში აღზრდილი, გასაოცარი შრომისმოყვარეობისა და დიდი მეცნიერული ნიჭის წყალობით მიიწვედა წინ.

მეცნიერმა დიდი წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკვანძო საკითხების შესწავლაში და დამუშავებაში. სწორედ ამიტომ იგი — სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის ღირსეული მოწაფე — სამართლიანად შევიდა ქართველ ისტორიკოსთა შესანიშნავ თანავარსკვლავედში, რომელსაც შარავანდედად ადგას უკვდავი სახელი ივანე ჯავახიშვილისა.

სიცოცხლეში ვერ მოასწრო ქართველი მესტამბეებისათვის ჩაებარებინა თავისი უკანასკნელი წიგნი — თამარის ეპოქის საქართველოს სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი გამოკვლევა. 700 გვერდი, მანქანაზე გადაბეჭდილი და მისთვის ჩვეული სიფაქიზით დახვეწილ-ჩასწორებული, დევს ძვირფასი მეგობრის დაობლებულ სანერ მაგიდაზე...

შოთა მესხიას ბიოგრაფიას შელამაზება არ სჭირდება: მთელმა ქართველმა ხალხმა იცის, რომ იგი იყო არა მარტო დიდი მეცნიერი და პედაგოგი, არამედ მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე, მხურვალე პატრიოტი, სათნო და კეთილშობილი ადამიანი.

ჩვენს ხალხს არასოდეს დაავიწყდება, რომ შოთა მესხიამ, თავის ერთ-ერთ მეგობართან ერთად, ქართველ ბავშვებს შეუქმნა საქართველოს ისტორიის მშვენიერი სახელმძღვანელო. მრავალი თაობა ამ წიგნით შეისწავლის მშობელი ერის გმირულ ისტორიას.

მისი სახელი უკვდავია, ვითარცა საქმე მისი!

ხუტა ბერულავა. 1972.

შოთა მესხიას სსოვნას

რა ნაღვლიანი, რა მწუხარე დაგვიდგა ჟამი, დაგებულ სათქმელს ვით ამოთქვამს გული ბინარი! მიმოვიხედავ, დადის ხალხი, წამს მისდევს წამი, გულში ცეცხლია უშრეტელი და უჩინარი.

ბჟუტავდა რწმენა გადარჩენის და, მეგონა, რომ იყო სიზმარი — უამური და გამოთშველი... კეთილო კაცო, გულმართალო და მეგობარო, ო, რა მკაცრია სინამდვილე, რა საშინელი!

უწუმრად ვგლოვობ, ჩემთვის ვწუხვარ და ვენვალები... ვაი, თან მიგაქვს დიდი აზრი გაუშხელებელი.

თამარის ფრესკას აქვერ ნახავს შენი თვალები, ვერ მოხვდება, ალექსანდრეს ბაბუს ხელები. როგორ გიყვარდა ყველაფერი, როგორ გიყვარდა! ყველა დაგვტოვე და ნახვედი გულდანწყვეტილი...

ო, ის სიკეთე, გულმართლობა სად დაიკარგა, რად ვერ აღუდგა იმ წვალეზას საქმე კეთილი?... რა ნაღვლიანი, რა მწუხარე დაგვიდგა ჟამი, დაგებულ სათქმელს ვით ამოთქვამს გული ბინარი!

მიმოვიხედავ, დადის ხალხი, წამს მისდევს წამი, გულში ცეცხლია უშრეტელი და უჩინარი.

ზაურ მოლაშხია. 1972

შოთა მესხია

ქართველ კორიფე მეცნიერთა რიგებს, 1972 წელს, უდროოდ, 56 წლის ასაკში გამოაკლდა შოთა ამბაკოს ძე მესხია. იგი ეკუთვნოდა საყოველთაოდ აღიარებული აკადემიკოსების — ივანე ჯავახიშვილის, ნიკოლოზ ბერძენიშვილის, სიმონ ჯანაშიას სკოლის მონაწილეთა რიგებს. მან თავისი ღვაწლ-ამაგი, ფასდაუდებო ტალანტური შრომით ასახელა კიდევ სკოლა.

სიკვდილის წინ, ხუთ ათეულ წელს ოდნავ გადაცილებული მეცნიერი უკვე იყო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. იგი 1956 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეა, ამავე ფაკულტეტის დეკანი, თავმჯდომარეობდა უნივერსიტეტის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს, იყო არაერთი სამეცნიერო საბჭოს წევრიც. თავმჯდომარეობდა საქართველოს განათლების სამინისტროსთან არსებულ ისტორიის მეთოდურ საბჭოს ქართული ენციკლოპედიის სპეციალური სამეცნიერო რედაქციის საქართველოს ისტორიის მეთოდურ საბჭოსა და სხვა.

საყოველთაოდ აღიარებული, რომ შოთა მესხიას სახელთანა დაკავშირებული ქართველი ხალხის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკვანძო საკითხების შესწავლა და დამუშავება, როგორცაა: ფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება, ქალაქები და საქალაქო წყობილება ფეოდალურ საქართველოში, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია, ქართული წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია, საქართველოს ისტორიის სწავლების მეთოდიკა და სხვა. მისმა ნაშრომებმა დიდი წვლილი შეიტანა ფეოდალური საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური წყობილების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის და სხვა საკითხების შესწავლაში.

შოთა მესხიას კალამს ეკუთვნის ცნობილი ნარკვევები ერის დიდ ისტორიკოსებზე. სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა აკადემიკოს ს. ჯანაშიას ცხოვრებასა და მეცნიერულ მოღვაწეობას. ვრცელი გამოკვლევა კი დიდგორის ბრძოლაზე, უკანასკნელ ხანებში ინტენსიურად და ნაყოფიერად მუშაობდა თამარის ეპოქის საქართველოს სახელმწიფოებრივ და პოლიტიკური ისტორიის საკვანძო საკითხებზე. იგი იყო საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს ერთ-ერთი თანაავტორი.

შოთა მესხია იყო გულისხმიერი პედაგოგი, ახალგაზრდობის ღირსეული

აღმზრდელი. მისი ხელმძღვანელობით და მზრუნველობით აღიზარდა არაერთი სპეციალისტი, რომელთაცაც ბევრი წარმატებით მოღვაწეობს ქართული ისტორიოგრაფიის სარბიელზე.

რაოდენ საამაყოა, რომ ერის ესოდენ საჩქებო მეცნიერი, მისი ისტორიის მოამაგე, დიდი ივანე ჯავახიშვილის კვალზე მავალი, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილისა უნივერსიტეტო ჩირაღდანიტ გზავაცისკროვნებული, მათ ნააზრევთა კიდევ უფრო წინ წამწევი მეცნიერია. შოთა მესხია ჩვენი თანამემამულეა, იგი სოფელ ობუჯში დაიბადა და როგორც იგონებდა — ბაბუა ანდრია შენგელაიას ოჯახში გაატარა თავისი ბავშვობა, ლეო ქაჩელია (შენგელაიას) და ნიკოლოზ შენგელაიას ცნობილ სახათესაოში აიღვა ფეხი.

ამ დიდ თანამემამულესთან შეხვედრა და გაცნობა მომინია მისი სამეცნიერო მოღვაწეობის გარიჟრაჟზე. მასსოვს, ომის წლებით შენაფერებმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის კურსი, დაუსწრებელი სწავლებით დავხურე. საქართველოს ისტორიაში გამოცდა უნდა ჩამებარებინა დავით გვრიტიშვილისათვის. ეს იყო 1946 წელი. იგი იმუშავდა მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში მოღვაწეობდა. მივედი, შესვლის ნებართვა ვთხოვე და შევედი მის კაბინეტში. ორნი ისხდნენ მაგიდასთან, ერთ-ერთი გამომეცნაურა. ამ ახალგაზრდის მეტად სიმპათიური, კეთილშობილური, მიმზიდველი სახე თითქოს ნანახი მქონდა სადღაც, მაგრამ ვერ გამოვერკვიე, მან სკამი შემომთავაზა, მის პირდაპირ მაგიდასთან და მკითხა, საიდან ვიყავი. როცა ვუპასუხე ნალენჯისიდან-მეთქი, თვალები გაუფართოვდა... საგამოცოდ ფურცელი გამომართვა და მითხრა, რომ ისიც ნალენჯისიდან, ობუჯიდანაა — შოთა მესხია. ეს სახელი სხირად მქონდა განაგონი, მე მაშინ რაიონის განათლების სასკოლო ინსპექტორი ვიყავი და მოვილილი მქონდა ობუჯის სკოლები, განაგონი მქონდა ამ კუთხის სანაქებო შვილებზე.

დავით რაღაც ტექსტით იყო დაკავებული და ჩვენი საუბრისათვის ყურადღება არ მიუქცევია. შოთამ უთხრა — ბატონო დავით, ამ ახალგაზრდას საგამოცოდ ფურცელი აქვს თქვენთან, რადგან არ გცალიათ, თუ შეიძლება, მე გამოვცდო, მაგრამ დავითმა უპასუხა — უკვე მოვიცადე და გვერდით ოთახში გამიყვანა, საკმაოდ სერიოზული კითხვები დამისვა. მე ეს კურსი დიდის მონდომებით და ღრმა ჩახედვით მქონდა დაძლეული. საკუთარ ბიბლიოთეკაში მომეპოვებოდა საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა ქართველი ერის ისტორიაზე, პასუხები მოეწონა, გაუხარდა საკითხებს კიდევ უფრო ჩაულრმავდა, ჩათვლის ნიგნაკი ჩამომართვა, ფრიადი ჩამინერა და მითხრა, საკითხები კარგად იცი, გეტყობა გიყვარს შენი ერის ისტორიაო. როცა ოთახიდან გამოვედი შოთას მიახარა: — ამ ახალგაზრდას თქვენი მეურვეობა არ სჭირდება, დაგიმტკიცა, რომ შენი თანამემამულეა. შოთას მეტად გაუხარდა და მითხრა: ყოჩაღ რომ მასახელე. დერეფანში გამომაცილა, ხელი ჩამომართვა და მითხრა: ვიცნობდეთ, თუ რამეში დაგჭირდე, არ მომირიდო, სალამო გადაეცი ობუჯელებს. მას შემდეგ ჩემს მეხსიერებაში არასდროს წაშლილა ამ კაცის მიმზიდველი სახე, უზომო სიბიძე, თავმდაბლობა.

ხანი გამოსხდა, სამოციანი წლების მიწურულს, უკვე სახელოვანი მეცნიერი ესტუმრა მშობლიურ კუთხეს. მოვისმინეთ მისი დიდებული ლექცია ქართველი ერის ისტორიის მეტად საინტერესო საკითხებზე.

მადლიერმა ადგილობრივმა ინტელიგენციამ საგულდაგულო სუფრაც მოუწყო ერის საამაყო შვილს.

სუფრასთან მის ახლოს ვიჯექი, ძალზე შთაბეჭდილი, მიმზიდველი, გულისხმიერი იყო მისი საუბარი, რითაც აღფრთოვანებულინი დავრჩით.

* * *

მაისი, ეს თვე უმეტესად მზითა და ვარდობის ღაღანიტ გვარტოს ხოლმე, მაგრამ მაისის ის დღე რაც უცნაურად ქუფერი და უსიამო იყო, როცა ჩვენი ნალენჯისელი ინტელიგენციის ცნობიერება დათაღხა შოთა მესხიას გარდაცვალების ცნობამ, მწარე სევდამ მოგვიცვა ამ სანაქებო მეცნიერი-მამულმძველის უდროოდ დაკარგვის გამო, იგი კიდევ უფრო მძაფრად განიცადეს ობუჯელებმა, შენგელაიების საყოველთაოდ აღიარებული გვარის ნაშვილებმა.

გადაწყდა, რაიონის ხელმძღვანელთა წინამძღოლობით ობუჯელთა დელეგაცია წასულიყო სახელოვანი მეცნიერის დაკრძალვაზე თბილისში, ჩაგვეტანა ობუჯის მშობლიური მიწა საფლავზე მოსაბნევადა.

ნალენჯისელების სახელით გამოსათხოვარი სიტყვის წარმოთქმა მე დამეცალა (მაშინ რაიონული გაზეთის რედაქტორად ვმუშაობდი).

ის იყო რაიონის მაშინდელი ერთ-ერთი მესვეურის — ორდენ მესხიას მეთაურობით ნალენჯისელები გამოვეცხადეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ კორპუსში, რომლის ვესტიბულშიც ესვენა განსვენებულის ნეშტი. საპატიო ყარაულში დგებოდნენ სახელოვანი კოლეგამეცნიერები.

სიტყვით გამომსვლელები გამოვიცაბხეს დამკრძალვ კომისიაში, რომელიც იმყოფებოდა უნივერსიტეტის რექტორის კაბინეტში. კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა ზოგ გამომსვლელს უნივერსიტეტის შესავლელ კიბეზე გამართულ ტრიბუნაზე მისცა, ზოგს სასაფლაოზე დიდუბის პანთეონში და ამასთან კატეგორიულად გაგვაფრთხილა, თუ 3 წუთზე მეტს ვილაპარაკებდით, უეჭველად გამოგვითავდა მიკროფონს. ჩემი სიტყვა 7-8 წუთიანი იყო. ვიფიქრე, მშობლიური რაიონის დელეგაციას, იმათ, რომელთაც კურთხეული მინა მოაქვთ, როგორ მიაყენებენ ასეთ შეურაცხყოფას-მეთქი, ჯიუტად გადავწყვიტე, თანხმობის მიუხედავად სიტყვა სრულად წარმოთქვა... ამ დროს რექტორის კაბინეტის დიდი დარბაზის კუთხეში თვალი ვკვიდე უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორს, საყოველთაოდ ცნობილ მეცნიერს ილია ვეკუას, მან ხალხს შემოუარა და გასასვლელ კარებთან შემეგება, როგორც შოთა მესხიას მშობლიური რაიონის წარმომადგენელს, ხელი ჩამომართვა და მითხრა: სიტყვა არ დაამახინჯო, სამი წუთი რას მიქვია, ოღონდ დიდი არ გამოგივიდესო.

დარბაზიდან გამხნივებული გამოვედი. ვესტიბულში, ცხედრის გვერდით, მოშორებულ ამაღლებულ ადგილზე თავი მოვიყარეთ ნალენჯისელებმა, ამ დროს ჩვენს წინამძღოლს ორდენ მესხიას ელაპარაკებოდა ერთი წარმოსადგევი, სიმპათიური ქალი, იგი მომიბრუნდა და პირდაპირ მითხრა: მაჩვენე ის შენი სიტყვის ტექსტი, ერთი გადავხედო. მენწყინა, იგი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლად დავსახე ასე ჯიუტურ რომ მაიმონებდა. ნაწერი გავუნდო, მან გულდასმით გადაათვალიერა და მითხრა ამომეღო ის ადგილი, სადაც მეცნიერს ვუქებდი უდიდეს გულისხმიერებას ახალ მეცნიერთა კადრების აღზრდაში, მათ შორის მშობლიური რაიონიდან — ზოგიერთი აგულისხმებდაც გენამებენო კუთხურობას. როგორც იქვე გავიგე, ეს ქალბატონი თბილისის აღმასკომის ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ნინო ჟვანია იყო.

დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის სასაფლაოზე გათხრილ სამარესთან აღმართათ სახელდახელო ტრიბუნა, სადაც წარმოთქვი სიტყვა, მასში ჩავაქსოვე მშობლიური სიტუბო და სიმძიმელი მისი ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლის გამო. აღვნიშნე, რომ მიუხედავად ამისა, მან მაინც მოიპოვა უკვდავება, მარადის იქნება, მის მიერ შეტანილი განძეული ქართული ისტორიოგრაფიაში...

როცა ტრიბუნიდან ჩამოვედი, ბევრი მსმენელი თვალს იმშობლებდა, შემომეგებნენ ნაცნობ-უცნობნი და ხელს მაგრად მართმევდნენ, მეცნიერის საკადრისი სიტყვა გამოგივიდაო. ვხვდებოდი, რომ ჩემმა სიტყვამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რომლის მიზეზი თავად ბატონი შოთა მესხია იყო, რადგან ბატონი შოთა გახლდათ ამაღლებული, ყველასათვის საყვარელი პიროვნება.

დიდუბის პანთეონის ეზოდან ქუჩაში გამოვედი თუ არა, წინ შემომეგებნა ნინო ჟვანია, მხურვალედ ჩამომართვა ხელი, ძალზე შთაბეჭდილად გამოგივიდაო სიტყვა, ყველას მოეწონათ, მითხრა.

— ქალბატონო ნინო, ეს იმიტომ რომ შოთა მესხია იყო, ყველას მოსაწონი მეცნიერი, მეგობარი, მოქალაქე-მეთქი. მართალი ხარო დამიდებასტურა. შემომთავაზა, რომ მანქანით გამიყვანდა, იმ სახლთან, სადაც გარდაცვლილის ჭირის სუფრა იყო გამართული, მაგრამ მე ჩემს მეგობრებთან ერთად ვარჩიე წასვლა.

სუფრა რამდენიმე მეზობლის სახლში იყო გაშლილი. იქ მოვისმინე შოთა მესხიას კოლეგების: აკადემიკოსების, პროფესორების, ლექტორ-მასწავლებელთა შთამბგონებელი სიტყვები.

შოთა ამბაკოს ძე მესხიას ნაღვანაამაგარი მშობელი ერის ისტორიის ნათელყოფის გზაზე წლითწლობით სულ უფრო იმოსება პატივით და შარავანდედით. უკვდავებაში გადადის მისი ბრძნული

3

კალმის მოსმა, მისი მოყვასისადმი სიყვარული, კეთილშობილური თავმდაბლობა და დიდი ქართველობა.

დიდი ქართველი

ნალენჯიხის, ოზუჯის მკვიდრთა სახელით წარმოთქმული სიტყვა 1972 წელს დიდუბის პანთეონში შოთა მესხიას დაკრძალვისას

ქართველი ერის სასიქადულო, ღვანლ-ნაამგარო დიდო მეცნიერო, შოთა ამბაკოს ძე!

ღრმა მწუხარებით გულდათუთქულნი მოვსულვართ შენი მშობლიური რაიონის ნალენჯიხის, მისი ულამაზესი სოფლის ოზუჯის მკვიდრნი, იმ მინის მკვიდრნი, სადაც დაიბარნა შენი აკვანი, იმ ბუნების პირმშო, სადაც შენი ბავშვობის მოგონებანი დღესაც ჰყვავის და ხარობს.

ცრემლმორეული გეტხოვება სამესხიოს გორაკი, თავს ხრიან მამისეული კვიპაროსები, შენი ნატერფალი ბლახიცი კი თითქოს ცრემლითაა დანაშული და მიწას გაჰკვრივია. კეთილო ბავშვო, ნიჭიერო ბავშვო, მუდამ კაცთსიყვარულით აღსავსე ჭაბუკო და ახლა უკვე მეცნიერების სიბრძნით დატვირთული ჭარმაგო, გულის სიმების თრთოლვით გეხმიახება შენი ოზუჯი, მისი ღვანლნაამგარი, სახელოვანი თაობა, დიდი შვილების შარავანდედით გაცოცხრებულნი ახალი ქართული პროზის ამბადარის ლეო ქიაჩელი, უნიჭიერესი ქართველი კონორეჟისორის ნიკოლოზ შენგელაიას და შენი სოფელი.

ჩვენ ყველამ ვიცით, შენი ძვირფასი მამისა და სახელოვანი დედის ლიდას შემდეგ, სწორედ შენმა დიდმა ბიძამ, დიდმა პიროვნებამ, ლეო ქიაჩელმა ითავა თქვენი აღზრდა. ზუგდიდის სატყეო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძეთ საქართველოს მეცნიერების ტაძარში, სახელმწიფო უნივერსიტეტში. ლეო ქიაჩელი გზრდიდათ ერთადერთ ვაჟიშვილთან, ოთარისთან ერთად, იმ ოთარისთან, რომელსაც წარწერით „შელოს, მეგობარსა და იმედს ოთარ შენგელაიას“ მიუძღვნა დიდმა მწერალმა თავისი ტომეულების მთელი გამოცემა, თქვენც ოთარის კვილა იყავით, ერთად გზრდიდათ და გავაყვაცებდათ ჰუმანიზმის თვალშეუდგამი ამბადარი, ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატი, დიდი პატრიოტი, მისივე ტარიელ გოლუასა და მთისკაცის სულის ადამიანი, კაცმა რომელმაც სამშობლოს დაძახილზე ფაშისტურდოთა შესარკინებლად ერთად გაგაგზავნათ ოთარი და შენ...

... ჩვენმა ქვეყანამ იზეიმა გამარჯვება, თქვენ ნაომარი ვაჟკაცი დაბრუნდით სამამულე ომიდან, მაგრამ ვაი, რომ შენი ძმადნაფიცი ოთარი ფრონტზე დაეცა, ვეღარ დაუბრუნდა დედა სამშობლოს...

გვახსოვს, შემდგომ როგორი გულისსიმეზ ჩაწყვეტით იგონებდით ოთარის მამისა და თქვენს მწუხარებას, იმ დათალხულ დღეებს, როცა ლეოსთან ერთად მოიარეთ ყირიმის ნახევარკუნძული, იალტის, სევასტოპოლის, ევპატორიის გადაბუფული, იაკერქმინილი ტერიტორია, როგორი თრთოლვით ელოლიავებოდით ძმათა საფლავებს... მაგრამ არსად ჩანდა ოთარის საფლავი... რამაც კიდევ უფრო დასტყვევა დიდი მწერლის გული... და აი, სწორედ თქვენ იყავით დიდი ლეოს მოჭირნახულე, შვილური გრძნობებით გააცილებთ მისი ცხედარი სამარისკენ...

საყვარელო, ღვანლმოსილო კაცო, ლამაზი სულისა და სხეულის ადამიანო, ჩვენო ღვიძლო ღვიძლთავანო — შოთა ამბაკოს ძე! ჩვენ ვიცით, რომ ბავშვობიდანვე ნინ-მიმსწრაფი სული დაგანათლათ თქვენმა დიდმა ბიძამ. ისიც ვიცით, რომ თქვენი სულიერი მამები იყვნენ აქ, დიდი ქართველი მეცნიერის, ქართული ისტორიოგრაფიის ფუძემდებლის, ივანე ჯავახიშვილის მონადეები და თანამესაგრენი — სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი. სწორედ მათ გაზიარეს ჩვენი გამიჯობის ისტორიის ამსახველ მატთანეთა სუნთქვას, გაზიარეს ღრმად ჩაგებდათ საქართველოს წარსულში, გაზიარეს გაცრეცილი ფოლიანტების სურნელებას.

ვიცით, რომ ახლა მარტო ჩვენი არა ხარ. შენი ამაგი, შენი ნაღვანით, მთელ ქართველ ერს ეკუთვნის. იმ ერს, რომლის დღემდის უცნობი წარსულის ფურცლები მზის სინათლეს აზიარე. რა სითბოთი და რა სიყვარულითაა ნალოლიავებო თქვენი ათეულობით კალმისა და აზრის შედევრები, რომლებიც უდავოდ წინ სწევენ ქართული ისტორიოგრაფიული მეცნიერებას, ამაზე ხომ ხაზგასმით ამბობენ თქვენი კოლეგები. თქვენს ძვირფას შრომებზე აღიზარდა, იზრდება და აღიზრდება მთელი თაობები.

მარად დაუფიქრო შოთა! ჩვენ ყველას გვახსოვს თქვენი დიდებული პედაგოგიური ამაგი უნივერსიტეტის გუმბათქვეშ. რა შემართებით, რა გულის სითბოთი, დაუზარელი ენერგიით იღვწოდით, რათა მიგეცათ სტუდენტებისათვის ცოდნის მაქსიმუმი, თქვენი დიდმეცნიერული აზრის საზიარებლად მოილტვოდნენ ყველა კუთხიდან ახალგაზრდები. მოამაგე, მამასავით მზრუნველი იყავით. კაცთმოყვარეობის, ჰუმანიზმის რაღაც დაუშრეტელი შადრევანი ჩქეფდა თქვენში, ამ კაცური სიყვარულის ტვიფარი ისე ღრმად დააჭდიეთ ჩვენი თაობის ადამიანების სულს, რომ იგი საშვილომელოდ გადაეცემა კიდევ... როგორც სრულიად საქართველოში, ჩვენს რაიონზეც დაიძრა მეცნიერული ძიების კვალს ჩამდგარათ პლეადა. აქედანაც მრავლად არიან მეცნიერების დოქტორები და კანდიდატები... უმაღლეს განათლებას ზიარებულთა ათეულები. ამაშიც დიდი და უანგარო წვლილია თქვენი.

ძვირფასო შოთა ამბაკოს ძე! დიდო მეცნიერო! სწორედ რომ უღვთოა თქვენი სიკვდილი. რა მწვავედ ხვდება ჩვენს გულს ეს უდროოდ გასვლა მეცნიერული კვლევის ზენიტიდან, უნდო ბუნებამ აღარ დაგაცალათ ხორცი შეგესხათ კიდევ უფრო მალალი ჩანაფიქრისათვის, ახალი და ახალი მარგალიტები შეგეძინათ ქართველი ერის, შენი მშობლიური, სათაყვანებელი ხალხის ისტორიისათვის.

დღეს მთელ ქართველ საზოგადოებრიობასთან ერთად დავსტირით თქვენს ძვირფას ცხედარს, შენი რაიონის, შენი სოფლის, ოზუჯის მკვიდრთა წარმომადგენლები. ვიცით რაოგი გიყვარდა შენი კუთხის თითოეული გოჯი, თითოეული ხე და ბუჩქი, დიდი ბიძისეული, ლეოსეული მდინარე ბროლია. ვიცით რაოდენ დიდებულია და თბილი თბილისის მინა, მაგრამ შენი ბავშვობის მოგონებებით აღსავსე ეზოდან და დედ-მამის საფლავიდან აღებული ერთი პეშვი მინა მანც სხვა არის... ოზუჯელების, ნალენჯიხელების დავალებით ჩვენ იგი ქართული მონაწილეთა და კრძალვით ჩამოგიტანეთ. დე, სამარადისოდ გულზე გეყართ, დედათბილისის მიწასთან ერთად, როგორც უკვდავებისა და სიცოცხლის ნიშანი...

შვილობით უსაყვარლესო, ამბადარო ადამიანო, დიდო ქართველო მეცნიერო, ქვეყნისა და სამშობლოს წინაშე ვალმოხდილო კაცო!..

შოთა ფიფია

შოთა მესხიას ნაშრომა ბიბლიოგრაფია

1. თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 1, თბ., 1939.
2. ხელოსნობა ძველ საქართველოში V-XII სს., თბ., 1942 (ხელნაწერი).
3. ერთი ფურცელი ქართველთა გმირული წარსულიდან (ლუარსაბ I და სიმონ I), თბ., 1943.
4. ვახუშტი და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, „ანალები“, I, თბ., 1947.
5. მასალები ქართულ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 26, თბ., 1948.
6. ქარგლობის ინსტიტუტის საკითხისათვის გვიანფოდალური ხანის ქართულ ამქარში, „საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე“, თბ., 1948, ტ. IX, №6.
7. აკადემიკოსი ს. ჯანაშია და ქართული ისტორიული მეცნიერება, „აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები“, ტ. III, თბ., 1949.
8. ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ინსტიტუტის შრომები“, ტ. III, თბ., 1949.
9. ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის X-XII სს. ქართულ მონასტრებში, „მომოხილველი“, ტ. I, თბ., 1949.
10. აჭარა (ისტ. ნარკვევი). БСЭ, 1950, ტ. I, (თანაავტორები ვ. ვაბაშვილი, გ. ხაჭაპურიძე).
11. სიმონ ჯანაშია, თბ., 1950.
12. ისევ ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიის გამო (პროფ. ალ. ფოცხინიშვილის შენიშვნების გამო), „მომოხილველი“, ტ. II, თბ., 1951.
13. საქართველოს ქალაქების სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქალაქი და ფეოდალური არისტოკრატია XI-XIII სს.), „მომოხილველი“, ტ. II, თბ., 1951.
14. თბილისის ისტორია, თბ., 1952 (თანაავტორი დ. გვრიტიშვილი).
15. Город Грузии (IX-XIII в.в.), ОЧЕРКИ ИСТОРИИ СССР, М., 1953.

16. ლიონების დამუშავება ძველ საქართველოში, თბ., 1954 (თანაავტორები: ფ. თავაძე და ვ. ბარქაია).

17. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის (სამეცნიერო მიჯილების ანგარიშიდან), „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, თბ., 1954.

18. „ძველი ერისთავთა“ (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატანე), „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, თბ., 1954.

19. მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის XVIII ს-ის საქართველოს ქალაქებში, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 32, თბ., 1955.

20. Из истории грузинского феодального города (IX-XIII в.в.), „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ინსტიტუტის შრომები“, ტ. II, თბ., 1956.

21. თბილისი 1500 წლისა, თბ., 1957.

22. ქალაქის ისტორიული წარსული, კრებულში: თბილისი, ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება, თბ., 1957.

23. К вопросу происхождения государственности в Грузии, „Вопросы истории“, №7 Тб., 1957.

24. თბილისის ისტორია, თბ., 1958 (თანაავტორები: დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე).

25. თბილისის როლი ქართველი ხალხის ისტორიაში კრებულში: თბილისი 1500, თბ., 1958.

26. საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958 (ავტორთა კოლექტივის შემადგენლობაში).

27. საქართველოს ისტორია (სახელმძღვანელო VII-X კლ.), თბ., 1958 (ავტორთა კოლექტივის შემადგენლობაში).

28. Из истории Русско-грузинских взаимоотношений, Тб., 1958 (соавтор Я. З. Цинцадзе).

29. Города и городской строй феодальной Грузии (XVII-XVIII в.в.) Тб., 1959.

30. საქართველოს ისტორიის გამორჩენილი მკვლევარი (სიმონ ჯანაშია), თბ., 1960.

31. История Грузии. Учебник VIII-X классов, под ред. Н. Бердзенишвили. Тб., 1960.

32. Хрестоматия по истории СССР, М., 1960 (ავტორთა კოლექტივის შემადგენლობაში).

33. თბილისის ქალაქური წესწყობილების ისტორიიდან (კომუნა თბილისში), „საქართველოს ეკონომისტი“, №7, თბ., 1961.

34. საქართველოს ისტორია (სახელმძღვანელო VII-VIII კლ.), თბ., 1961 (თანაავტორი ვ. გუჩუა), ოთხი გამოცემა.

35. საქართველო უძველესი კულტურისა და გამიჯობის წარსულის ქვეყანაა, თბ., 1961.

36. სოციალურ-პოლიტიკურ მოძრაობათა ბუნებისათვის XII ს. საქართველოში; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული, თბ., 1961.

37. История Грузии, учебник VII-X классов под ред. Н. Бердзенишвили, Тб., 1961 (ავტორთა კოლექტივის შემადგენლობაში).

38. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962.

39. История Грузии, учебник для IX-XI классов, под ред. Н. Бердзенишвили. Тб., 1961 (ავტორთა კოლექტივის შემადგენლობაში).

40. К вопросу о характере социальной борьбы и городского строя средневековой Тбилиси, კრებულში: Проблемы истории России, М., 1963

41. აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი, „სკოლა და ცხოვრება“, №8, თბ., 1965.

42. დიდგორის ბრძოლა, თბ., 1965.

43. ლეონტი მროველი საქართველოს ისტორიის ორი პერიოდის შესახებ, კრებულში: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966.

44. საქართველოს ისტორია ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოში, „ისტორია სკოლაში“, №1, თბ., 1966.

45. საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება რუსთაველის ეპოქაში, „მნათობი“, №9, თბ., 1966.

46. შოთა რუსთაველის ეპოქა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული, თბ., 1966.

47. Грузия в XIII _ первой половине XVII в.в. История СССР, т. II, М., 1966.

48. ზუგდიდი თუ ზუბდიდი, „ორიონი“, აკ. შანიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 1967.

49. XI-XIII სს. საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობის ისტორიიდან, კრებულში: XII საუკუნის საქართველოს ისტორიის

საკითხები (თბილისის უნივერსიტეტი), ტ.125, თბ., 1968.

50. История Грузии (краткий обзор), Тб., 1968.

51. An outline of Georgian history, Tbilissi, 1970.

52. ქართული სახელმწიფო წყობის ისტორიიდან („საკარგავის“ მნიშვნელობისათვის), თსუ სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 1969.

53. შენიშვნები ძველი რუსეთისა და საქართველოს ისტორიიდან (პროფ. იასე ცინცაძის წერილის გამო) („რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მე-12 საუკუნის ისტორიისათვის“), „მნათობი“, №1, თბ., 1970.

54. Historie de Georgie, Tbilissi, 1968.

55. თამარის პირველი ისტორიკოსის ერთი ცნობის გაგებისათვის, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, III, თბ., 1971.

56. ძღვევაი საკვირველი, თბ., 1972.

57. Дидгорская битва, Тб., 1974.

58. Geschichte Georgiens (Kuryer Uberblick), Jena, 1972.

მოამზადა აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა

რეცენზიები

1. ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, „მებრძოლი“, №129, 1947.
 2. უპასუხისმგებლოდ დაწერილი წიგნი, „ბოლშევიკი“, №5, 1948.
 3. იავფასიანი „ლექციები“ და უვარგისი „მეთოდური მითითებანი“ (რეცენზია წიგნზე: ს. ძიმისტარაშვილი, ლექციები და მეთოდური მითითებანი საქართველოს ისტორიაში), „სახალხო განათლება“, №50, 08.12.1949.
 4. დავით გვრიტიშვილი — „ივანე ჯავახიშვილი“, „მნათობი“, №11, 1950.
 5. მონოგრაფიები საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური ისტორიის საკითხებზე (რეცენზია წიგნზე: ვ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XI-XII სს. (მონოგრაფიები) ტ. 2, თბ., 1956. „მნათობი“, №1, 1958. (თანაავტორები: ბ. ხასია, მ. ასათიანი).
 6. შენიშვნები მონათმფლობელური საქართველოს ქალაქების გენეზისისა და რაობის შესახებ (რეცენზია სტატიანზე: დ. ხახუტაშვილი, მონათმფლობელური ხანის ქართული ქალაქის რაობის საკითხისათვის, „მოამბე“, ტ. 24, №3, 1960), საქართველოს სსრ მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყოფილების „მოამბე“ №2, 1960.
 7. ძველი ქართული მწერლობის კერები (რეცენზია წიგნზე: ლ. მენაბდე, ძველ ქართული მწერლობის კერები, ტ. I, თბ., 1962), „მნათობი“, №9, 1963.
- შეადგინა მარინე მესხიამ**
- სავაზეთო სამეცნიერო სტატიები**
1. საქართველოს ძველი ისტორიის საკითხები სსრკ ხალხთა ისტორიის სწავლებაში, „კომუნისტი“, №90, 20.04.1938.
 2. ისტორიკოსი ნიკო დადიანი, „მებრძოლი“, №27, 02.02.1941.
 3. გიორგი სააკაძე, „მებრძოლი“, 24.08.1944.
 4. თამარ მეფე, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №104, 29.09.1945.
 5. ივანე ჯავახიშვილი, „საბჭოთა მასწავლებელი“, 22.11.1945.
 6. თეიმურაზ ბატონიშვილი, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 21.11.1946.
 7. სიმონ ჯანაშია, „პიონერი“, №12, 1947.
 8. თბილისის 1500 წლისთავისათვის, „მებრძოლი“, 19.08.1947.
 9. ზოგორთი ახალი ცნობები სამეგრელოს გლეხთა აჯანყების მონაწილეებზე, „მებრძოლი“, №184, 1948.
 10. რაფიელ დანიბეგაშვილი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, №45, 13.11.1949.
 11. საქართველოს ისტორიის სწავლება ასპინძის რაიონის სკოლებში, „სახალხო განათლება“, 11.05.1950.
 12. რამდენიმე შენიშვნა თბილისის სიძველეთა შესახებ, „ახალგაზრდა კომუნისტი“, №105, 31.08.1957.
 13. ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის გაყვანების წინააღმდეგ (თანაავტორები: ნ. ლომოური, ო. ლორთქიფანიძე), „კომუნისტი“, №235, 04.10.1957.
 14. იზრდება ჩვენი რაიონი, ჩვენი ქალაქი, „ახალგაზრდა სტალინელი“, №33, ნოემბერი, 1957.

- 4. 15. თბილისი 1500 წლისა, „კომუნისტი“, №276, 1957.
- 16. როგორ დაიბადა ჩვენი დედაქალაქი, „ნორჩი ლენინელი“, №10, 07.03.1958.
- 17. Незабываемые встречи (თანავე-ტორი ი, ცინცაძე) „Заря Востока“, №23, 03.1958.
- 18. თბილისის 1500 წლისთავისათვის (სომხურ ენაზე), „სოვეტკან ვრასტან“, 05.04.1958.
- 19. თბილისის დაბადება (სომხურ ენაზე), „ერევანი“, №206, 1958.
- 20. დედაქალაქის წარმოშობა, „სახალხო განათლება“, №18, 30.04.1958.
- 21. Роль Тбилиси в истории грузинского народа, „Заря Востока“, №139, 23.03.1958.
- 22. თბილისი XVIII საუკუნის II ნახევარი, „კომუნისტი“, 28.08.1958.
- 23. ჩვენი დედაქალაქის წარსულიდან, „საბჭოთა აფხაზეთი“, №206, 18.10.1958.
- 24. ჩვენი დედაქალაქის წარმოშობა, „ახალგაზრდა სტალინელი“, №23, 22.10.1958.
- 25. ფართო ასპარეზზე, „ახალგაზრდა ლენინელი“, №25, 23.10.1958.
- 26. ბახტრიონის გმირული ეპოპეა, „კომუნისტი“, 1959.
- 27. მეტი ადგილი ისტორიული წარსულის შესწავლას, „მებრძოლი“, №24, 01.03.1960.
- 28. აი რას მოგვითხრობს ისტორია, „სამშობლოს ხმა“, №10, 11, 12, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, 1960.
- 29. მცირე ცნობა წალენჯიხის უძველესი წარსულიდან, „კომუნისტი“, №3, 03.01.1961.

- 30. დიდი მეგობრების ღრმა ფესვები, „კომუნისტი“, 06.04.1961.
- 31. დიდი მეცნიერი და მოქალაქე (ივ. ჯავახიშვილის დაბადების 85 წლისთავი) (თანავე-ტორი დ. გვრიტიშვილი), „კომუნისტი“, 27.04.1961.
- 32. სახელოვანი ცხოვრების გზა (ნ. ბერძენიშვილის დაბადების 70 წლისთავის გამო) (თანავე-ტორი: ნ. ასათიანი, შ. ბადრიძე), „თბილისის უნივერსიტეტი“, №21, 11.06.1965.
- 33. ერის ღვანჯირი მემატიანე (ნ. ბერძენიშვილის დაბადების 70 წლისთავის გამო) (თანავე-ტორი ა. ფაქიძე), „კომუნისტი“, 12.06.1965.
- 34. ეპოქის გვირგვინი, „ნორჩი ლენინელი“, №29, 16.07.1965.
- 35. ღვანჯირი იმედი (ვ. დონდუას დაბადების 60 წლისთავი), „სოფლის ცხოვრება“, 14.10.1965.
- 36. გამორჩეული მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე (ს. ჯანაშია), „კომუნისტი“, 18.10.1965.
- 37. საქართველოს ისტორიის უანგარო მოღვაწე (ა. კიკვიძის დაბადების 60 წლისთავი) (თანავე-ტორი ზ. შველიძე), „თბილისის უნივერსიტეტი“, 24.12.1965.
- 38. საქართველოს ისტორიის მკვლევარი, „თბილისი“, 11.05.1967.
- 39. აკაკი შანიძე და საქართველოს ისტორია (თანავე-ტორი შ. ბადრიძე), „თბილისის უნივერსიტეტი“, 12.05.1967.
- 40. ისტორიის ფაკულტეტი, „თბილისის უნივერსიტეტი“, №6, 23. 02. 1968.

- 41. სახელოვანი 50 წელი, „შრომის დროშა“, №48, 23.04.1968.
- 42. გამოხმაურება წერილზე: „ქართლის ცხოვრება და ჩვენი სკოლა“, „ლიტერატურული საქართველო“, №41, 11.10.1968.
- 43. „წყენაო ქირთა ბადე...“ (მ. ლებანიძის ღია წერილის გამო) (თანავე-ტორი ვ. გუჩუა), „სახალხო განათლება“, №66, 01.12.1968.
- 44. მრუდე სარკეში (თანავე-ტორი მ. ლორთქიფანიძე), „კომუნისტი“, 12.01.1969.
- 45. Тайны древностей палестины (თანავე-ტორი: მ. ლორთქიფანიძე, ო. ჯაფარიძე), „Заря Востока“, 19.03.1969.
- 46. პროფესორთა დასწრება სტიმულს გემატებდა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 07.05.1969.
- 47. მასალა ავითვისოთ გააზრებულად, „თბილისის უნივერსიტეტი“, 08.05.1969.
- 48. ისტორიის ფაკულტეტი, „თბილისის უნივერსიტეტი“, 08.05.1969.
- 49. მეგობრის ხსოვნის (დ. გვრიტიშვილის გარდაცვალების გამო) (თანავე-ტორი: ა. სურგულაძე, დ. გამეზარდაძე), „ლიტერატურული საქართველო“, №44, 31.10.1969.
- 50. ღვანჯირი მეცნიერი (ვ. ბარდაველიძის დაბადების 70 წლისთავის გამო) (თანავე-ტორი ი. ჭყონია), „კომუნისტი“, 01.11.1969.
- 51. „ირაკლისი“ ხომ არ აჯობებს? (რა დავარქვათ ნავთულს?), „მეტრომშენებელი“, №6, 11.02.1971.
- 52. მეცნიერი, პედაგოგი (პროფ. ი. ანთელავას დაბადების 60 წლისთავის გამო

- (თანავე-ტორები: ა. სურგულაძე, ე. ხომბარია), „კომუნისტი“, 26.02.1971.
- 53. „...საცნობად თავისადაო“ (საქართველოს ისტორიის სწავლება საშუალო სკოლებში), „ლიტერატურული საქართველო“, №24, 11.06.1971.
- 54. მეცნიერი და მოქალაქე (გ. ჩიტაიას დაბადების 70 წლისთავის გამო) (თანავე-ტორები: დ. გვრიტიშვილი, ი. ჭყონია), „კომუნისტი“.
- 55. Страницы великой дружбы (თანავე-ტორი შ. ხანთაძე), „Заря Востока“, №245, 24.10.1971.
- 56. თბილისის წარმოშობა, „სამშობლო“, №1, 08.01.1971.
- 57. აღვნიშნოთ დიდგორის ომის 850 წლისთავი, ლიტერატურული საქართველო“, 19.02.1971.

შეადგინა მარინე მესხია.

გარდაცვალების შემდეგ გამოცემული შრომები

- 1. სამინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თსუ გამომცემლობა, თბ., 1979.
- 2. საისტორიო ძეგლები: I ტომი — 1982 წ. (გამომც. „მეცნიერება“), II ტომი — 1983 წ. (გამომც. „მეცნიერება“), III ტომი — 1985 წ. (გამომც. „მეცნიერება“);
- 3. თეიმურაზ ბატონიშვილი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1982.
- 4. ლუარსაბ I და სიმონ I, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1991.

შეადგინა მარინე მესხია.

ჩანახატი კველ კოლხეთზე

ურალართაი

ნაბდის ნახევარი ლაკადის ლოდს გამოსცდებოდა, ყაბალახის ნახევარი გამოჩნდებოდა, ცალი თვალი ქვეყანას ჩამოსცქეროდა, ცალი ლოდა მიბჯინდა.

გარდაცემული კაცი ფიქრებად აწვა ქვეყანას.

მთებმა გადაიკიდეს ღრუბლები, ისინიც გაეკიდნენ მთებს, გაეცრიცა დუმილის ნაბადი, ძირს წვეთებდა, ელვა-მების ნაფოტებად სცვიოდნენ მეომრები...

მინა კიოდა, ქარისგან ქარაფებს სისხლი სდიოდა. უფსკრულში იღმუვლა მდინარე, ანგრევდა, ამსხვრევდა, ლენდა გარემოს, მინაში გაბორჯილ მუხის ფესვებს ტანი და კანი შემოაფხრინა, წამოაქცია, ტოტები ჩამოაგლიჯა, ხე-ტანი კუნძად აქცია, ამოდიოდა და ამოქქონდა, ჩამოდიოდა და ჩამოქქონდა აძაგრულ წყალს ყოველი.

— რა წარღვნა იყო პატონ ბეჟა?!
ასწლიანი ბუაკე მკერდს აწვა ბეჟას, ცეცხლის ტყვარცალს ერთვოდა ფიქრები მისი.

— გოლუაფირო! — ჭიჭყელებივით ამერია წლები, ასეთი გააფთრება მე არ მახსოვს, არც პაპისპაპისგან გამიგონია, ვინ იცის, რა წაილო და რა ჩამოიტანა წყალმა — თან ყალიბში ბლუჯინდა თუთუნს.

ყანაში ფეხშიშველა ბიჭი მიჭყუმპალაობდა. წამოქცეულ ღობეზე ორი თვალი ეკიდა, მალალ ხარხუნტელ კისრიდან უსასრულოდ იხედებოდა სივრცის თვალეში.

— უჩალართაი! — რაღაცამ გაიელვა თავში — ღობიდან გადმოსრიალდნენ თვლები და ბიჭს თითქოს სუდარას ახვევენ, ისე შემოეკლაკნა სულწაწყვედილი. მზერა ფართხალით მიანყდა ზეცას. ხესთან ძაგძაგებდა ყაბალახი — „ორკაპი სისხლს წოვს“ — ნაბდიდან გამოკრთა ცეცხლი სატევა-რი, უჩალართაი, უჩალართაის სივილმა გადმოაფრინა ღობეს, უჩალართაი შეება უჩალართამს. ბიჭის ღიმილი ხან სატევერი-

ან უჩალართამს ეხვევა, ხან ორკაპიან უჩალართამს.

დედების მოთქმა სისხლში დაცურავს. ლოცვად დაჩოქილ ბეჟას ზედაპყრობილ ხელებს და კოლხეთის მთა-ბარს სხივბნეული შემოესია, შორეულ სიზმარშია ლაზეთი — მოისმის „გაი ნანა“

„ჩონგურიო ხმას ემბაყუნსუ მუჭო ნინა ჩქინი გურსუ, ოი, ნანა, დილო იო ნანინა“.

გამოღმა გათენებამ შემოაყვილა მამლებში.

უმიზნო სივრცე მზითა და მთვარით დასცქერის კოლხეთს.

მზემ ააყვირა, ახარხარა მიწიერი, მთვარეს მინაზეთა სევდა უსასრულო, თეთრი ცრემლი არ ციმციმებს ცის სილურჯეში.

რეჟისორი (გული) მორგოშია, 1969 წელი, გიორგოშითვე. გაზეთი: „კომუნისტი“ 1971 წელი, თებერვალი.

შემთხვევა მიშველი ხელით!..

ეს უცნაური ამბავი გალის რაიონის მაღალმთიან სოფელ ლეკუხონაში მოხდა. აქ ცხოვრობს და შრომობს ახალგაზრდა მექანიზატორი ენვერ ჯახაია.

ამას წინათ იგი დილაადრიან გავიდა ყანაში, მუღღე — მია ჯახაია კი მინ ტრიალებდა და საუზმის თადარიგს იჭერდა.

ამასობაში 4 წლის კახამაც გამოიღვიძა. ფეხშიშველა, პერანგის ამარა ბავშვი ეზოში გავიდა. უცებ ყანაში მომუშავე მამას მოჰკრა თვალი და მისკენ გაეშურა.

გზად ბავშვი მონუსხულივით შეჩერდა: მის წინ უზარმაზარი გველი შემდგარიყო კუდზე, წამიერი იყო ეს მონუსხვა — კახას არც კი უგრძენია, თუ როგორ შემოეხვია გველი ტანზე, იგი მხოლოდ მის გამყინავ თვალეებსა და მოსაესავე ენას ხედავდა.

თოხნაში გართულ ენვერს ბავშვის კვნესა მოესმა. მიმოიხედა და, რა დანახა, მის პირმოს სამინელი ქვეწარმავალი შემოხვეოდა და, სადაცა დაახრჩობდა...

მერე რა მოხდა, ახლალა იხსენებს ენვერი: იგი ელვის სისწრაფით მივარდა ადამიანის მოდგმის ოდინდელ მტერს და კისერში ჩააფრინდა. ორთაბრძოლამ რამდენიმე წუთს გასტანა და საბოლოოდ მამა დარჩა გამარჯვებული — შიშველი ხელით მოაშთო ქვეწარმავალი.

საკვირველია, რატომ მაშინვე არ დაგესლა გველმა ბავშვი. ენვერის თქმით, ქვეწარმავალი, თითქოსდა ეალერსებოდა კიდეც სახეზე კახას, მაგრამ მან კარგად იცოდა ამგვარი ალერსის ტრადიკული დასასრული. საბედნიეროდ, არ დაიბნა და საზრიანად იმოქმედა — გველის „ტყვეობისაგან“ დახსნილი, გონდაკარგული ბავშვი გულში ჩაიკრა, და ასე შევარდა შინ.

მალე ხალხიც შეგროვდა ჯახაიების ეზოში, მეზობლები სათითაოდ ეფერებოდნენ ჯერ კიდევ გაფთრებულ კახას, რომელიც თანდათან ეგებოდა გონს და საბედნიეროდ არც დაგესლილი აღმოჩნდა და ვინც საკუთარი თვალით ნახა ღამის დაახლოებით ორმეტრიანი შხამიანი გველი. მოხერხებულობას და სიმარჯვეს უქებდნენ ენვერს.

ახლა ყველას უკვირს საიდან გაჩნდა ლეკუხონაში ამხელა ქვეწარმავალი, რომლის მსგავსი სოფლის უზუცესებსაც კი არ უნახავთ.

ბ. ჯანჯღაშვილი, „კომუნისტის“ შტატგარეშე კორესპონდენტი, გაზეთი „კომუნისტი“, 5 ივლისი, 1984 წ.

* * *

შოთა პლატონის ძე ფიფვის დაბადების 100 წლის თავზე წარმოვთქვი მოკლე სიტყვა, რომელიც ასე დავიწყე: 45 წლის წინ, საბჭოთა რედაქტორის კაბინეტში, შევედი საბჭოთა რედაქტორის შვილი, მაგიდაზე დავედო ჩემი დანერვილი „უჩალართაი“, მაშინვე კითხვა დაიწყო... „გული! მუ ამბერე, მიდედ წყარქ ირფელი, მუქ ეშაყუნგ... ვბეჭდავ და მიაწერა „ჩანახატი ძველ კოლხეთზე“.

15 წლის შემდეგ, 1984 წლის ივლისის თვეში, გალის რაიონის სოფ. ლეკუხონაში მოხდა ფაქტი; შოთა ბიძია შემხვედა და ორივე ხელი აწია. მანამდე კი, 1971 წლის მარტში, დაიბარეს პარტიის რაიკომში და სიტყვიერ „შენიშვნაზე“ გაჩერდნენ.

პროლეტარ-ბროდიაგა, კომუნისტ ლენინის და მუსულმანი ქემალ ათათურქის ბანდებმა, ორმაგი ფრონტით, ომის გამო-

უცხადებლად, ვერაგულად დაარღვიეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრები და 1920 წლის დეკემბერ-1921 წლის თებერვალ-მარტში მოსპეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

1920 წლის 7 მაისს, მოსკოვში დაიდო ხელშეკრულება — შეთანხმების პაქტი, თავდაუსხმელობის შესახებ, რომელიც დაარღვია ლენინმა და მისმა ბანდფორმირებებმა. მოკავშირეებმა: რუსურ-ბ, აზერბაიჯანმა, სომხეთმა, თურქეთმა მიიტაცეს ტერიტორიები. დარჩენილ ტერიტორიაზე შექმნეს ანტისახელმწიფოებრივი, ანტიადამიანური, ანტისხეული, ე.წ. საქართველოს სსრ ორი ავტონომიური რესპუბლიკით.

ყინულის და მარილის სოცხარაჩოებზე, კომუნისტის მშენებლობაზე მიერეკებოდნენ ათავებს, უჩრჩებს ხერეტდნენ, შიმშილით სპოდნენ.

1924 წლის ტრაგედიის შემდეგ, პროტესტის ნიშნად შავი ჩოხა, უჩალართი ჩაიცვეს, მათ შორის წალენჯიხელებმა;

1. ტერენტი კვიციანი (გრანელი) — იარალით ხელში ებრძოდა ლენინის და ათათურქის ბანდებს, თბილისის მისადგომებთან ბათუმში;

2. ესტატი ცანავა — 1921 წლის მარტიდან ფეხშიშველი დადიოდა: „თუ ხანგემც დამორჩილმა ვემიარტენანია!“

3. ძმები — ვალოდია და შალვა თვალეკაძეები. შალვა დახვრიტეს 1938-ში. დახვრეტის წინ უთქვამს: „მამალი ყივის, ძალი ყეფს, ამხ. ლავრენტი“. (ვისი ძალია აქ რომ ყეფსო, უკითხავს ამხ. ლ.პ. ბერიას თბილისში);

4. ივანე თვალთაძე — წამების მიზეზით „გადაცდა“. აჯამეთში, გარეულ ღორებზე სანადიროდ, ეპატიუბოდა ადამიანებს;

5. ლეო შენგელია (ქიაჩელი);

- 6. კოლია, კოსტა, ბუცა, კაი ჭანტურიები;
 - 7. დანიელ, სამსო, გუნცა ფიფვიები. დანიელი დახვრიტეს 25-ში. სამსო გადაიხვეწა. გუნცა ჯერ მონამლეს, შემდეგ მისივნენ, ტყვიები დაახალეს, გვამი ჩამოასვენეს ურმით წალენჯიხაში 1949 წელს;
 - 8. გუმა შელია — მოკლეს ციხეში, თბილისში, 1943 წელი.
 - 9. კალისტრატე სალია — (გაყვა ჟორდანიას მთავრობას და მოღვაწეობდა საფრანგეთში);
 - 10. სოლომონ და კორსანტელ სარიები;
 - 11. თეოფანე ყალიჩავა;
 - 12. ბიქტორ კვიციანი;
 - 13. ბაგრატ და ჩვაფალია როგავეები;
 - 14. გიორგი მორგოშია — მოკლეს ტყეში. მკვლელები ქეიფობდნენ, ნათესავეებმა გვამი „მოიპარეს“ და დამარხეს უჩუმრად თბილნარში;
 - 15. სოლომონ, ვანო, ლადი კვარაცხელიები;
 - 16. ილია (?) ძვაბავა;
 - 17. იაკობ, ბათუ, პავლე შანავები;
 - 18. ბარდლა მორგოშია — მოკლეს 1936-ში;
 - 19. კაპიტონ ბელქანია;
 - 20. გივი ეგია;
 - 21. დამიანე (დამა) როგავეა;
 - 22. ანტიფო დიდიძე — გააციმბირეს, დაბრუნდა ჯანმრთელობაშერყეული...
 - 23. ლადი ჩიქვანი;
 - 24. ექვთიმე ჯოლოსხვა.
- P.S. სია არასრულყოფილია, ეს შესასწავლია და გამოსარკვევი. იქვე დავამატე, რომ დღეს, CHF-ს საქართველო არის „ძუენა“, რომელსაც ხან ვის მიუვლებენ და ხან ვის...

რეჟისორი (გული) მორგოშია.



ნატონ არანია

დასული წლის აგვისტოში შესრულდა 100 წელი დამსახურებული პედაგოგის, ომის ვეტერანის, პოეტის, მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, ნატონ (ანტიფო) ნესტორის ძე არანია-ასაძაძუნიძისა.

ნატონ არანია დაიბადა 1915 წლის 15 აგვისტოს ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში. ზუგდიდის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა დაიწყო დარჩელის საშუალო სკოლაში.

1938 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე და პედაგოგიური მოღვაწეობა გააგრძელა აფხაზეთში, ჯერ გუდაუთის რაიონში, შემდეგ — დრანდაში. ომის დაწყების პირველივე დღეებიდან ფრონტზე წავიდა. იბრძოდა ქერჩის მიდამოებში, სადაც ტყვედ ჩავარდა. იჯდა ვარშავის, ბუხარესტის, პოზნანის საკონცენტრაციო ბანაკებში და ციხეში. მოახერხა ტყვეობიდან გაქცევა და შეუერთდა ჩეხ პარტიზანებს. მათი ეს კავშირი სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა.

ბავშვობიდანვე პოეზიით იყო გატაცებული. წერდა ლექსებს, პოემებს, პუბლიცისტურ ნარკვევებს. მისი პოეტური კრებულები: „წყარო, ანკარა“, „ქუხილი ცაში“, „მე შენით ვცოცხლობ“, „მეოთხმოცე“ გულთბილად მიიღო ქართველმა მკითხველმა. 2004-2005 წლებში გამოსცა ორი სექსტანიანი ავტობიოგრაფიული ხასიათის სათავგადასავლო რომანის პირველი და მეორე ნაწილი. შესამე ნაწილი, რომელიც რედაქციამ დასაბეჭდად ჰქონდა გამზადებული და რომლის გამოცემასაც

ვერ მოეხსნო, მისი გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა გამოცემლობა „ზანში“, 2008 წელს. ბატონი ანტონი ეშურებოდა რომანის ბოლო, მეოთხე ნაწილის დასრულებას, მაგრამ არ დასცალდა. მეოთხე ნაწილის გამოცემაც საშვილიშვილო საქმედ მიგვაჩნია.

ანტონ არანია მშობლიურ სოფელში დააარსა და სიცოცხლის ბოლომდე რედაქტორობდა გაზეთს „დარჩელი“, ასევე დააარსა ლიტერატურული სალონი. 2004 წელს კი მისი რედაქტორობით გამოიცა ჟურნალი „დარჩელის“ ორი ნომერი.

მამულის სიყვარულით გულანთებულმა მსცოვანმა შემოქმედმა ზემოთ დასახელებული გამოცემების გარდა, 1999 წელს, თანაავტორ ვალიკო შონიასთან ერთად გამოსცა წიგნი „დარჩელი“. ავტორთა თქმით, ეს არის „პირველი ცდა სოფელ დარჩელის“ სახელწოდების, მის ტერიტორიაზე მოსახლე გვარების წარმოშობის თუ სადაურობის შესახებ დანერვილი.“

შობლო კვლავ იქნებოდა ერთიანი და თავისუფალი!

წელთა სიმრავლის მიუხედავად ბევრს მუშაობდა გონებრივად და ფიზიკურად, მხნედ იყო, ნათელი ჰქონდა აზროვნება, მოძრაობა კი — ახალგაზრდული. იგი 2007 წლის 24 თებერვალს 92 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან. თურმე სიკვდილსაც ზეზეულად შეეგება თავის სამუშაო ოთახში.

ბატონი ანტონის საოცარი ცხოვრება და შემოქმედება შეიძლება დასათარღეს სტროფებით მისივე ლექსიდან: „პატიოსნება უფლის წინაშე, უფრო დიდა ვიდრე სიცოცხლე!“

P.S. გასული წლის ნოემბრის მიწურულს ავისრულე დიდი ხნის ოცნება — ვენვიე დიდებული პიროვნების დიდ, სტუმართმოყვარე ოჯახს. დამხვდნენ: ქალბატონი ნანა კეხუა, ბატონი ანტონის რძალი, უმცროსი ვაჟიშვილი მერაბ არანია, შვილიშვილები და შვილთაშვილები.

რატურას, მამულის სიყვარულს...

გამიხარდა, როცა ქალბატონმა ნანამ მითხრა, რომ აპირებენ ანტონ არანიას სახლ-მუზეუმის გახსნას, მისივე ნაშრომ-ნაჯაფარ ეზო-გარემოში.

საკმაო ხანს დავრჩი სამუშაო ოთახში, გავიზარე მისი მრავალმხრივი შემოქმედება და დიდი შთაბეჭდილებებით დავიტვირთე... გამახსენდა, რომ ბატონ ანტონს ერთხელ მეც შეეხვედი ზუგდიდში, რეგიონალური გაზეთის — „ვერისის მაცნეს“ რედაქტორის, ქალბატონი ნათია ჯგუშია კაბინეტში, როცა მან გაზეთ „დარჩელის“ მორიგი ნომრისთვის მასალები მოიტანა...

დავსაჩუქრდი ბატონი ანტონის კრებულებით, წიგნებით, ჟურნალებით, რისთვისაც ქალბატონი ნანას კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას...

ბატონმა მერაბ არანია გულთადად მიმასპინძლა. იქვე, სუფრასთან, ბატონი ანტონის თვალბატული შვილთაშვილები კითხულობდნენ სახელოვანი პაპის უკვდავ

„პატიოსნება უფლის წინაშე, უფრო დიდა ვიდრე სიცოცხლე!“

ბატონი ანტონი უსაზღვროდ გაახარა ეროვნული ხელისუფლების გამარჯვებამ და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამ. ეროვნულ ძალებთან თანამშრომლობა ეამაყებოდა, თავისუფალი საქართველოს წინსვლა ეხალისებოდა და თავს ბედნიერად თვლიდა. მაგრამ, როცა სამშობლოს მოლაპატრებმა ტყვეს ესროლეს ქვეყნის თავისუფლებას და თავისუფლების სიმბოლოდ ქცეულ ზვიად გამსახურდიას, ბატონი ანტონი მტკიცედ დადგა კანონიერი ხელისუფლების გვერდით. მისი ეროვნული პოზიცია მკაფიოდ ჩანს მის ლექსებში და მის ამ სიტყვებშიც:

„მინახავს საშინელი საღიზმი, ადამიანის ფეხქვეშ გათელვა, მაგრამ იქაც, საკონცენტრაციო ბანაკებშიც კი, არ მინახავს და გამიგონია ის, რაც ძალადობის გზით მოსულმა ხელისუფლებამ და მისმა წარმომადგენლებმა ჩაიდინეს ჩემი ერის, ჩემი ქალაქის, ჩემი დარჩელის, წინაშე!“

ბატონ ანტონს აღაშფოთებდა ისიც, რომ ქართველ მწერალთა და ხელოვანთა ერთმა ნაწილმა არათუ დაგმო ე. მევარდნაძის სისხლიანი რეჟიმი, არამედ მონაწილეობა მიიღო კანონიერი ხელისუფლების დამხობაში და უსინდისოდ თანამშრომლობდა დამნაშავე ხელისუფლებასთან.

და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, ბატონი ანტონი რწმუნითა და იმედით უყურებდა მომავალს, სწამდა, რომ სიკეთე სძლევა ბოროტებას და საფიცარი სამ-

უპირველესად, რაც ყურადღებას იპყრობს, საოცრად მოვლილი, კობცა კარმიდამოა, ლამაზი, ციტრუსოვან მცენარეთა მწვანე ხეივანი და ვარდნარით შემოსაზღვრული ხეხილის ბაღი. ცენტრში დგას შესანიშნავი ორსართულიანი სახლი სამზადთან ერთად — ბატონი ანტონის დიდი შრომის ნაყოფი. ამ სილამაზეს საკმაო ხანს მზერა ვერ მოვწყვიტე...

ქალბატონი ნანა შემიძლვა პოეტის სამუშაო ოთახში. ესაა იან ჟვანიას მიერ მოხატული მეგობრობის ოთახ-მუზეუმი ანტონ არანიას ოჯახში. კედლების გასწვრივ წიგნებით სავსე კარადები დგას. სანერი მაგიდა, სადაც ბატონი ანტონი ქმნიდა თავის უკვდავ ლექსებს, პოემებსა თუ რომანებს, ასევე სავსეა წიგნებით, ჟურნალ-გაზეთებით, წერილებით... უხმოდ ვათვალისწინებდი ბატონი ანტონის სამუშაო ოთახს... მზერა შევარჩევი ხელმარჯვნივ მდგარი წიგნების კარადაზე, — წიგნის „საქართველოს სულიერი მისია“ გარეკანზე პირველი პრეზიდენტის შემართულმა გამოხედვამ წამიერად ჩამაფიქრა: როგორი იქნებოდა საქართველო, მისთვის, თუნდაც ერთი ვადით, რომ დაეცლიათ?..

ქალბატონი ნანა პედაგოგია და დანეყებითი კლასის მოსწავლეებს ასწავლის დარჩელის №1 საჯარო სკოლაში, სადაც ბატონი ანტონი მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე იყო პედაგოგი და ახალგაზრდობას ასწავლიდა მშობლიურ ენასა და ლიტე-

ლექსებს. გოგონებს, თითქმის ყველა ლექსი ზეპირად სცოდნიათ. ეს მეტად შთაბეჭდავი რამ იყო!..“

რა დასამალია და ისე არ მიხდოდა ნამოსვლა საოცრად სტუმართმოყვარე ოჯახიდან, დიდი პიროვნების საფლავი რომ არ მენახა. ბატონი ანტონის საფლავი ახლოს ყოფილია. მერაბი წამომყვება, გავიარეთ თხილნარი და გავედით კობცად მოვლილ საფლავზე... კიდევ ერთხელ ვიგრძენი დიდი მონივნება მისი ხსოვნის წინაშე. ბატონი ანტონი დაკრძალულია მისი საყვარელი დედის — პელაგია ბაგათელიას გვერდით, რომელმაც იგი ობლობაში გაზარდა და რომელსაც მოფერებით „გვაძას“ ეძახდა... აქვეა საყვარელი მუულის, ღვანწმოსილი პედაგოგის, ზინაიდა ჯიქიას საფლავიც, რომლის ორმოციც იმ დღეებში შესრულდა თურმე...

ბატონი ანტონი უკვდავია, რადგან პოეტური გენით შექმნილი მისი ნაწარმოებები: ლექსები, პოემები, პუბლიცისტური ნარკვევები და სათავგადასავლო რომანები ცოცხლობენ და შარავანდივით აცისკროვნებენ მის ნათელ ხსოვნას.

უფალმა ზეციურ საქართველოში დაავანოს ბრძენკაცის — ანტონ არანიას უკვდავი სული! ამინ!

ვალერი ქაქაშია,
ობუჯი, 24.02.2015 წ.

ღმერთო, უშველე!

ო, ღმერთო, როდის მოინანიებს ადამის მოდგმა ცოდვას და სასჯელს... ძმა ძმას არ ინდობს, კაენი აბელს დღესაც კლავს, დღესაც

იღვრება სისხლი, ვაქრობთ წინაპრის ანთებულ საწილს და ბნელში ეშმას ქირქილი ისმის... ღმერთო, უშველე ადამის მოდგმას, რათა სულმთლად არ დაკარგოს გონი, გარჩევინე მადლი და ცოდვა, რომელსაც ახლა მაცილი წონის. ვინც მაინც მისდევს ბინიერ სურვილს, ვინც ხალხის სისხლი ღვარა და შესვა, ოცდაათ ვერცხლზე გაყიდა სული და უღალატა ერსაც და ღმერთსაც, მას ნუ დაინდობ, ყოვლადძლიერო, ვეთაყვანები მე ნათელს შესსას!

ეს საქართველოს ცრემლები არის

მარტმა გვანგნია ღვარცოფი, სეტყვა, სულში ჭრილობას დღეს ვინლა

დათვლის? ვარდ-ყვავილების აპრილი გერქვა და დღეს გეძახით სისხლიან აპრილს. გამოლოვიდებულ კვირტებს და ყლორტებს უცებ დააცხრა მსუსხავი ქარი...

მტკვარი რომ ასე მოთქვამს და გოდებს, ეს საქართველოს ცრემლები არის. სარწმუნოება, მამული, ენა, სხვა არსად არის ქომაგი, მხსნელი და ბალახივით მოთიხულ რწმენას მოთქმა და ცრემლი არაფერს შევლის. ერი შეკრული ერთიან მუშტად გაუძლებს ყველა ჭირსა და ვარამს, რაც ქართველს სიტყვიით და საქმით უთქვამს,

ის საქართველოს დიდებად კმარა! მიმდის თვალს მივაპყროთ მერმისს, ანწყო მოითხოვს სიბრძნეს და განსჯას, „ასჯერ გაზომე“ — მგოსნის ხმა მესმის, ასჯერ გაზომვა და ერთხელ გაჭრა — ასე სჩვეოდა წინაპარს ჩვენსას, ჭკუა-გონებას უხმოდა მუდამ, ამას მოითხოვს მამული დღესაც და მტრის ცდუნებას არ აყვებთ უნდა!

მე შენით ვცოცხლობ

სალამოა თუ დილა სისხამი, სიცვივა თუ სიციხე თაკარა, მე უშენობით არც ერთი წამი არ შემიძლია დარჩენა, არა! მე შენით ვცოცხლობ, მე შენით ვზარობ, შენა ხარ ჩემი შვებაც და ლხენაც. სამშობლოს ტრფობამ აგვანთო, ქნარო და შეგვაჩვია ოცნებით ფრენას. შენ შეგიძლია შემასხა ფრთები, გულში ჩავსო ავსა და ბოროტს, მტრების ხომალდთა შავი აფრები დანვა, დალენო, მოულო ბოლო! გაინავარდო, გაეკრა ტატნობს და წრფელი გული მამულს უჩვენო, სამართლიანი, ერთგული, სათნო, სულის სადარო, შენა ხარ მარტო, რა ვიქნებოდი მართლაც უშენოდ!

* * *

მოვიდა უკვე და შევესწარით ახალ წელიწადს ძველი ბიჭები. ღიად დატოვეთ ყველა ჭიმკარი, ახალგაზრდები მოაბიჯებენ. თვალს ვერ ძღვება მათი ყურებით, გულში იმედის მუქი ბრწყინდება. მოდიან ჩვენი ნაფეხურებით, კვარცხლბეკზე აპყავთ მზე და დიდება.

მოდიან, მოსავთ შარავანდედი შინმოუსვლელი გმირი მამების, არა, ჩვენ ისე როდი დავბერდით, არ ალგვეზარდოს ცოტნესთანები.

20.12.1979.

შური

შური ახრჩობს შურიანებს და ჭამს, როგორც ჟანგი რკინას... ვფურცლავე ერის მატიანეს — შური დაძრწის, შურს არ სძინავს. ბაზალეთი, წინაშური... არის შურის ნამუხთალო, მოლალატე, მტრის მსახური შური იყო, შური არის. ძმებს ერთმანეთს გადაჰკიდებს, კარგის არ სურს გაგონებაც, აუმხედრებს მამას შვილებს, ნამლავეს, ბინდავეს აზრს, გონებას... შურს ხომ დღესაც გააქვს ლელი და მძვინვარებს შურის სენი... ღმერთო, ჩემი საქართველო ამ სენისგან დაიხსენი!

* * *

ბოროტმა სულმა ვერ დამტყუოს მე საყვედური, თუ რამ მანუხებს, მაინც ისევე ჩემს თავს ვემდური. მაგრამ ერთს მაინც შემოგებდავ არსთა გამრიგეს, ჩემს ალაღ სიტყვას სხვანაირად ნულარ გამიგებ. ვინც ბედით ლალობს, ოქრო-ვერცხლით ბრწყინავს, ზიმზიმებს სულ რაჭომ ოხრავს, თითქოს აწვეს ქვეყნის სიმძიმე. რად უმადურობს? რატომაა ბედის მგომბელი?

* * *

შეხვარი მუდამ ბალღივით ამ ჩემს მშობლიურ მიდამოს. მშობელი დედა თუ არ გწამს, სხვა ვინლა უნდა იწამო! მახარებს ნორჩი ნერგების

6

ფრთავაშლილობა, ლალობა. ტოტებს არხევენ შრიალით, მეუბნებიან მადლობას. ბევრი დედ-მამას დაურგავს, ხარობს ჩემ მიერ დარგულიც. თუ არ ამეწებ, არ უვლი, არ გყვარებია მამული!

ოლონდ გუგუნი ატყდეს ზარების

„სჯობს სიცოცხლესა ნადრახსა სიკვდილი სახელოვანი“

რა მეღექსება, ან რა მამღერებს, როცა ჩემს მამულს მგლური საბაბით თავზე დაადგა ბრიყვი ყასაბი... ეჰ, მე რა უთხრა მუხთალ სიბერეს, მაგრამ სუყველა ხომ არ დაბერდა? მთლად საქართველო ხომ არ დაბერდა?! ავთანდილ-ფრიდონ-ტარიელეები ქაჯეთს რომ ლენდენ მძლე გახელებით, სად გაჰქრნენ, ან რამ გადააშენათ, რამ მოუდუნათ გმირის მარჯვენა? როცა რუსული მძიმე ნაჯახით დაჭრეს, დაჩეხეს ჩემი მამული... როგორ მოგიტმენს სული და გული თუკი ღირსების შეგრჩა ნასახი... ამგვარ სიცოცხლეს ჰქვია ნადრახი! რა მეღექსება, ან რა მამღერებს, როცა მოძმის და მხსნელის საბაბით თავს დაგვდგომია ბრიყვი ყასაბი... რა დროს მინია წყეულ სიბერემ, მტერთან ბრძოლაში გულს ვერ ვიჯერებ...

ოლონდ გუგუნი ატყდეს ზარების, „ქუღზე კაცო!“ — მესმას ძახილი, ჩემი ლექსით და ჩემი მახვილით ერთ მამულიშვილს ავეფარები არ ვარ მსურველი სხვა ნეტარების!

* * *

ახლა იმდენი არავის უჭირს, რომ ტვინის ნაცვლად ფიქრობდეს კუჭით. მაინც არ ვიცი, რა ემართებათ? სად მიიღტიან ცოდვის შვილები? ანდა რა ჰქვია ამ გამაგებას, ოქროს, ბრილიანტს დაგვიძლებს! ადვილად ძლებენ, ლექსო, უშენოდ, არ გრძობენ სულის ათინათებას. შენ შეგიძლია იხსნა, უშველო, სანამ თავისი დაემართებათ!

* * *

მარტი იდგა და ხე კვირთებს შლიდა, თავდავიწყებით მღეროდა შაშვი. ტოლს მოუხმობდა მეჩხერი ტყიდან და ჩუმი სევდა უკრთოდა ხმაში. მღეროდა შაშვი... რეგვენს და უნდოს ო, რა გამოლევს ამ ნუთისოფლად. გამოჩნდა ვიღაც უგულო, უღვთო, ესროლა ჩიტს და სიმღერა მოკლა!

ილიას მკვლელები

გულს ბავშვობიდან რაც დარდი ახლავს, არ გავამხილო, არ შემიდლია: ვინც საქართველოს უმღერდა ლალად, ნუთუ გასწირა ქართველის ტყვიამ! სამშობლო მინის ვედრებას, ძახილს, ნუთითაც აღარ დაუგდო ყური და არ დაინდო მშობელი ხალხი, მთები, არაგვი და ნინამური. — წყეულმც იყოს მსახვრალი ხელი! — ჩარგალი ვაჟას ცრემლებით დაღბა — რომ შეძლებოდა, ილიას მკვლელები საქართველოსაც მოკლავდა, ალბათ.

* * *

მოურჩენელი დარდი და სევდა შენ ჩემთან ერთად გაგიჩნდა, დედა და დედისერთა — შენი ნუგეში გიტარებივარ ფრთხილად, უბეში. ლექსის, სიმღერის, სიმართლის დედას ასეთი ხვედრი ჰქონია ბედად. თოვლსა და ყინვას, ქარსა და წვიმას გადამარჩინე ობოლი ქვრივმა. რა შესძლება ჭყარტილიან ჯარგვალს, მინის სიყვარულს, თესვას და დარგვას. შენ ჩამაგონე, ჩემგან რას ითხოვს ადგილის დედა, კერიის სითბო და შენს ტაძარში სანთლის ანთების ასე მგონია, ღირსი გავხდები!

დაგვაძმობილა ჩვენ პოეზიამ ისაკი ქორთუას

მოდის, ვთქვათ ის, რაც ახლოა გულთან, ყველამ იცოდეს, უკეთესია! ვერ შეველიეთ დარჩენს და ურთას, დაგვაძმობილა ჩვენ პოეზიამ. მერე, ამაში რა არის ცუდი, თუ ვერ მოვმორდიდით დარჩენს და ზუგდიდს,

თუ ვაჟასავით გუთანს მივყვებით დავეჭიდებით მინას ხვაიანს, თუ საბუღბულე დავცვდა სიტყვები, განა ვინმესთვის საარახავია? პოეტი თუ არ ენვია ქალაქს, ნუთუ დაკარგავს სიმღერის ძალას? თუ თბილისელს ენგური უყვართ, ჩვენ ვითომ მტკვარი ნაკლებ გვალალებს! და ვეღარ ვიტყვით სიმღერას მქუხარს ვითარც პოეტი და მოქალაქე? ჩვენ არ ვიყავით, მტერს, გადამთიელს, ლექსით, მახვილით ელბამდე ვსდებით? ოდისის ცისქვეშ დანამულ ლექსებს აუტანიათ ცეცხლიც, ზამთარიც. ომში ვიყავით, მშვიდობა ვთესეთ, დღეს ბალადქცეულ მამულს დავხარით. ვერ ავიარეთ მაინც აღმართი, და იქ სიმღერა ვეღარ დავანთეთ. თუმცა ჩვენსავით უგვირგვინოთ რამდენი ჰქონდათ გულში სათქმელი. ბევრს ამ აღმართზე მიუღწეოდ და მაინც დარჩა დაუდაფენელი. ბევრმა იარა დიდი დიდებით, დატოვა, მართლაც მარგალიტები... შიშველ ხელებით ამოვგლეჯთ ეკალს, ნაენრალს ვაქცევთ ბღნარ-ვარდნარად, სხვამ ვინ გამოიგოს, ძმაო, შენს გარდა,

სული ლექსებად ყალყზე შემდგარა. ან პოეტისთვის თუ რა მადლია, ღამე ლექსისთვის თუ გაათია. გაეძახით ყანებს თობნურს და მოროდს, გვირგვინში არვის შევეცილებით. მოწყალეებისთვის — ღმერთმა გვაშოროს, ვიდგეთ სხვების ნინ, ხელგანვდილები! როცა უნათებს მზე მშობლიური თვით მინის მუშაც ხდება პოეტი?! ჩვენ რალა გვიჭირს ალაღ-მართალებს, მაღლს აღარავის დავესესხებით. უბეში ლექსებს ავაფართალებთ, დავრჩებით ძმებზე უკეთესები!

* * *

ძალაუფლება ხელთ უპყრია უზურპატორებს, სავარძლისათვის უსაფრთხედა მავანს მავანი. ბარაბას გაჰყვა საცოდავი ბევრი მათგანი და საქართველო ქართველების სისხლით დატბორეს. ნაძირალები მოგვევლინენ ერის მხსნელებად, ღვთის მგმობლებმა დაიმშვენიეს ანაფორები და სავარძლებში ამოქნარებენ მუქთახორები... რა ეშველება საქართველოს, როცა ქურდი და არამზადა „იცავს“ სამართალს, პატიოსნებას აღარ ძალუძს ნელში გამართვა... მაგრამ ბევრია ქედუხრელი, თავდადებული, სურს მტრობის ნაცვლად სიყვარული თესოს, ახაროს, შეძლოს მზესავით დაანახოს მან მთელ სამყაროს თავისუფალი საქართველოს უკვდავი სული.

* * *

მოკლე შარვალი, „კანის ჩაფულა“ და მავი ტილოს ხალათი მეცვა. მზის ამოსვლიდან ვიდრე ჩასულა, სულ თოვლის მოსვლას შევთხოვდი ზეცას დედის სურვილი იყო სხვაგვარი, სხვა სათხოვარი გააჩნდა ღმერთთან, — არ მოსულიყო სულაც ზამთარი, და მზეზე მუდამ სიმღერა მეთქვა. დღეს ჩემს ბავშვებსაც ზამთრის სიცხვე აბრმავებთ თოვლის ბრჭყვიალა ფერით. და სულ ერთია, თოვს თუ იწვიმებს, მზის სადიდებელს თამამად ვმღერო!

* * *

ვეღარ ვიშორებ ფიქრებს უჯიათს, ისე ადნება ღამე ნამნამებს. ულექსობისთვის ვინ დაუსჯიათ, მაგრამ ლექსისთვის ბევრი ანამეს. და თუკი მაინც ამ გზით მიდიან, ლხენად ჩათვლიან მისთვის ნამებას. ცხოვრობენ ქვეყნად, ვითარც მინდია, მერე რჩებიან მარად მზავარებად. სულმნათი ვაჟა ამ გზით წავიდა,

ხნავდა, თესავდა, ებრძოდა მინას, ის მთელ მსოფლიოს განვდა ფშავიდან, კაცი იყო და სიმღერად იქცა.

ვინ იცოდა

ნახევარი საუკუნე მინას ოფლი ვანვიმე. წვრილშვილები გაგიზარდე, გავეტოლე არწივებს. ავიმენე, დაგმმევენე სოფელი და ქალაქი. მთანმინდას არ გედავები, აქ მაქვს ძვალთშესალაგი. აქ, სოფელში, ვაჟასავით ვხნავ, ვთესავ და ვირჯები. გლეხკაცობით მომაქვს თავი, მეც მყავს გასაჯიბრები: მესიმინდე, მეჩაიე, მევენახე, მეჯოგე. ყოველ მათგანს, ღონით ძლიერს სურდა, ნამოვეჩოქე... ვინ იცოდა, სულში მენტო ლექსი ვითარც ლამპარი, ერთი ასად დამიბრუნა, სადაც თოხი დავკარი. ნამამაგარს დაველივინებ, გულს სიმღერით ვიფორებ. ხან მინაზე მწკრივებს ვავლებ, ხან ქალაღზე სტრიქონებს. შენთვის ვშრომობ, შენთვის ვფიქრობ და შენ გეუბლებული... ან შენ როგორ გეკადრება, დამივიწყო სრულებით! ნახევარი საუკუნე გინაფავდი არწივებს, სიხარულს რომ ინანილებ, დარდიც გაინანილე!

1990

გულმართალი მეკვლე ვარ, მოველ საგულდაგულოდ. ერის გამოღვიძება მოგილოცო, მამულო! ცხრაას ოთხმოცდაათი განახლების წელია. ერის ღვიძლი შვილები რახანია მელიან... მე იმ გზებით მოვედივარ, სხვებს რომ აღარ უფლია. მომაქვს ძმობა, ერთობა საქართველოვ სრულიად! სიკეთე და სიმართლე გამოვბდეს ღვთისნიერი, მსოფლიოში ბრწყინვალე რაინდული იერიით. მოლალატე, მოშურნე, ვინც თვალთმაქცობს, ცბიერობს, ხალხის რისხვა მიუზღავს კუთვნილს, სამაგიეროს. ძე, ასული გიმრავლდეს ერის სასიქადულო, ფენიქსივით აღდგომას მოგილოცავ, მამულო!

ანტონ არნანია — კრებულისა: „მე შენით ვცოცხლობ“

შინ დაბრუნება

ფრიდლანდის ტყეში განლაგებული ჩვენი საჰაერო-სადესანტო პოლკის უდიდეს ნაწილს დემობილიზაცია შეეხო. ახალწვეულებით კომპლექტდება ასეულები. ახლა დარჩენილებს გვინია დემობილიზაციამ. პოლკის მეთაურმა გზა დაგვილოცა; ხაზი გაუსვა ფაშიზმზე გამარჯვების უდიდეს მნიშვნელობას, ხიროსიმასა და ნაგასაკზე ატომურ თავდასხმებს და იმასაც, რომ საბჭოთა ქვეყანასაც გააჩნია ახალი იარაღი. კიდევ ერთხელ გვისურვა გამარჯვებულ ჯარისკაცებს ბედნიერად შინ დაბრუნება.

დემობილიზებულ ჯარისკაცებს მთავრობის ჯილდოები გადამოცეცეს: მედალი „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ და ცნობა იმაზე, რომ დაჯილდოებული ვართ მედლით „პრალის განთავისუფლებისათვის“. უფროსმა ლეიტენანტმა კოლოსოვმა გვიბრძანა ათიოდე ნუთში მზად ვიყოთ კარინიგზის სადგურისკენ წასასვლელად. კარინიგზის შევვარდი და ზურგანითა ავიღე. გზად მოულოდნელად ვიღაც გადამეხვია: — რას მირჩევ, რა ვქნა? — მეკითხება მიხაილ ოფინიკოვი. ტყვეობიდან რაც გავათავისუფლეთ, მერე ერთი დღეც არ მომცილებია.

— გამაგრდი, ბიჭო, ბევრია შენებრ უდელმამო, მაგრამ გამარჯვებული სამშობლო მოგიმართავს ხელს. სამხედრო სამსახურს რომ მორჩები, სწავლა გააგრძელებ. მომწერე, თუ როგორ წარმართავ შენს ცხოვრებას. საქართველოში თუ ჩამოხვალ, უმცროს მძასავით მივიღებ.

მისამართს ვაძლევ და ვეთხოვები. ის მაინც უკან მომდევს. კოლოსოვმა მწკრივად დავგვანყო ჯარისკაცები და საწყობთან მივიყვანა, ძეხვი, შაქარი, ორცხოზილა, კარაქი და სხვა რამ აგვალეზინა. ზურგანთან ჩავანყვე და ისევ გამოვეთხოვე რუს ყმანვლს, რომელმაც მძასავით შემეყვარა.

თითქმის ნახევარი საათი ვიარეთ სადგურამდე. პერონზე გავდით. ხუთიოდე ნუთში მატარებელიც გამოჩნდა. კოლოსოვი ყველას გამოგვეთხოვა. ჩემთან შეჩერდა.

— უღალატო მეგობრები ვიყავით. „პარტიზანსკი სკუპინა მარიჩინა-ნიკოლაის“ საიდუმლო ოცეული შენ დააკომპლექტე საუკეთესო ქართველი ბიჭებით. თუ შევძელი საქართველოში ჩასვლა, უსათუოდ გენვევი. ვიმედოვნებ, სხვებსაც შემახვედრებ, ბედნიერ შინ დაბრუნებას გისურვებ, მეგობარო! — მითხრა და გადამეხვია...

ყველა ვაგონებს მივანყვით. საფეხურზე მდგარმა პერონს გავხედე, მიხაილ კო-

ლოსოვი მიმავალ მატარებელს მოსდევდა ხელების ქნევით...

ისევ კიბზე ვდგავარ, სახელურზე ჩაბლაუჭებული. ვცდილობ თავი შევიმაგრო, მაგრამ ოქტომბრის ცივი ქარი ძვალრბოლში მატანს. ხელები მეყინება. იღბლად, მომდევნო სადგურზე შეჩერდა შემადგენლობა. ერთი ხელბარგი დატვირთული მოხუცი ჩამოვიდა, მერე — ქალიც პატარა ბიჭთან ერთად, მემეველა და ვაგონის შიგნით აღმოვჩნდი. ორი სხვაც მომყვა. მატარებელი ისევ დაიდრა, ახლა კიბზე არავინაა, ჩვენ სამნი ვიყავით და სამივეს გვეშველა.

ჩამოსვლაზე და სხვა მატარებლით წასვლაზე ლაპარაკობენ მგზავრები...

არა, ბატონო, აქ ვიდგე, ფეხზე, მირჩევნია ჩამოსვლას და სხვა მატარებლის ლოდინს. საიდან ვიცი, რომ იქ თავისუფალ ადგილს ვიშოვი. ჩამოსვლით არავინ ჩამოსულა. სხვების ნასაქებულად განაგრძობენ ისევ საუბარს, მაგრამ ყველა გასუსულია. ალბათ არ ესმით რუსული. მერე კვირა რუმინეთის ქალაქ იასში ვარ. ვერა და ვერ შევძელი კიევის და ხარკოვის მიმართულებით მიმავალ მატარებელში შესვლა. მიკვირს: როგორ უძლებენ ადამიანები მატარებლის სახურავზე განოლილად მგზავრობას. ღამეს სადგურში

ვათევ, დღისით ცხელ კერძს ვღებულობ ჯარისკაცთათვის განკუთვნილ სამზარეულოში, ცხელი წყალიცაა, რამდენიც გინდა.

იასში ჩასვლისთანავე ბესიკი — ბესარიონ გაბაშვილი მომაგონდა. მინდოდა მისი საფლავი მენახა, მაგრამ ვერ შევძლებ, სასაფლაოს და საფლავის ძებნაში ნოემბერიც მიინურება... მე კი საბრალო დედაჩემი მყოფდება...

ხარკოვის მატარებელი ჩამოდგაო, დაიდრა ხალხი. გავრბივარ, სადაც ნაკლები მგზავრია, იქით მივემართები. მგზავრები ჩამოდიან, გამცილებელს ვთხოვ შემეშვას, საგზურს ვანვდი. შემეშვა, მემეველა, ღმერთო... ვაგონში ვარ უკვე. თითქოს ხარკოვში კი არა, სოხუმში ან ზუგდიდში მივიდოდე... არც საქმელი მინდა და არც სასმელი, ისე ვიმგზავრებ ხარკოვამდე, გზადაგზა სადგურებთან ჩერდება მატარებელი, მაგრამ არა მგონია, ვინმე ჩამოდიოდეს, სულმა ნაგძლიოს და რაიმეს საყიდლად ჩამოხვიდე, მატარებელი კი დაიდრას, რას იზამ მაშინ. სულაც არ ვგრძნობ შიმშილს, ძალიან თუ მოინდომებ, ორცხოზილას ნატეხიც მყოფნის. შიმშილის სკოლა სამხედრო ტყვეთა ბანაკებში გამოვიარე...

— ხარკოვში ვართ! — დაიძახა ვიღაცამ.

7 ჩამოდიან: ვინ მსუბუქად, ვინ მძიმედ. მე და ჩემი ზურგჩანთა მსუბუქად ჩამოვხტით. პერონზე გავიარე. ჯარისკაცთა სამზარეულოს მივაკვლიე. ქვაბუნა ამისეს ცხელი კერძით. ისევ სადგურში დავბრუნდი. ბაქის მიმართულებით მიმავალ მატარებელს უნდა დაველოდო.

სამი დღეა ველოდები, მაგრამ ვერა და ვერ შევეძელი ვაგონში შეღწევა, საფეხურებზეც დაკავებული აღმოჩნდა დასადგომი ადგილი. ეს სამი დღე სულ ჩემ გვერდით უნდა ყოფნა ერთ ჭალარა აზერბაიჯანელს. „ზემლიაკს“ მეძახის და, მართლაც, რომ ვუკვირდები, უღალატო მეგობრობა იცინა.

— ნამოდი! — მეძახის ჩემი ახალგაჯენობილი „ზემლიაკი“.

— სადაა მატარებელი?
— ჩიხში დგას. მემანქანე ჩვენინანი.

შენ აგაშენა ღმერთმა! ესეც ღვთის ნყალობაა, ასეთ კაცს რომ შეგახვედრებს. „დედის ლოცვამ იცის ასე...“ გამკრა ფიქრმა.

ათოდე წუთი სიარულის შემდეგ მივადექით საბარგო მატარებელს. ვაგონში, რომელთანაც შევჩერდით, ათოდე ქალი და კაცი იყო. მამაკაცები კედელთან მოვეწყვეთ, თუმცა მოსაწყობი რა გვექნა. მას ხელში ერთი ფუთა ეჭირა, მე კი — ჩემი განუყრელი ზურგჩანთა. ფრონტული ტანისამოსი რომ ჩავაცვავს გულრიფშის ეკლესიის შენობაში, ზურგჩანთაც ახალი მოგვეცეს. მას მერე სად არ ვატარე... ახლაც

ჩანთაში მონინებით მიდევს ომგადახდილი ზურგჩანთა.

ღია კარიდან გვსუსხავს დეკემბრის ქარი. სამმა კაცმა ძლივს ჩაკეტა კარი. ახლა მხოლოდ ფანჯრიდან შემოდის დღის სინათლე.

ქალბატონ ვანდა ზარებსკას ნაჩუქარი კოსტიუმი ამოვიღე. შარვალიც და პიჯაკიც ჩავიცვი, მერე — ჩემი მხედრული ბლუზა — შარვალი. შინელი ლეიბსაზნად ვაქციე, კედელთან დავნექი და ზურგჩანთა სასთუმლად ამოვიღე. ჩემი განუყრელი ფიქრები ფუტკრებით შემომესივნენ, მაგრამ ძილისძილიც მომერია და მეც მივინებდი.

ვაგონის კარის გაღებამ გამომავლიდა. — მთელი ღამე მოვდიოდით, არსად შეჩერებულა! — თქვა ერთმა მგზავრთაგანმა!

— ვინ იცის, რა დავალება აქვს. ჩვენ ვინ გვეტყვის! — ჩაერთო, ჩემი თანამგზავრი.

— იცი, ჰორაციო, იმდენი რამ ხდება ამქვეყნად, რაც ჩვენ, ბრძენებს, სიზმარშიაც არ მოგველანდებოდა!

უყურე შენ, — გავიფიქრე ჩემთვის, — აქ შექსპირის მკითხველიც გვეყოლია!.. ახლა კი შემომეჯარნენ და ამიყოლიეს ფიქრებმა. მათთან ჭიდილში ხმამაღალი ფიქრიც მიწვეს.

— ეჰ, მე კი ვბრუნდები შინ, მაგრამ ჩემი ფრონტული მეგობრები? ისინი არასოდეს იხილავენ მშობლიურ ცასა და მთა-ზარს, საბრალო მშობლებს და ცოლ-შვილს. აქედან ელბამდე მიმოფანტულან მათი ძვლები; აზერბაიჯანელი მამედ მამედოვი, ჩემ

თვალწინ რომ გამოფატრა მონინალმდე-გის ჭურვმა; უკრაინელი სნაიპერი სერგეი კრავჩუკი, ჩემ გვერდით სანგარში მყოფი, როგორ დაფლითა ნალმა; ასმეთაური ალექსანდრე ვაშკინი და მისი მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი კოლია შენგელია; სამხედრო ტყვეთა ბანაკებში მყოფი გაუტყეხელი მამულიშვილები: ლეონტი გოგობია, ავქსენტი აბაკელია, არდალიონ ფირცხელავა, იოსებ სიჭინავა, გრიგოლ ტეგეტაშვილი, მიშა ბარამიძე, მირონ ძიგვაშვილი, რომან ფოფხაძე, გოგი მანჯაფარაშვილი, ისიდორე კანთელაძე, ევრემ ელულაძე, ვალდია კვარცხალაია, რაჟდენ ქობალია, ვლადიმერ სულაბერიძე და სხვები — სამშობლოს შენირული რაინდები... სიცოცხლე სამშობლოსათვის ნამებულთ ეკუთვნის, რადგანაც მათი ერთი სიცოცხლე სამშობლოს თავისუფლებას შეენიროს...

მატარებელი შეჩერდა. კასპიისპირეთი, ვაგონებს მოაწყდნენ მარლით მოვარენი. ვედრო მარილს სამ მანეთად ყიდია. ვილაცამ თქვა: საქართველოში მარლი არა აქვთ და აქედან მიაკეთო. მანეთიანი ვერცხლის ფული მივეცი და ცარიელ ზურგჩანთაში ჩავიყარე.

— მატარებელი თბილისში მიდის! — მეძახის ჩემი ნაცნობი აზერბაიჯანელი და გზას მილოცავს...

თბილისიდან სოხუმის მატარებელს მივეყვები. ინგირის სადგურში ჩამოვედი. დარჩელის გზას დავადექი. — დაგაყარა ღებენ! დილამდე დაიცადე! — იძახის ვილაცამ

სადგურიდან. რა უნდა წამართვან? მარილი? არადადამიანები ყველაფერს იკადრებენ. მივდივარ ფიქრებში გართული: ახლა დედაჩემი, დაქორწინებაზე დამინყებს ლაპარაკს. მართალიც იქნება. ნუცა? ტყვეთა ბანაკში მითხრეს, გათხოვდით. ზინიდა ნოზდრინა ტყვეობაგამოვილი ქალიშვილია. დედა იმაზეც თანახმა იქნება. ლიმონა რომ გავაცანი გახარებული იყო. არც ვანდა ზარებსკაზე იტყვის უარს. ჩემი ფაბრიკანტის ქალიშვილი, „ჩემი ოქროსთმიანი და თეთრხელებიანი ხოლოდა“ — გიმნაზიელი ჰედა ბუკოვსკა რომ დავანახებო, შეიძლება სიხარულით ფრთები შეესხას...

ბიჭოს, ჩემს შესახვევთან მივსულვარ. გათენებული კიდეც! ბიძებს — ბოძოსა და კალისტრატეს ვუხმე. გაიხარეს. ბიჭო-ლებიც გამომყვნენ. კალისტრატე დანინაურდა. დიდი სიხარულიც საშიშაო. ეზოში შევდივარ. კალი დედაჩემს გადაეხვია, ულოცავს შვილი დაბრუნებას...

— გვაძა, სქუა! — და ჩაიკეცა ჯარგელის ოლაჭვათირეში!
— წყალი! — წამოიძახა უფროსმა ბიძამ.

მივვარდი, ვუკოცნი ოფლით დაცვარულ შუბლს, ნაჯაფარ ხელებს, შვილის მოლოდინში მფეთქავ გულმკერდს და შვილის ცრემლებს დანატრული დედის სახეს ეცემიან თბილი კურცხლები...

ანტონ არნანია — ავტობიოგრაფიული ნიგნიდან „ერთი სიცოცხლე“ (მესამე ნაწილი)

დარჩელი უცხოელთა თვალით

თქვენ იცით, სად არის საქართველოში ქალაქ ილუმინიცეს ქუჩა?!

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით მდებარე ტერიტორიას ძველი რომაელები კოლხეთს უწოდებენ, მზით მდიდარი მხარეა, შეიძლება ითქვას, ზამთარი არ იცის, ღამე თუ მოთოვს, დილით, მზის პირველ სხივებზე დნება. სიმინდი სამ მეტრზე მეტი სიმაღლისა იზრდება, ლურჯად ღალანებენ ციტრუსოვანთა ბაღები. კიტრი ბაღში ხეებზე ასულია, თითქოს სათბურებში იზრდებოდეს. საქართველოში ყველაზე გავრცელებული მცენარეა ჩაი, რომელიც ყველგან ხარობს და რომლის გადამუშავებაც ხდება ფაბრიკებში.

ქართველებს მშვიდობიანი შრომა უყვართ.

საქართველოც აღმოჩნდა ომის ქარცეცხლში, როცა ფაშისტები თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს. დამპყრობლები მიინევდნენ კავკასიის მიმართულებით, რათა ხელთ ეგდოთ ნავთობით მდიდარი ადგილები. ქართველები ამყობნენ იმით, რომ მათაც წილი უდევთ მტრის განზრახვის განუხორციელებლობაში.

სხვებთან ერთად იცავდნენ ქართველები საბჭოთა ქვეყანას. ასე ესმოდათ მათ ჯარისკაცის მისია, როცა ევროპის გზებზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებს უმართავდნენ დამპყრობლებს და ანთავისუფლებდნენ დაპყრობილ ქვეყნებს. ომის გზებმა მიიყვანეს ისინი ჩვენს ქალაქ ილუმინიცემდე. ძნელია ამ გზის წარმოდგენა. ამ გზამ მოიყვანა ჩვენთან ქართველი მასწავლებელი ანტონ არნანია. დღეს ის პენსიონერია, უკვე ოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც ანტონ ჩებს ეძახიან თავის

ქვეყანაში, ასე შეარქვეს მას მეგობრებმა ჩეხოსლოვაკიასთან მეგობრობის თავგამოდეხული პროპაგანდისათვის. თავის ლექსებსაც ამ ფსევდონიმით აქვეყნებს. ლექსების ლირიკული გმირი მოხიბლულია კრკონოვსკის მდინარეებით. ჰორახოვი, სტუდენეცი, მრიჩნა, ლომიწა და ის ადგილები, სადაც ახალგაზრდა პარტიზანს ჩებ პატრიოტებთან ერთად უბრძოლია. მისი სუფთა გულისძგერაა მშვენიერი ლექსი „ჩებეთო ჩემო“. ეს ლექსი ავტორის უღრმესი სიყვარულის აღიარებაა იმ ქვეყნისა და ხალხისადმი, რომელიც პოეტმა კარგად გაიცნო და სამუდამოდ შეიყვარა. ანტონის ლექსებს, როგორც ჩვენ ვნახეთ, საქართველოში კითხულობდნენ და არა მარტო მოსწავლეები, ლიტერატურისა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები.

ანტონ არნანია ჩვენი ქვეყანა ბევრ სტატიაში გააცნო თავის თანამემამულეებს. პოეტი ხშირად მიმართავს სამხედრო თემატიკას. რატომ? მან ღრმად შეიცნო ომი. ის ხომ მოხალისედ წავიდა ომში ახალბედა მასწავლებელი და დედისერთა ვაჟიშვილი.

1942 წლის მაისში ტყვედ ჩავარდა ყირიმის ფრონტზე. მოთმინებით იგონებს ფაშისტურ ბანაკებს: ლუკცი, პეტროვკა, სედლიცე, ბელა-პოდლასკა; ტყვეობის ავადმოსაგონარ წლებს. ვარშავის და პოზნანის შრომის ბანაკებიდან ორჯერ გაქცევას.

1944 წლის შემოდგომაზე აღმოჩნდნენ სოფელ ბენეშოვოში, საიდანაც პერტიმოვთან ტყეს შეაფარეს თავი. თანამებრძოლებმა: გაბო კოპალიანი, გოგი მანჯაფარაშვილი, რომან ფოფხაძე, დურუ მოლაშხია, არდალიონ ფირცხელავა და სხვებმა,

ჩამოძინებულმა და ძალაგამოცლილებმა, დიდი ხნის უჭმელემა ანტონი გაგზავნეს პირველივე მოსახლესთან, ოჯახის წევრებმა პირველად ეჭვით შეხედეს. მერე ანტონის ამხანაგებიც მიიწვიეს შინ. დასახლისა მა პური და ცხელი კარტოფილი მიართვა. ოჯახის უფროსმა რჩევაც მისცა მათ, თუ როგორ უნდა მიეკვლიათ პარტიზანებისათვის. ასე აღმოჩნდნენ მრიჩნაში. დღესაც მადლიერების გრძნობით იგონებენ მრიჩნისა და პერტიმოვის მცხოვრებლებს, მათი წყალობით დარჩნენ ცოცხლები.

ანტონმა გაიხსენა ჯერ კიდევ 1976 წელს ვოლფების ოჯახი. მათი გოგონები: მილადა და ბოჟენა. პერტიმოვსა და მრიჩნაში ასეთი ოჯახი ვერ ვნახეთ. ამიტომ საფიქრებელი იყო, ილუმინიცეს გარეუბანში იქნებ ყოფილიყვნენ. 1982 წელს ანტონმა ჩვენთან ყოფნისას ნაცნობ ხოლმე შეგვაჩერა. ეს იყო კოზინეცი.

— აქ, აქ იყო ის! — წამოიძახა ანტონმა, — აი, იქ ვიდექით... იქიდან დავეშვი! კართან გამოჩნდა ოჯახის დიასახლისი ვოლფოვა, მაგრამ ვერ იცნეს ერთმანეთი. ეს უკვე ავადმყოფი ქალია, ხოლო ქართველი თმადათოვლილი ბაბუა. უმაღ პოვეს მათ საერთო ენა და ვოლფოვამ იცნო ის. ანტონმა 37 წლის შემდეგ აგინერა მისი ქალიშვილები.

ანტონ არნანიას ჯგუფში იყო ალექსანდრე კვინჩია, დამწყები მასწავლებელი. მამასთან და ძმებთან ერთად გაინციეს ალიოშა. შემდგომში ისინი არასოდეს შეხვედრიან ერთმანეთს. მათგან მხოლოდ ერთის საფლავი იცის დედამ. ალიოშაც ანტონის „საიდუმლო ოცეულის“ პარტიზანია, პარტიზანსკი სკუპინა, მორინა ნიკოლაის პირველი ოცეულის მებრძოლი. იმ დღეს საბედისწერო შტაბს იცავდა ალიოშა. მარტომ გადაწყვიტა დასავლეთისკენ გაჭრილი

გერმანელთა სამხედრო ნაწილის შეჩერება. მძიმედ დაიჭრა.

ანტონმა 1976 წელს გვიამბო: — ალიოშა მოკლეს. სამი დღე ესვენა ეკლესიაში. 12 მაისს დავასაფლავეთ. პროცესიას თავში მღვდელი მიუძღოდა, მერე, ორ მწკრივად ქალიშვილები და ბიჭები ყვავილებით ხელში, შემდეგ პარტიზანები და ბოლოს მოქალაქენი. მღვდელმა განაცხადა: განთავისუფლებული ილუმინიცეს მცხოვრებლებს მარად ესხომებათ ალიოშა კვინჩია.

შემდეგ გამოვიდა ქალაქის თავი. მერე საბჭოთა არმიის მაიორი. ბოლოს, მეგობრების თხოვნით ანტონმა უთხრა გამოსათხოვარი, მან მშობლიურ ენაზე ილაპარაკა პარტიზანულ რაზმში ერთად ყოფნაზე, დიდი გამარჯვების დღეს ალიოშას ტრაგიკულ ბედზე და სიტყვა მისცა: თუ ოღესმე შეძლებდა ჩებეთში დაბრუნებას, მისთვის, საფლავზე მოსაყრელად ჩამოიტანდა მუჭა მიწას.

1965 წელს, როცა გადაწყდა გამარჯვების ოცი წლის თავთან ჩებეთში წასვლის საკითხი, წულუკიძის რაიონში, სოფელ კონტუათში ეწვია ანტონი ალიოშას დედას. წამოიღო „მუჭა მიწა“ სახლის ლავაროში აღებული, დედის კაბის ნაჭერში გახვეული.

1965 წლის მაისში ქართველთა დელეგაციის თანდასწრებით მოაფრქვია ანტონმა ალიოშას საფლავზე მშობლიური მიწა და კაბის ნაჭერი იქვე ჩამარხა. მას მერე ათგზის გვეწვია ჩვენი მეგობარი ანტონი და ყოველთვის ერთად ვაკითხავთ ჩებეთის განთავისუფლებისათვის მებრძოლი პარტიზანის ალიოშა კვინჩიას საფლავს.

ირინა ლუშტინოვა, ილუმინიცეს №2 საშუალო სკოლის დირექტორი

აიჭრენ, ჩამოყარეს რაც მოეწონათ. მერე სახლს ცეცხლი წაუკიდეს — გადაბუგეთ ტილიანი მეგრელები, გაიძახოდნენ და განუწყველივ ისროდნენ. გზაზე ეყარა დახოცილი ღორი, ძროხა, კამეჩი. ავტომატომარჯვებული ქალი აფრთხილებდა ჩემს ოჯახში შემოჭრილ ჯარისკაცებს: კარგად შეახვიეთ ხალიჩები, არაფერი არ შეაჩინოთ!

— აი, რა ქნეს, როგორ დავგტოვეს ღია ცის ქვეშ! — მეუბნება კაკო ჭანტურიას მეუღლე.

რას იტყვი? სად უნდა ეძიო კანონი?!

ანტონ არნანია, ვალიკო შონია — ნიგნიდან „დარჩელი“

თამაზ ფიფია

რესპუბლიკური პრესა დარჩელის ტრაგედიაზე (ნაწყევტი)

დარჩელში სახელგანთქმული ქურდები შემოდიან...

დღეს, ნაშუადღევსთვის დარჩელში შემოვიდნენ სამხედროები სამი მანქანით. გაძარცვეს რამდენიმე მოსახლე რუსთაველის ქუჩაზე (ზუგდიდი-ანაკლიის გზა) და ავტომატების სროლით წავიდნენ ზუგდიდისკენ, თან წაიღეს ნაძარცვი მანქანები და სხვა ნივთები.

16 ნოემბერი. დაახლოებით 11 საათის-

ვის მთავარი მაგისტრალიდან (ზუგდიდი-ანაკლიის გზა) სროლის ხმა გაისმა, რაც ავტომატების ჯერში გადაიზარდა. სროლა გრძელდებოდა, რუსთაველის ქუჩაზე გასულს რამდენიმე მეზობელი დამემგზავრა.

სააბსანძოში მოსახლეობა და ლტოლვილები გამოფენილიყვნენ, სოფლის ცენტრიდან მოსულნიც იყვნენ. შეიარაღებული ჯგუფი გამოჩენილა ორი მანქანით. მათ გაუძარცვავთ რამდენიმე ოჯახი. სოფლის ცენტრის ახლომახლო ზოგიერთ ოჯახში ორჯერ შესულან. საჯაიებთან ისევ შეაჩერეს მანქანები. შევიდნენ ვალერი საჯაიას, ჭეჭიძის, გურამ აბსანძის, კორსანტელ ხუბუას, აკაკი ჭანტურიას და სხვათა ოჯახებში, გაძარცვეს ისინი და დაადგნენ ზუგდიდის გზას. ჩასაფრებულმა პირებმა ააფეთქეს მძარცველთა მანქანები, გაჩაღდა სროლა ორივე მხრიდან...

რას იტყვი? სად უნდა ეძიო კანონი?!

დაახლოებით ნაშუადღევსათვის დამრბენი ისევ გამოჩნდნენ. გაჩაღდა სროლა ავტომატური იარაღიდან და ჯავშნიანი მანქანებიდან. ცეცხლი გაუჩინეს უბრალო ადამიანების ოჯახებს, რომლებსაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ მთავრობის ნაწილმდე შეჯახებებში. შეღამებისას ფორმანმა ყარაღებმა დატოვეს სოფელი. დარჩა ნასახლარები — 27 გადამწვარი სახლი.

— ვნახეთ თუ არა, რომ ავტომატიანებს ტანკიც შემოჰყვია, მეზობლის ეზოში აბანოში ჩაიკეტეთ, — მეუბნება გურამ აბსანძის მეუღლე. — ზემო სართულზე

ჯავშნოსნიდან ისროდნენ... მოსახლეობა გარბოდა

გზაში, როდესაც სახლდამწვარი დარჩე-
ლელეების სანახავად მივდიოდით, ბატონმა
ანტონმა ზოგი რამ დამიზუსტა:

სოფელ დარჩელის დიდი ძარცვა 13 ნო-
ემბერს დაიწყო და ასევე გრძელდებოდა 14-
15-16 ნოემბერს. აღარც ლტოლვილები და-
ინდეს. მცირე შეპასუხებაც საკმარისი იყო,
რომ ადამიანისათვის ტყვია ესროლათ.

დარჩელის ცენტრალურ შარაგზაზე
პირველი შეგვეხვდა ნუგზარ ჭყეია:

— აქ, რომ ამბავი იყო, ომში არ იქნებო-
და ისეთი. იმ ავადსახსენებელ დღეს, წინ
ავტომობილების სროლა-სროლით მოდიოდა
მსუბუქი მანქანა, უკან ჯავშნოსანი მოყ-
ვებოდა და იქიდან ტყვიამფრქვევებითაც
ისროდნენ. მერე კამაზი მოჰყავდათ. შეში-
ნებული მოსახლეობა გარბოდა, ის „გმირე-
ბი“ კი უპატრონოდ მიტოვებულ სახლებს
ჯერ ძარცვავდნენ — შერჩეულ ნივთებს
კამაზისაკენ მიარბენინებდნენ, დანარჩენს,
რაც ხელში მოჰყვებოდათ, ამტვრევდნენ;
მერე სახლების უმეტესობას ცეცხლს უკი-
დებდნენ, მით უმეტეს, თუ კარგი სახლი
იყო! ჩემი სახლი არ დაუნვათ, მაგრამ თუ
რამ მათთვის გამოსადეგი შეამჩნიეს, წაი-
ლეს, აეჯი და ჭურჭლეულობა დამიტვრი-
ეს... გასაოცარია, რომ ზოგ მათგანს ჯვარი
ეკეთა, ჩემი სახლიდან ბიბლიაც წაიღეს...
მკვლელი, მძარცველი, ქურდი და ოხერი
რომ ხარ, ბიბლია რაღად მიგაქვს! ძალიან
მაკვირვებს ეგ!

დახოცეს, დაწვეს, მოსპეს...

გურამ აბსანძემ მოკლედ მოსჭრა: „მო-
ვიდნენ, სახლი დაწვეს, სამზადი დაწვეს,
მალაზია დაწვეს...“

მეუღლე გული კონჯარია აგრძელებს:
„სროლით შემოვიდნენ ეზოში. ბეტერიდან
გვესროლეს და სახლს ცეცხლი გაუჩინეს.
ჩემთან აფხაზეთიდან ლტოლვილი დაც
იყო. სად დავმალულიყავით არ ვიცოდით,
ოღონდ არ მოვეკაცეთ და სახლის დაწვეა
მამინ არაფრად არ მიგვაჩნდა. ისე დამლი-
გინებდნენ, მათი შეხედვა შეგზარავდათ...“

თხრილში, ოთხი საათის განმავლობაში
წყალში ვინექით ბავშვებიანად...

... სასურველია, რომ აკაკი ჭანტურიას-
თან მივიდეთ, ის არის სახლდამწვარი დარ-
ჩელელების პირველი ჭირისუფალი, მათი
წინამძღოლი. სხვებზე უკეთ იმან იცის ყვე-
ლა გასაჭირი, — მითხრა ბატონმა ანტონ-
მა.

გზაში აკაკის ვაჟი დაგვეგზავრა და
შინ, სამზადში შეგვიყვანა. ორსართულიანი
დიდებული სახლი ნალმსტყორცნიდან წას-
როლი ჭურვით დაეწვათ. თავს გადახდე-
ნილი უბედურების გახსენებამ ქალბატონ
ნათელას სადარდებელი განუახლა:

— ეს რა გამოვცადეთ! აბა, სიტყვე-
ბით როგორ გადმოვცეთ! ჯერ ზუგდიდში,
როცა ვნახე როგორ ძარცვავდნენ მცხოვ-
რებლებს, ცხარე ცრემლით ვტიროდი.
ერთი კვირის შემდეგ მე ბევრად უარესი
ხვედრი მელოდა თურმე.

საჯარისო ფორმირებები იყო თუ ბან-
დები, მე რა ვიცი, მამინ სამთავრობო ჯარი-
აო, ამბობდნენ... ყოველგვარი სისაძაგლის
უფლებას აძლევდნენ თავიანთ თავს, ცხა-
დია, სწორედ ხელისუფლებისაგან იყვნენ
შეგულიანებული. სახლების დამწველები
მოვიდნენო, გნისა რომ ატყდა, ხალათითა
და ჩუსტებით გამოვვარდი. ქუჩიდან ხომ
გვესროდნენ და უნიდან, ჩაის ფართობი-
დანაც დაგვიშინეს.

— დაწვით! გადაბუგეთ! ძირბუდიანად
მოშალეთ! არ დატოვოთ არც ერთი ცოცხა-
ლი! — ისმოდა ქალის ხმა.

მე მგონია, მშვიდობიან მოსახლეობა-
ში გერმანულ ფაშისტებს არ გაუკეთებიათ
ასეთი რამ.

ერთი მძარცველი ეუბნებოდა მეორეს:
— ტო, ნახე, ყველა ოჯახში ტელევიზო-
რი ყოფილა!

უმრავლესობა 17-18 წლის ახალგაზრ-
დები იყვნენ. სად გაიზარდნენ, ასეთ არამ-
ზადებად როდის ჩამოყალიბდნენ ვინ ანდო
მათ იარაღი და ასეთი უფლებები!

117 კაციანი ჯგუფი მოსულა ჩვენთან,
ახლა კი 12 თუ 17 მხედრიონელი სამართ-
ლდება. დანარჩენები სად არიან?!

აკაკი ჭანტურია: დარჩელის
ტრაგედია ხელისუფლების
კისერზეა...

... აკაკიმ ვეება საქალაქე გამოიტანა
და მაგიდაზე დადო. მალე იქაურობა დაი-
ფარა წერილებით, განცხადებებითა და მი-
მართვებით. მათ გადასახედად ერთი დღეც
არ იქმარებდა.

— ყველაფერი დავაზუსტეთ, გადამწვა-
რია 23 ოჯახი...

— 27 სახლია დამწვარი, მაგრამ ზოგი-
ერთი მამაშვილი ერთ ოჯახად არის ჩათვ-
ლილი, — გაანწყვეტინა აკაკის ანტონმა.

— დიახ, ასეა და განადგურებულია კი-
დეც 15 ოჯახი. მათგან ბევრი ჯერაც ღია
ცის ქვეშ ცხოვრობს. გაძარცვულია უთვა-
ლავე მოსახლე — ზოგმა არც კი განაცხადა
ამის შესახებ. ალბათ იცოდნენ, რომ არაფე-
რი არ აუნახდაურდებოდათ. ჩვენ კი მივე-
ძალეთ ხელისუფლებას, მაგრამ რად გინდა.
ბევრი გვატყუებს. პარლამენტში ჩვენს გასა-
ჭირზე მხოლოდ ელენე თევდორაძემ თქვა
და გახსენა ირინა სარიშვილიმაც. შედეგი
არ ჩანს. ახლა ინერება, თითქოს საომარი
მოქმედებების დროს დაიწვა სახლები. ეს
რომ სიცრუეა, განა გამწარებული ხალხის
სამტიკცებელი უნდა იყოს?! ყურადღებას
რომ არ გვაქცევენ, იმიტომაც გადავკეტეთ
რამდენჯერმე სოფლის ცენტრალური ქუჩა
ზუგდიდი-ანაკლიის გზა.

... ახლა რომ გვეუბნებიან, მხედრიონი
სამთავრობო ჯარი არ იყო, აი ამას, ჩვენი
მიმართვის პასუხად, გვენერს სქართველოს
პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კო-
მიტეტის თავმჯდომარე ზაზა სიორაძე. ეს
არის თვალეში ნაცრის შეყრა. მაშ, ვისი
განკარგულებით და ვისი დავალებით შემო-
ვიდნენ ზუგდიდში, მთელ სამეგრელოში?!
სინამდვილე ყველასათვის თვალნათელი
უნდა იყოს — მხედრიონი მამინ სამთავრო-
ბო ჯარი იყო და ამიტომაც დარჩელის ტრა-
გედიაზე ბრალს სამართლიანად ვაკისრებთ
ხელისუფლებას... ახლა ჩვენ მოვამზადეთ
ღია წერილი საქართველოს გენერალური
პროკურორისადმი და სიმართლე უნდა
გითხრა, მის გასაგზავნად ფულიც არა
გვაქვს. იქნებ გამოვვიქვეყნოთ და მერე
რედაქციამ გადაუგზავნოს... აი, ეს იქნება
ნამდვილი დახმარება!

„ლაშარის გორის“ მთავარი რედაქ-
ტორის გულისხმიერებით დაიმედებული
ბატონ აკაკის შევპირდი, რომ ამ თხოვნას
შევასრულებდი.

დარჩელის უსასრულო ღამე

ღამეა. ჩანკვარამებულ დარჩელში, სა-
დაც ელექტრონი დიდი იშვიათობა გამხ-
დარა, უამრავ წერილ თუ ფართო წყალ-
ჩამდგარ ორმოებიდან, ვითომ ასფალტო-
ვან მთავარ ქუჩაზე ბატონი ანტონი და
მე ფრთხილად მივაბიჯებთ, რათა კიდევ
უფრო მეტად ფეხი არ დაგვისველდეს.
გარდიგარდმო წყვდიადში ახლა არა ჩანს
მხედრიონელთა „ავტოგრაფები“, მაგრამ
სრულ მღუმარებაში გამოსჭვივის სოფლის
ვეება ნაღველი. ვსაუბრობთ წალენჯიხელი
და დარჩელის ჭირისუფალნი და ვეუბნე-
ბი: მანამდე წალენჯიხაში ჩადენილი ბო-
როტებისთვის მხედრიონელთათვის პასუ-
ხი რომ მოეთხოვათ, არ იქნებოდა იმდენი
აწიოკებული ადამიანი არც სამეგრელოში
და არც აფხაზეთში, არც კერძოდ დარჩელ-
ში. მათ ძირითადად წალენჯიხაში შეიქმნეს
„ყოვლისშემძლეთა“ ავტორიტეტი და და-
უსჯელობის სინდრომით აღიჭურვნენ.

— ომიც რომ იყოს, — მეუბნება ნაომარი
და საკონცენტრაციო ბანაკებში ნამყოფი,
მრავალჭირგადანახადი ბატონი ანტონი. —
ეს იმას როდი ნიშნავს, კაცმა შენი სახე და-
კარგო და მონინაალმდეგისთვის ვამპირად
იქცე. ფაქტიურად მონინაალმდეგის არარ-
სებობის პირობებში კი, მშვიდობიან მოსახ-
ლეობაზე, თანაც შენს თანამემამულეებზე
ნორმალურმა კაცმა ხელი როგორ უნდა
აღმართო! მოჩვენებითი ძალაუფლების
ნამცეცებით ისე როგორ უნდა გალაღდე,

რომ თავი დაუსჯელად წარმოიდგინო. ეს
ხომ რეგენობაა და თანაც სატანიზმთან,
უკიდურეს ბოროტებასთან წილნაყარიც.
ვის სჭირდებოდა ისინი და ვინ გამოიყენა?

— იმათ ხომ არა, ამის შედეგად მმართ-
ველობაში რომ მოექცნენ და გაძვალტყავე-
ბული, მშიერი თანამემამულეების თვალ-
წინ ძალადობით, მკვლელობით, ძარცვა-
გლეჯით ვეება ქონება დაიმკვიდრეს?! და
ახლა სინდის-ნამუსზე საუბართი აქეთ რომ
გემოძღვრავენ?!

... ჩემს თვალწინ მოხდა
საქართველოს დაცემა

7 დეკემბერი, 1993 წელი. „... თითქმის
ოთხმოც წელს მიმდგარი ვაგრძელებ ჩანა-
წერებს. სიბერის ჟამს წილად მერგო ჩემს
თვალწინ მომხდარიყო საქართველოს და-
ცემა.“

ჩემთვის დამახასიათებელი ღიღინიც
დამავინყდა, რადგანაც იმით, სულ ერთია,
მოჯარულ ფიქრებს ვერ ვიცვილებ. ოჯა-
ხებიდან გამოყრილ, დახოცვას ბედზე გა-
დარჩენილ ლტოლვილებსა და თანასოფ-
ლელებს რომ ვხვდები, გული მიკვდება
მიშველ-ტიტველი, სულიერად გამოფიტუ-
ლი თანამემამულეების შემხედვარეს.

რა ეშველებათ ამ გაუბედურებულ ადა-
მიანებს, რომელთა უმეტესობას არც კი ეს-
მის რა მოუვიდა, მიზეზი მათი უბედურები-
სა რაა, ან ვინაა! "

გაზეთი „ლაშარის გორი“, 1996 წ.

ანტონ არანია, ვალიკო შონია —
ნიგინდან: „დარჩელი“.

ეს იყო მამინ,
იმ ავადსახსენებელ დროს,
როცა მოზარდებსაც
აციმბირებდნენ

1915 წელს სოფელ დარჩელში, ერთ
პატარა ღარიბულ ძმათა შორის გასაყოფ
ოჯახში დაიბადა მომავალი დიდი პოეტი —
ანტონ არანია.

მამა ადრე გარდაეცვალა, მძიმე ავადმ-
ყოფობამ — ისპანკამ იმსხვერპლა. დედამ
ახლო მეზობელი — ძაკვალა ბაგათელია
მეურვედ დაიყენა და ძირითად ოჯახს გა-
მოეყო — ჯარგვალის დაიდგა, მინის იატა-
კი და 2 ხის სანოლიც აკმაყოფილებდა. არ
ჰქონდა დიდი პრეტენზიები ცხოვრებაზე,
თავის ერთადერთს — ჯანმრთელობას შე-
ნატროდა და ის იყო მისი სალოცავი, სხვას
არას დაგიდევა რას.

სკოლაში წასვლის დროც დადგა, ლა-
მაზი ნაჭრისაგან თავისი ხელით ჩანთა
შეუკერა, მხრებზე გადაკიდა გვაძას (ასე
ეძახოდა ანტონს). პატარა ღელე, რომელიც
იქვე ახლოს ჩაუდიოდა, ხელში აყვანით
გადააქცია. გზა დაულოცა, ჭკუით იყავით
დამოძღვრა და თვითონ უკან თვალცრემ-
ლიანი გამობრუნდა. სიხარულის ცრემ-
ლებს ხელის გულით ინმენდდა, ბედნიერი
იყო, უკვე „დიდი“ იყო მისი შვილი — სკო-
ლის მოსწავლე გახდა.

დრომ უსწრაფესად გაიარა. საშუალო
სკოლის ბაზის უქონლობის გამო გვაძა
სწავლას ზუგდიდში აგრძელებს. უკვე IX
კლასის მოსწავლეა, თუმცა არაფერი აკლ-
და, დედის ალერსი, არც საჭმელ-სასმელი,
არც მეგობრები. ნალვლიანი გახდა. ირგ-
ვლივ გამეფებულა სიღუჭჩიერ — ქალის
გაუსაძლისი ხვედრი, საკოლმეურნეო ველ-
მინდვრებზე მათი ჭაპანწყევით მუშაობა
უკლავედა გულს. ჩაფიქრებულმა, თითქოს
ზეციდან უკარნახესო, ლექსი დაწერა —
„მე და შენ“, სადაც თავისუფალ ქალს, მის
უკეთეს მომავალს შეასხა ფრთები.

ლექსი ხელიდან ხელში გადადიოდა, ეს
რა დაუნერია. მისგან დიდი ადამიანი დად-
გებო — ულოცავდნენ დედას, ბარაქალა
შენს ქალობას, კარგი შვილი გეზრდება,
შეჰნატროდნენ მის ბედს მეზობლები.

ლექსმა საქ. კპ. ზ. რ. კომიტეტის ყურამ-
დისაც მიაღწია. დასხდნენ, განიხილეს, არ
მოეწონათ. აღმოფთვდნენ, გასაციმბირებე-
ლიაო — დაასვენეს და კატორღაში გასაგ-
ზავნის კიდევ ერთი სახელი და გვარი —
ანტონ არანია დაუმატეს.

დედის გულმა იგრძნო ავისმომასწავე-
ბელი ამბავი, მეზობლებმა ნელ-ნელა შეა-
პარეს და — „გვაძააა“, სად ხარ, აკვილდა
მშობელი.

გვაძა, შვილო! ეს რა ლექსი დაწერე
ისეთი, რომ გადასახლებას გიპირებენო,
ცრემლში იხრჩობოდა, ღვარად ჩამოსდი-
ოდა სისხლი ჩამოფხრუნული ლოყებიდან
საწყალ ქალს, შვილი მომესწრო, მალე და-
ცოლშვილდებო ფიქრობდა — ახლა კი
სამუდამოდ უნდა გამოთხოვებოდა მას. კა-
ტორღიდან დაბრუნებულს რომ ცოცხალი
დახვდებოდა, ამისი იმედი იოტისოდენაც
არ ჰქონდა, ყველა იმედი გადაეწურა.

გვაძამ ყური არ უგდო დედის ვაი-ვიშს.
არც თვითონ ჰქონდა დიდი იმედი, მაგრამ
არ დააყოვნა. ნავიდა თბილისში მარტოხე-
ლა, საქართველოს მწერალთა კავშირს მი-
ადგა თხოვნით, მისი ლექსი განეხილათ.

განიხილეს.
ყოჩაღ! ქების ღირსი ხარ. შენი ლექსი
ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაზეაო, უთხ-
რეს, სულ მალე დიდი პოეტი გახდები —
უთხრეს, მიულოცეს წარმატება.

გახარებული დაბრუნდა შინ. ნახევრად
ცოცხალ-მკვდარ დედას მიახარა!

დედი! გამამართლეს — ნუ გეშინია
— მე აგერა ვარ, შენთან, შენთან ვიქნები,
არავინ გამაციმბირებსო. ეს მაშინ მოხდა,
იმ ავადსახსენებელ დროს, როცა მოზარ-
დებსაც აციმბირებდნენ.

ასე დაიბადა დიდი პოეტი — ანტონ არ-
ნანია.

ეთერ კოდუა,
გაზეთი „დარჩელი“.
2008 წ.

წრფელ სიტყვის მაღლი
დაგელოცოთ, ბატონო ანტონ!

უძღვნი ბატონ ანტონ არანიას

წელთა სიმრავლე კაცურ კაცის
არის მშვენება,
განცდილ-ნანახი გარდიქნება
როდესაც სიბრძნედ,
ჩვენი შეხვედრა ძნელბედობით
უფალს ენება,
გაგიცანით და მოწინება თქვენდამი
ვიგრძენ!
უთუოდ გახსოვთ: დარჩელელთა
გადამწვარ ქუჩას
ორნი მიყვებით ტლაპოებში
მოსიარულე.
ღვთიურ სასამელმაც სატკივარი
ვერ გაგვიყურა
და მთვარის შუქზე მწუხარება
სოლოს ასრულებს.
იქ წალენჯიხა — აქ დარჩელი
გვტკივა ორივეს,
— ისიც, ზოგი რომ ვერ ერკვევა
მაინც რა მოხდა!
ცხადია, ვიცით, ყროლნი სპეტაკთ
ვერ მოერივნენ,
მაგრამ სისხლძარღვი დაუსერეს
გულის აორტას.
სალბუნებს აფენთ მართალ კაცის
ყველა ჭრილობას,
როცა დიდ სათქმელს სადღეისო
ფოლიანტს ანდობთ,
თქვენ, ვინც ამშვენებთ მამულიშვილთ
თავშეყრილობას,
წრფელ სიტყვის მაღლი დაგელოცოთ,
ბატონო ანტონ!
თქვენი აღზრდილნი განსაცდელშიც
მგვრიან იმედებს
და ნულარ მკითხავთ, მოხიბლული გცემთ
თაყვანს რატომ,
მართლა მშურს მათი, გაკვეთილზე
თქვენ რომ გისმენდნენ,
გთხოვთ თქვენს მოსწავლედ
მიმითვალთ,
ბატონო ანტონ!

თამაზ ფიფია.
17.02.2003.

ყურნალი „დარჩელი“.
2003-04.

ქახილი შორეული წარსულიდან



იოსტინე შენგელია

(ფოტო გადაღებულია თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლისას).

ბასული საუკუნის 80-იანი წლები საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროში წარმოადგინა. იმპერიის კლანჭებისგან დახსნილი ქვეყანა თავისუფლების ძნელად სავალ გზას დაადგა. ხარობდა ერიც და ბერიც, მაგრამ სიხარული ხანმოკლე გამოდგა. მოლაღატე ქართველებმა, იმპერიული ძალების დახმარებით, სასტიკი იერიში მიიტანეს ქვეყნის თავისუფლებას. სისხლის ტბები დააყენეს სოფლად თუ ქალაქად, იარაღის ძალით განდევნეს ხალხის მიერ არჩეული კანონიერი ხელისუფლება და ეს გაუგონარი დანაშაული „საერთო-სახალხო აჯანყებად“ მონათლეს...

ლაღატმა, შურმა, გაუტანლობამ, ძმთაკვლამ, უიმედობამ და ნკვარამმა დაისადგურა ყველგან, რასაც თან ახლდა მოსახლეობის არნახული ძარცვა, შეურაცხყოფა და აბუჩად ავადება. „ავტომატის ენით დიალოგი“ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა...

ანარქიას ვერც წალენჯიხის რაიონი გადაურჩა. წგრევამ და პარტახმა თავისი მსახვრალი ხელი დაატყო სოფლებს და მათ შორის ობუჯსაც... ასე ჩაიარა XX საუკუნემ, XXI-მ კი უღრიალით შემოალო კარი...

I

ასეთ რთულ ვითარებაში, 2002 წლის შემოდგომაზე, ჩვენს სოფელში შეიქმნა ე.წ. „საძმოს“, რომელიც თავის რიგებში 13 წევრს აერთიანებდა. „საძმოს“ წევრები იყვნენ: დიდიკო მებონია, აბელ მზარეულა, შოთა ფიფია, ჯანიკო ფიფია, ვალიკო მირცხულავა, გულიკო მხეიძე, ალიკო კონჯარია, ედემ ხასია, რეზო აბულაძე, ჯანგულ მესხია, ნუგზარ მესხია, ნუგზარ (ძოლო) კონჯარია და იან კაკაჩია.

სამწუხაროდ, „საძმოს“ შემადგენლობას შემდგომში გამოაკლდნენ: შოთა ფიფია, ვალიკო მირცხულავა, ალიკო კონჯარია და რეზო აბულაძე. უფალმა ნათელი დაუმკვიდროს მათ სულს...

„საძმოს“ წევრები შეხვდნენ სოფლის მამულში რწმუნებულს ბატონ დავით (გოჩა) მესხიას და წამოაყენეს სამი ინიციატივა: უპირველესად უნდა შემოკავებულიყო სოფლის სამივე უბნის (ცენტრი, ჯადირი, სამეხსიო) სასაფლაოები, რომლებიც, უნდა ვაღიაროთ, ჩვენთვის უგერგოების შედეგად მიშვეებულია და თითოეული ჩვენგანისაგან მეტ მოვლა-პატრონობას საჭიროებს!

მეორე ინიციატივა ასეთი იყო: ობუჯი-ჯადირის დამაკავშირებელ ხიდს, რომელიც ოთხ ათეულ წელზე მეტია მდინარე ჭანისწყალზე გადაებულია და რომელსაც ვერავითარმა სტიქიამ ძვრაც ვერ უყო, მინიჭებოდა ობუჯის ყოფილი კოლმეურნეობის თავკაცის — ველოდ კადრიბის ძე მებონიას სახელი.

და მესამე, ყველაზე მთავარი ინიციატივა: სოფლის ცენტრში, სადაც ძველი ნაეკლესიარი იყო და რომელშიაც ესვენა სახელგანთქმული ქიარის ხატი, უნდა აშენებულიყო ახალი ეკლესია და მას სოფლისათვის ძველი დიდება დაებრუნებინა. ეს კი მეტად მიმზიდველი და საინტერესო ინიციატივა გახლდათ! ესარგებლობით შემთხვევით და ამ საქმის ინიციატორებს სოფლის სახელით მადლობას მოვასხენებთ!

მონდობება სოფლის მოსახლეობამ არ დაიშურა. გაინმინდა ადგილი, გაიჭრა საძირკველი, რომელიც აკურთხა ზუგდი-

დის ვლაქერნის ღმრთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა მალხაზ ჭანტურია. იმავე დღეს მამამ აკურთხა ობუჯის თემის №1 საჯარო სკოლა, რასაც დიდი ხანია მოუთმენლად ელოდნენ სკოლის მოსწავლეები და აღმზრდელ-მასწავლებლები.

ეკლესიის საძირკველისათვის საჭირო ქვები მოტანილ იქნა მდინარე ჭანისწყლის სანაპიროდან. იქ, ძირითადად, ახალგაზრდობა მუშაობდა. აი, მათი სახელებიც: ბაჩუკი (მომავალი მამა ბასილი) კაცია, გურამ ქებურია, მინდია ზარანდია, ირაკლი (მანუჩარ) რაფავა, კობა აბულაძე, ლაშა აბულაძე, გოგიტა ხარჩილავა, ლევან ჭიჭალა, თადეოზ კალანდია, მალხაზ მესხია, ელდარ გამრეკელიძე, პაატა მესხია, სულხან სოგელია, რამაზ აბულაძე, ჯუანშერ (ჩატო) მესხია, ბექა სოგელია, რუზენ (ჩიქო) აბულაძე, ილიკო სოგელია, გოგა



დეკანოზი ეგენი შენგელია, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდესთან ხელმარცხნივ. 1915 წელი.

სოგელია, კახა ბელქანია, დურმიშხან გიგობერი, და ვალერი ძაძამია.

საერთო საქმეს ხელმძღვანელობდა „საძმოს“ ერთ-ერთი წევრი, სოფელში პატრიოსნებით გამორჩეული პირი აბელ მზარეულა. უნდა აღინიშნოს ობუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეთა დაუზარელი შრომა, რომელსაც ხელმძღვანელობდა სკოლის მამინდელი დირექტორი, ქალბატონი ციალა სამუშია. მოსახლეობამ, სოფლის სამივე სკოლის პედკოლექტივის წევრებმა და მოსწავლე-ახალგაზრდობამ შესანიშნავი ხარისხით გარკვეული თანხა გაიღო, მართლაც საშეიღებელი საქმე!

შეიტყო რა დიდად სასიკეთო საქმის წამოწყება, ჩვენი სოფლის მკვიდრმა, ქველმოქმედმა, ბატონმა გაიოზ ქარდავამ, ძალები არ დაიშურა საკუთარი წვლილის შესატანად, გადაიხარჯა 10 000 დოლარი და ეკლესიის მშენებლობამ წინ წაინია...

შემდგომ მიზეზთა გამო მშენებლობა შეჩერდა.

2008 წელს დაწყებულ საქმეს გამგრძელებლად გამოუჩნდა სკოლის კურსდამთავრებული, რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენი და ქველმოქმედი, ბატონი აბესალომ (ბადრი) გულორდავა. სხვათა შორის, სოფელი ობუჯი მისი დედუღეულობაა.

სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას: ობუჯი ასევე დედუღეობა ისეთი ცნობილი ადამიანებისა, როგორებიც იყვნენ და არიან: მარგო ფონიავა, კარლო ლონტი, ალექსანდრე საჯაია, რევაზ კვერენჩილაძე, მალხაზ ჭანტურია...

მშენებლობის საქმის წარმოებას სათანოდ ჩაუდგა ბატონი გიგლა (გია) კაკაჩია, თანაშემწე გახლდათ ინჟინერი, ბატონი იგორ ფიფია.

ტაძრის მთავარი მშენებლები იყვნენ, ბატონები: პოლიკო კაკაჩია, რამა მესხია, ჯემალ კონჯარია, ელგუჯა და მამუკა მესხიები. მათ ეხმარებოდნენ: ოლივერ მებონია, ლევან კაკაჩია, როდენ მებონია, სოსო ფიფია (გარდაცვლილია, უფალმა ნათელი დაუმეგრდოს!), ზვიად (გოგა) კაკაჩია, დათო მესხია, კობა აბულაძე, მამუკა ძაძამია, ბადრი მესხია, იურა ფიფია, იუზა ლატინი (ყულომკარიდან).

ტაძრის მოწესრიგება — მოპირკეთებით სამუშაოებს აწარმოებდა ობუჯელი მხატვარი მამუკა კაკაჩია თანასოფელელ ელგუჯა შარტავასთან ერთად. მათ ასევე, გუმბათის რეიდან ორი სარკმელი და კარნიშები მოაპირკეთეს, დანარჩენი ექვსი კი — აბაშელებმა.

გადახურვის სამუშაოებს უანგაროდ აწარმოებდა ფოთელი ოსტატი გიორგი

კაკაჩია, რომლის წინაპრებს ობუჯში უცხოვრიათ. მას ეხმარებოდნენ: ნუკრი აქუბარდია, გოჩა გაბესკირია, გოჩა ჭანტურია, ირაკლი თარბაია, დათო თარბაია, ლევან ემხვარი, მამუკა გულუა, ვალერი გელანტი, ჟორჟიკა ხვიჩია (ყველანი ფოთიდან).

უანგაროდ, გარკვეული თანხები გაიღო ობუჯის სკოლის კურსდამთავრებულმა, ფახულანელმა ჯაბა შონიამ. შესანიშნავი ხით 50-50 ლარი გაიღეს წალენჯიხელებმა: კახა ლუკავამ და შოთა თვალთვაძემ.

იმ დღეებში წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ბატონმა გოგა გულორდავამ 4000 ლარი გამოყო გადახურვის სამუშაოების დასაფინანსებლად, რაზეც სოფლის მოსახლეობა გამოთქვამს მადლიერებას. აფხაზეთიდან დევნილმა ვიტალი გინდია ასევე უანგაროდ გადაიხარჯა 1000 ლარი. საგზაო სამმართველოს უფროსმა წალენჯიხელმა ოდიკ (კინჯო) ლვინჯილი-



მღვდელი ეგენი შენგელია მეუღლესთან ერთად

მარიამ (მარუსია) გიგობერია, მალხაზ ჭანტურია, კარლო ლონტი, ალექსანდრე საჯაია, ივანე (ვანო) აბრამია, ლეონტი (ჯაგა) კილავა, იოაკიმე შენგელია, ეგენი შენგელია, ალექსანდრე სოგელია, რევაზ კვერენჩილაძე, ივანე შენგელია, გურამ ვ. შენგელია, ფუფული ლავილავა, ლეო (ლეონიდე) შენგელია, იონა შენგელია, ედიშერ ლიპარტია, გოგიტა კაკაჩია...

ამ დღეებში დედაქალაქიდან შემეხმანა ცნობილი ჯვარელი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, ბატონი გვანჯი მანია. მან ფრიად საინტერესო რამ მაცნობა; საქართველოში არისო სულ რამდენიმე სოფელი, რომლებსაც ქვეყნის მასშტაბით, ცნობილ ადამიანთა რაოდენობის მიხედვით პირველობაზე პრეტენზია გააჩნიათ. ბატონმა გვანჯიმ ჩამოთვალა ოთხი რაიონი: ხარაგაულის, თერჯოლის, ლენტეხისა და სიღნაღის. ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ სამეგრელოს მასშტაბით და მივედითო დასკვნამდე, რომ ასეთ სოფლად ობუჯი გვესახებაო. თქვენი სოფელი შესაძლოა ხუთეულში მოხვდესო. რა თქმა უნდა, ამ ამბავმა ძალიან გამახარა და ფრთები შემასხა...

თუმცა კარგად გვესმის, ამ საკითხის შესწავლას გარკვეული დრო რომ სჭირდება და ილიო სულაც არ არის. ყველა პიროვნებაზე მოსაძიებელია ზუსტი მონაცემები, მოსაპოვებელია ფოტომასალები და ა. შ. მაგრამ მთავარი მაინც მონდობებაა და მჯერა, უფალი აუცილებლად შეგვეხეცა ამ მეტად საშურ და საშეიღებელი საქმეში! ეს ხომ ჩვენი სოფლის შესანიშნავი წარსულის, მისი ისტორიის გაცოცხლება იქნება, ჩვენ, ობუჯელებს, არ გვაქვს უფლება, რომ დავიწყებო ბურუსიდან სამზეოზე არ გამოვიტანოთ იმ ადამიანთა ნაღვანი, რომლებმაც სოფელს შორს გაუთქვეს სახელი.

2016 წელი სოფლისათვის განსაკუთრებულია და აი, რატომ: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს — შოთა მესხიას დაბადებიდან 100 წელი უსრულდება; დიდ კინორეჟისორს — ნიკოლოზ შენგელიას — 115; პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, მამულიის თავისუფლებას შენირულ დანიელ ფიფიას — 120; ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს — იაკობ (იამა) მესხიას — 70; მშვენიერ პოეტსა და ჟურნალისტს — რამინ საჯაიას — 60; ლეო ქიარელის (ამჟამად გიორგი მებონიას) სახელობის ობუჯის საჯარო სკოლას — 120!

ჩვენ ნამდვილად გვაქვს საამაყო: ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდა და დიდუბის პანთეონებში სამი დიდი ობუჯელი განისვენებს — ლეო ქიარელი, ნიკოლოზ შენგელია და შოთა მესხია. ამათ ემატება ორი დიდი წალენჯიხელი — ტერენტი გრანელი და კალისტრატე სალია! განა არ არის ეს ყველაფერი საოცრება?! ისეთ პატარა რაიონს, როგორც წალენჯიხა, პანთეონებში ხუთი ბუმბერაზი ჰყავს ბუმბერაზ ქართველებს შორის!...

... და კიდევ ერთი: კინოვარსკვლავი — ნატო ვანჩაძე, ობუჯელთა საამაყო რძალი, რომელმაც ქართველი ქალის სახე მსოფლიო მასშტაბით გააბრწყინა! ნიკოლოზ შენგელიასა და ნატო ვანჩაძის სულები „რიალებენ“ დიდუბის პანთეონში...

III

არ შემიძლია გულისტკივლით არ აღვნიშნო ის, რაც სოფელს, ისევე როგორც სრულიად საქართველოს, დაატყდა თავს XX საუკუნის მიწურულს...

10



ობუჯის მთავარანგელოზების — მიქაელის და გაბრიელის სახელობის მშენებარე ეკლესია

მოხდა გაუგონარი ვანდალიზმი, რომელიც სამარცხვინო ლაქად შერჩება ობუჯის ისტორიას. არაკაცებმა პირნიმინდად გაძარცვეს კლასიკოსი მწერლის — ლეო ქიაჩელის სახლ-მუზეუმი, დაუნდობლად გადაბუგეს სახელგანთქმული კინორეჟისორის — ნიკოლოზ შენგელაიას სახლ-მუზეუმი. მორალურ ხმებს თუ დაუფერებთ, დიდი კინოხელოვანის მუზეუმის დანვა დედაქალაქში დაუგეგმავთ, ხოლო სისრულეში XX საუკუნის 90-იანი წლების „პროსტრატეებს“ მოუყვანიათ...

... მერე გაჩნდა კითხვები, რატომ მოხდა ასე... მერე აზვირთდა ჭორ-მართალი და მავანთ რა არ იკადრეს, რა არ ნამორჩენეს... ის კი არა და, ამ შავბნელი საქმის „გმირები“ პირველ პრეზიდენტსაც მიადგინენ... ვაი, სირცხვილო!.. ამაზე დიდი დაცემა გაგონილა!..

რა შუაშია აქ ზვიად გამსახურდია? მე მხოლოდ იმ ტვინშებრუნებულთა (მაპატიოს უფალმა და მკითხველმაც ასეთი გამოთქმისათვის) გასაგონად ვამბობ ძალიან მოკლედ და ამით ვამთავრებ, რადგან ეს უკვე საუბრის ცალკე თემაა და სხვა დროს იყოს: ზვიადი ბედნიერი შემთხვევა იყო საქართველოს უახლეს ისტორიაში, ამას უსინდისიერესი დრო დაადასტურებს!..

IV

ობუჯის მთავარანგელოზების — მიქაელისა და გაბრიელის სახელობის ეკლესიის აღდგენითი სამუშაოები დღესაც გრძელდება — სამრევლო ჯერ კიდევ ხარაჩოებშია.

2014 წელს ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსმა გერასიმემ (შარაშენიძე) აკურთხა აღდგენილი ეკლესია და წინამძღვრად მღვდელი ბასილი (კაცია) დაადგინა.

აღსანიშნავია, რომ მამა ბასილი უპატიოსნესი სასულიერო პირია და დღემდე დაუღალავად ემსახურება თავის მრევლს...

შორს არაა ის დრო, როცა ობუჯში დარეკავს ახალი ეკლესიის ზარი და აღველინება ნირვა-ლოცვის... ღმერთო, გვიძლიერე სულიერების ნავსაყუდელი!.. ამინ!..

V

ერთხელ, საუბრისას, ჩემმა ახლო მეგობარმა მკითხა: იცი თუ არა, ეკლესიის გუმბათზე აღმართული ჯვარი ვისი ნიშნობაა? — და სანამ რაიმე ვიტყვოდი, დაასრულა: მღვდლის — გიორგი შენგელაიას ნიშნობაა! ჩემს შეკითხვაზე, ვინ არის ან სად მოღვაწეობს მღვდელი გიორგი შენგელაიამეთქი, მიპასუხა: — მოღვაწეობს თბილისში და ასე ვიცი, ევგენი შენგელაიას შთამომავალიაო...

გამიხარდა, რადგან კარგა ხანია მანვალეებს აზრი ევგენი შენგელაიაზე, რომელმაც თურმე ძნელბედობის ჟამს თავისი მშობლიური ობუჯი იხსნა გადამთიელთა თარეშისაგან...

რომ არ გამომჩრჩეს, ამიტომ მცირე გადახვევას გავაკეთებ. ამ დღეებში ვენვიე პედაგოგ ვაჟა შენგელაიას ოჯახს, რათა დამეზუსტებინა ევგენი შენგელაიას ცხოვრების თარიღები. ბატონი ვაჟასაგან შევითქვე კიდევ ერთი ვანდალური ფაქტის შესახებ, რაც ჩაუდენიათ ევგენი შენგელაიას წინააღმდეგ უკეთურებს: მღვდლის სახლ-კარი გადაუწვეათ... ამ ცნობით გაოგნებულმა კარგა ხანს ხმა ვერ ამოვიღე. მერე კითხვაზე, თუ რა მოხდა, რატომ დაუწვეს სახლი სასულიერო პირს, რომლის სიტყვასა თუ ნააზრევს არა მარტო ობუჯში, მთელ დასავლეთ საქართველოში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონია, ბატონმა ვაჟამ კითხვითვე მიპასუხა: რატომ დაწვეს დიდი ხელოვანის სახლი ობუჯში... ჩემთ-

ვის ყველაფერი ნათელი გახდა... ნამიერად მესხიერებაში ნამოტივტივდა ცნობილი პოეტის სტრიქონები:

„... ო, რა ბევრი ხართ, რა ბევრი ხართ შადიმანები, ამ ნაბდის გაშლა ქვეყანაში სად იმალებით!..“

დავაზუსტეთ გარდაცვალების თარიღი: 1942 წელი. რაც შეეხება დაბადების თარიღს, სხვაგან ასეთი რამ მოვისმინე: თითქოს, ბესარიონ ქებურიას დაბადების თარიღთან ახლოს უნდა იყოს, ორი თუ სამი წლის სხვაობააო. ქებურიას თარიღები მე არ ვიცოდი, მაგრამ მოულოდნელად ჩხორონწყუმი გამგზავრების საშუალება მომეცა. ჩასვლისთანავე მივაშურე პირველი ქართველი მფრინავის — ბესარიონ ქებურიას სახელობის პარკს, სადაც ვიხილე მალალ პოსტამენტზე მდგარი მფრინავის ბიუსტი, რომელიც ამაყად გაჰყურებს



ეკლესიის საძირკვლის გაჭრა

სიცრევებს... პოსტამენტზე ასეთი წარწერაა: „პირველი ქართველი მფრინავი ბესარიონ ქებურია. 1870-1958“.

აქედან გამომდინარე, ევგენი შენგელაიას დაბადების თარიღი დაახლოებით 1872 ან შეიძლება 1873 წელი იყოს...

ჩხორონწყულები ამაყობენ ბესარიონ ქებურიათი და სამართლიანადაც! ჩვენც შეგვიძლია ვიამაყოთ მისით, რამეთუ ქებურია მეგობრობდა ობუჯელ მიუსაფართან — ლევან მესხიასთან. სწორედაც მან საფრანგეთის ქალაქ მარსელიდან მესხიას კრამიტის დასამზადებლად ყალიბები ჩამოუტანა. იმასაც ამატებენ, როდესაც ქებურია საკუთარი ეპოქისათვის გადაუფრენდა ლევანის ეზო-კარს, მოკითხვის ბარათებს ყრიდაო... ამ ორი, საოცარი ბედის ადამიანებს სურათიც გადაუღიათ, რომელიც, სამწუხაროდ, არ შემონახულა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მღვდელმა შენგელაიამ იხსნა სოფელი ანიოკებისაგან... აქ ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას, — იმის მიუხედავად, თუ რა ტკივილი მიაყენეს ვანდალებმა პირადად მას და მის ოჯახს, ის არ დაბოღმდა, შურისძიებით არ აღვსილა, პირიქით, აწუხებდა აზრი, შეუგნებლობის შედეგად ადამიანს რა დონეზე შეუძლია დაშვება!..

მე ასე ვიცოდი, ევგენი შენგელაიას თავგანწირვის ამბავი იცოდა ანგანსვენებულმა ველოდ მეზობნმა, რომელსაც დაუბარებია, მომავალ თაობებს არ დაუკარგოთ შენგელაიას ღვანლიო. შემდეგ, ქალბატონ გუგუშა შენგელაიასთან, რომელიც მე დაწყებით კლასებში მასწავლებდა, დავაზუსტე ეს ამბავი: თურმე ეს უთქვამს ველოდის მამას — კადრიბ მეზობიას...

VI

გუგუშა და ვაჟა შენგელაიების ოჯახებში მისვლამდე, ყურმოკვრით ვიცოდი მამა ევგენის საოცარი თავდადების ამბავი, რომელიც უფრო ლეგენდად მიმჩნდა, ვიდრე სინამდვილედ...

...სატელეფონო საუბრისას მამა გიორგი დავგვიპირდა, გამოგვიგზავნიდა ინფორმაციას მამა ევგენიზე, თუმცა აღნიშნა, მწირი მასალები გვაქვსო.

„ღმერთმა დაგლოცოთ და ხელი მოგიმართოთ ამ დიდებულ საქმეში. ჩვენმა ახალმა თაობამ უნდა იცოდეს მათი წინაპრების ცხოვრება, მათი ღვანლი ღვთისა და ერის წინაშე. ეს საჭიროა, რათა ისინი აღიზარდონ და იკვებებოდნენ ჩვენი ქვეყნის (კუთხის) მდიდარი კულტურით, ტრადიციებით და არა ფსევდო კულტურით, რომელიც ასე უბრძოლველად შემოდის დღეს ჩვენში!“ — მწერს მამა გიორგი და ეს ჭეშმარიტებაა, ეს მართლაც ასეა!

VII

მკითხველებს ვთავაზობთ ინფორმაციას ევგენი შენგელაიაზე, რომელიც მამა გიორგი შენგელაიამ გამოგვიგზავნა თბილისიდან: დეკანოზი ევგენი (ერმი იუსტინე) დაიბადა ზუგდიდის მაზრის სოფელ ობუჯში (დაბადების თარიღი უცნობია). 1891-96 წლებში სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში (იყო სტიპენდიანტი. წყარო: „Духовный вестник грузинского экзархата“. არის მისი ფოტო სემინარიის დროინდელი).

1895 წელს ის სამღვდლო ხარისხშია (რაზეც მეტყველებს ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტი).

ჟურნალი „ივერია“, 2007 წ. მე-5 გამოცემა.

ქუჯური მენტალიტეტი

1895 წელს ეგზარქოსმა დაავალა გიორგი სამეგრელოს ეპისკოპოსს მეუფე გრიგოლს



მღვდელი გიორგი შენგელაია

მამა გიორგის მიმართ გამოვთქვამთ მაღლიერებას, ინფორმაციისა და სურათების მოწოდების გამო.

VIII

ზუგდიდის მაზრის სოფელ ობუჯის სახანები თვალწარმტაცია. სოფლის საყდარი, სადაც ესვენა სალოცავი ქიჩის ხატი, მთელს სამეგრელოს მთიან მხარეში რელიგიური დღესასწაულების, რიტუალებისა და ნირვა-ლოცვის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა.

ქიჩის ხატის ისტორია ცნობილია, მაგრამ პატარა ექსკურსი მაინც უნდა გავაკეთოთ ხატის შექმნისა და მისი ობუჯში მოსვენების ზოგიერთ საკითხებზე.

ობუჯის მონასტერში მოსვენებული ქიჩის ხატი-სამწერობელი X საუკუნეში იყო შექმნილი ეგრის-აფხაზეთის მეფის გიორგი II-ის (მეფობდა 922-957 წწ-ში) მიერ ქიჩის ეკლესიისათვის. სოფელი ქიჩი, სადაც მთავარანგელოზთა ხატის სახელობაზე აშენდა ეკლესია, სამეგრელოს ჩრდილოდასავლეთ ნაწილში, მდინარეებს ენგურსა და კოდორს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე მდებარეობდა. 1640 წელს ხატზე ამოკვეთილი წარწერა გვაუწყებს, რომ ლევან II დადიანმა მოაჭედვინა და თვალმარგალიტით შეამკობინა ხატი. ოჩამჩირის რაიონის ჯგერდას თემის ტერიტორიაზე სოფელ ქიჩიში დასვენებულ იქნა მთავარანგელოზთა ხატი. დღეს ნასოფლარს აფსუები „ქიჩი-ნისხ“ ანუ „ქიჩის სალოცავს“ უწოდებენ. ისტორიკოსი გონელი არახამია აღნიშნავს, რომ კაკაჩიას გვარის წარმომადგენელს ქიჩის ხატი ობუჯში ენგურის გაღმადან (აფხაზეთიდან) მოუტანია 1681 წელზე ადრე (ამ წელს ქიჩის ხატი უკვე ობუჯშია).

ისტორიკოსი იმ მიზეზსაც ასახელებს, თუ რამ გამოიწვია ხატის ადგილსამყოფელის შეცვლა: „დროის აღნიშნული მონაკვეთი სამეგრელოს სამთავროს ისტორიაში ძნელბედობის ხანაა. ამ პერიოდში (XVII ს. 70-იან წწ-ში) აფხაზეთა ცალკეული საფეოდალოები შერვაშიძეების მეთაურობით და მათი მოკავშირე ჩრდილოკავკასიური ადიღური თემები სარგებლობენ რა სამეგრელოს სამთავროში შექმნილი შიდაპოლიტიკური არეულობით, განუწყვეტლივ ლაშქრავენ სამეგრელოს ტერიტორიას მდინარე კოდორის აღმოსავლეთით. განსაკუთრებული რისხვა დაატყდა თავს სამეგრელოს მოსახლეობას კოდორსა და ლალიძგას შუა. მოსახლეობის ანიოკებას, დატყვევებას, აყრა-გასახლებას თან სდევდა ეკლესიის მონასტრების ძარცვა-რბევა. ამ პერიოდში სამეგრელოში მყოფი იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი წერდა, რომ აფხაზეთმა გააჩანაგეს სამეგრელო, აიკლეს ეკლესიები და მონასტრები: მოქვი, ხოფი, ქიჩი, ზუგდიდი და მთელი ქვეყანა დიოსკურიიდან (ანინდელი სოხუმი) ცხენისწყლამდე და რიონამდე. სათარეშოდ ქცეული მხარის ეკლესია-მონასტრებიდან ჯვარ-ხატები, საეკლესიო წიგნები და სხვა სინამდვილე შედარებით უსაფრთხო ადგილებში, ენგურს გამოღმა გადმოჰქონდათ. ამ დროს გადმოიტანეს მარტვილში ვლადიკრისის ღვთისმშობლის ხატი ბედიდან და სახარება მოქვიდან ზუგდიდისა და ხობის ეკლესიებში — მოქვის ტაძრის ხატები. სწორედ ამ ტალღას გადმოჰყვა ქიჩის სინამდვილეც ენგურს გამოღმა მდებარე ადგილებში: ქიჩის მთავარანგელოზის ხატი, რომელიც 1640 წელს ლევან II დადიანმა შეამკობინა, ჭოღამი (ანინდელი ჩხორონწყუს რაიონი) დაასვენეს, ხოლო ქიჩის სამწერობელი ობუჯში. ამის შემდეგ ობუჯში საგანგებოდ ამ ხატისათვის ააშენეს ხის ეკ-

პატივისცემით მღვდელი გიორგი შენგელაია.



ქიანის ხატი (მე-10 საუკუნე)

ლესია, რომელსაც ქიანის ეკლესია დაერქვა, ასე გადმოჰყვა ხატს იმ სოფლის სახელწოდება, სადაც მისი მშობლიური ეკლესია იდგა, თავის ახალ სამკვიდროში, ობუჯში. ამიერიდან ქიანის ხატი და ობუჯი განუყრელი ერთობა გახდა.

IX

...იდეა მრისხანე 1905 წელი. რევოლუციურმა მოძრაობამ მოიცვა სრულიად საქართველო და მათ შორის სამეგრელოც. ზუგდიდის მაზრა რევოლუციური მოძრაობის ქარცეცხლში გაეხვია...

როგორც ცნობილია, 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი მებრძოლი, ხელმძღვანელი და ორგანიზატორი ზუგდიდის მაზრის ლეო შენგელაია (მომავალი ქიანელი) იყო. მისი თანამებრძოლები და თანამოაზრეები იყვნენ: ვასო ალშობაია, სპირიდონ კელია, პავლე აკობია, იასონ ჩიჩუა, მელიტონ გობეჯია და სხვები. დეკემბრის მინურულს ზუგდიდში, პოლიტიკატიმრების გათავისუფლებისა და იარაღის გაცემის მიზნით, ლეო შენგელაიასა და მელიტონ გობეჯიას ხელმძღვანელობით, მოხდა სამაზრო პოლიციის შენგელაიას თავდასხმა, იმავე დღეებში ლეო შენგელაია ასევე მონაწილეობდა ანაკლიიდან იარაღის შემოზიდვის ოპერაციაში. 1906 წლის იანვრის დასაწყისში შეიარაღებული რაზმელები, რომლებსაც ლეო და მისი თანამებრძოლები მეთაურობდნენ, ზუგდიდიდან სამტრედიისაკენ გაემართნენ, რათა შეეჩერებინათ გენერალ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ჯარების შემოსვლა ქალაქში.

წიფის გვირაბით შემოვიდა გენერალი, რომლის შემოსვლამ საქართველოში რედაქციის საშინელი თარეში გამოიწვია. დინაციო დაპატიმრებები და მკვლელობები, თებერვალში, სოფელ ჭკადუაში მახლობლად ვერაგულად მოკლეს ლეოს თანამებრძოლი — ვასო ალშობაია, მარტის პირველ დღეებში, სიცოცხლის გამოსაღმის დიმიტრი გეთია... სასტიკმა რეპრესიებმა და ეგ ზუგუციებმა ზენიტს მიაღწია. ლეო შენგელაია იძულებული გახდა ლაკადის მთებში გახიზნულიყო რაზმელებთან ერთად...

1906 წლის მარტის დამლევს გენერალი ალიხანოვ-ავარსკისი ზუგდიდში ჩავიდა. შემუშავდა სასტიკი ანგარიშსწორების, მოსახლეობის მარცხის, საცხოვრისთა რბევისა და მასიური გადაწვა-გადაბუგვის გეგმა. ყველა მიმართულებით გაიგზავნა მოთარეშე რაზმები, რომელთაც ოფიცრები მეთაურობდნენ. ოდიშ-ჭკადუაში და სხვა მოსაზღვრე სოფლების მიმართულებით მოთარეშე რაზმს და მის მიერ წარმოებულ სასტიკ ტერორებს ხელმძღვანელობდა პოლკოვნიკი ხოდზინსკი, ჭაქვინჯჯიხაშკარ-ობუჯის მიმართულებით მოქმედ რაზმს — პოლკოვნიკი სამკინი...

ასეთ უოთულეს ჟამს, მოთარეშე რაზმები, განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებიან რევოლუციური მოძრაობის მოთარეშებს, ცდილობენ მიაგნონ მათ ადგილობრივებს, განსაკუთრებით ეძებენ ლეო შენგელაიას, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა ლაკადშია გახიზნული სიმონ თოლორდავას ცხენოსან რაზმთან ერთად. უკვე შედგენილი იყო აქტი, ზუგდიდის სამაზრო პოლიციის მიერ, ლ. შენგელაიას, ს. ალანისა, ა. ჩხეტისა, კ. ნორაკიძის და სხვათა რევოლუციური მოქმედების შესახებ. მასალები გამოძიებისათვის სამაზრო პოლიციამ გადასცა ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმერიას...

ასეთ ვითარებაში ლეო შენგელაიას დიდი დახმარება გაუწია ზუმის მცხოვრებმა ვარლამ ჩიქვანმა, რომელმაც ლეო საიმედოდ გადაამალა და ამით ყველა ის ხვედრი თუ საშიშროება, რაც მას მოელოდა, აარიდა... წლების შემდეგ, 1956 წელს მსცოვანი მწერალი ჩადის სოფელ ზუმში

და ესწრება ვარლამ ჩიქვანის დაკრძალვას და ამით უკანასკნელად იხდის ვალს მის წინაშე იმ ამაგიასთვის, რაც მან დასდო ლეოს მისთვის სახიფათო პერიოდში...

X

... იანვრის მინურულია... აღმოსავლეთიდან ალიონი ფრთებს შლის, მაგრამ სოფლის ქედებს ჯერაც ვერ „დაუხსნიათ“ თავი ნისლი ტყვეობისაგან. „ნისლი საკმაოდ შემოსჯარვია ნოჯიხურის იმ მაღალ გორაკსაც, საიდანაც, ვით „ფარდაფრენილი სარდალი“ — მონასტრის ნახევრადჩამორღეული სამრეკლო, მდუმარედ დაპყრუებს ობუჯის მშვენიერ სანახებს...

ცენტრში, ლამაზ ძეგლად მდგარ სულიერების ნახაყუდელ, სოფლის საყდარს, მუდამ მოშრიალე, საუკუნოვანი ცაცხვები შემოსჯაროდნენ და თითქოს მას იცავდნენ ავი თვალსაგან. მაგრამ იმ დღეს ცაცხვები გარინდულიყვნენ, არ შრიალეოდნენ, მხოლოდ ერთ-ერთ ტოტზე ჩამომჯდარმა მთვლემარე ყორანმა გაიყრანტალა და სადღაც გაფრინდა... სამარისებულ დუმისლ მოეცვა არე ყოველი...

... იმ საბედისწერო დღეებში ათასი აზრი თუ ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა მამა ევგენის და სულს უშფოთებდა. გულის სიღრმეში ალბათ გრძნობდა მოახლოებულ განსაცდელს, რომლის წინასწარ განჭვრეტა არ იყო ადვილი...

რა ძალას უნდა ეხნა სოფელი, როცა რეაქციის ძალებმა მინასთან გაასწორეს და არ დაინდეს ნაკლებად აქტიური სოფლების მოსახლეობაც კი, მით უმეტეს, როგორ დაინდობდნენ ობუჯს — რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეთა რიგებში მდგარ სოფელს.

მშვენივრად უწყოდნენ ისიც, რომ სწორედ ამ სოფლიდან იყო რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი — ლეო შენგელაია. ეს კიდევ უფრო ართულდება მდგომარეობას...

რაღაც შეუცნობელი გრძნობა დაეფულა მამაოს, რომელმაც მთელ სხეულში დაუარა, სული გაუთბო და იმ ჯანლიან დილას ლოცვად განანყო. ყოველთვის მზად იყო ლოცვისათვის, მაგრამ ახლა განსაკუთრებული შემართებით მიაშურა უფლის სახლს, რათა ლოცვითა და ვედრებით მწედ მოეღწეოდა უფალი, სოფლისთვის განსაცდელის ასარიდებლად...

დიდხანს იდგა მუხლმოყრილი მთავარანგელოზთა ხატის წინ მამა ევგენი და მისი სულის ღალადი ზარის ხმასავით ფეინებოდა ქვეყნიერებას... ხატებთან ანთებული სანთლები მკაფიოდ ანათებდნენ მის ფერმკრთალ სახეს...

... რწმენით აბალელებული წამოდგა, საყდრის მარცხენა კარებიდან გამოვიდა და მდუმარედ არეშარეს მზერა მიმოსტარა. მდინარე ბროლიას მომატებული ხმაური მოვარდა უცებ, რაც მამაოს ეუცნაურა... ნოჯიხურის გორაკსაც შეავლო თვალი, სამრეკლოს და მის მიდამოებს ნისლი თანდათან ტოვებდა...

— უფალო, იხსენ სოფელი ყოველი ბოროტისაგან! — კიდევ ერთხელ წამიერად გაუღელვა ფიქრებში ნასულ მამაოს...

შემობრუნდა, მაგრამ უცნაურმა, თითქოს და ხმაურმა მიახვდა მარჯვნივ. შეამჩნია, რომ შარავზაზე სილუეტები მოძრაობდნენ. მამამ დაძაბა ყურადღება და აშკარად შენიშნა, რომ ორნი, ცხენებზე ახვედრებულნი, აქეთ მოდიოდნენ.

— რა ამბავია?.. ვინ უნდა იყვნენ?.. ადგილობრივებს არ ჰგვანან?.. — სანამ მამაო ფიქრებიდან გამოერეკოდა, უცნობები მოადგნენ პატარა კვლე-ნაკადულ ხუფინას, რომელიც მხიარული ტაატიით უერთდება ბროლიას...

კიდევ რამდენიმე წუთი და უცნობები მოუახლოვდნენ მღვდელს, ცხენებიდან ჩამოკვეთდნენ, მუხლი მოიყარეს მის წინაშე და დალოცვა ითხოვეს. მღვდელმა დალოცა ორივე და ჯვარი გარდასახა, შემდეგ უცნობებს ვინაობა გამოჰკითხა. თურმე, ობუჯის მობიჯნავე სოფლიდან, ჯიხაშკარიდან ყოფილან:

— რაუდენ ხაცავა და მანგულ ზარანდია, — მოახსენეს მოსულეებმა.

მღვდელმა ხელის მოძრაობით ანიშნა და სამივენი ცაცხვებისაკენ გაემართნენ, რომლებიც საყდრის ეზოში ზღუდესთან იდგნენ და თავიანთი სიდიადით იპყრობდნენ მნახველის ყურადღებას...

— ხაბათ, ათასწლოვანი ცაცხვებია, — თქვა ხაცავამ. ორივემ მზერა გადაიტანა ტოტებგანიერ, ვებერთელა ცაცხვებზე და დიდი ინტერესით დაიწყეს თვალთვლება...

— თქვენს მოსამენად მზად ვარ, — წყნარი ხმით წარმოსთქვა მამა ევგენიმ.

— მამაო, ზუგდიდის მაზრაში საშინელი ეგზეკუციები დაწყებული, სასტიკად უსწორდებიან ყველას, განსაკუთრებით

ეძებენ „ბუნტოვშიკებს“, რომლებმაც მაზრის სოფლების მოსახლეობა აამხედრეს მთავრობის ნანაღმდეგ. ზუგდიდში გენერალმა უკვე გასცა ბრძანება ცეცხლითა და მახვილით მოსდებოდნენ სოფლებს და მოსახლეობა აუნერელი სიმკაცრითა და ველურობით დაერბიათ! — მოახსენა მამაოს ზარანდია.

— სისატიკით ცნობილი გენერალი ალიხანოვ-ავარსკია, — დაუმატა ხაცავამ.

— ო, უფალო, გვისხენ განსაცდელისაგან! — მტკიცედ თქვა მამა ევგენიმ, მერე იკითხა:

— რომელ სოფლებში შემოვიდნენ?

— მამაო, უკვე გაძარცვული და გადაწვარია მუხური, ხიბულა, რუხი, ჭაქვინჯი, ჭკადუაში... როგორც ამბობენ, ჩვენს სოფლებზეც აპირებენო გამოლაშქრებას ორასზე მეტი ყაზახ-რუსით... — კვლავ მოახსენა ზარანდია.

მამა ევგენის სახეზე შემოფოთება დაეტყრო.

— როგორ თუ ორასზე მეტი?.. შეუძლებელია... არა, არა, უფალი მოწყალეა, არ გაგვიწავს... — მამაო წამიერად შეჩერდა, მერე მტკიცე ხმით დაასრულა: დიდია უფლის ნება, მაგრამ სასონარკვეთა არ უნდა დაგვეუფლოს!..

დუმილი ჩამოვარდა...

— როგორც შევიტყვეთ, ხვალ თუ ზეგაქვ გამოჩნდებიან, მამაო. ამბობენ, რაზმს მოუძღვოს ვინმე პოლკოვნიკი კლიმ სამგინი, — თქვა ხაცავამ.

— იმასაც ამბობენ, შეიარაღებულნი ზარანდიაზეც აქვთო, თოფების გარდა, — დაუმატა ზარანდიამ.

— ამბობენ მეთაურებს არ ინდობენ, პირიქით, დიდ სისასტიკეს იჩენენ მათ მიმართ. უკვე ცნობილი გახდა, რომ ღალატით მოუკლავთ ალშობაია, ჩიჩუა, გეთია... — კვლავ გააგრძელა ზარანდიამ.

— თქვენ ეს საიდან იცით? — იკითხა მამაომ.

— რაუდენის ძმისწულს ეს ამბები ზუგდიდში შეუტყვია, — უპასუხა ზარანდიამ.

— დიახ, დიახ, მზანე სიმართლეა, მამაო! — თავის ქნევით დაადასტურა რაუდენ ხაცავამ.

— თქვენი სოფლის მამასახლისი სადღა ან რას აპირებს? — მოულოდნელად იკითხა მღვდელმა.

— ასეთი ხმები დადის, სოფლის მამასახლისებს და ბოქაულებს ყველას ზუგდიდში საიდუმლოდ იბარებენო. ვინ იცის, რა დავალებას მისცემენ, ან საერთოდ რას უპირებენ მათ!.. ჩვენი მამასახლისის ბედიც გაურკვეველია...

— უპასუხა მანგულ ზარანდიამ.

— ჩემი აზრით, მამასახლისებსა და ბოქაულებს მისცემენ დავალებას, რათა მთავრობას დახმარება გაუწიონ „ბუნტოვშიკთა“ აღმორჩენა-დაპატიმრების საქმეში! — საკუთარი აზრი გამოთქვა ხაცავამ.

ხაცავას სიტყვების გაგონებაზე, ზარანდიამ წამოიძახა: — კინაღამ დამავიწყდა, მამაო! ასეთი ხმები დადის ხალხში, განსაკუთრებით ეძებენო შენგელაიას, ჩვენი სოფლის უბანში, სობოგაში გაზრდილს... თუმცა იმასაც ამბობენ, თანამებრძოლებმა საიმედოდ გადაამალესო სადღაც ლაკადის მთებში...

— ჰოო, გაარიდებდნენ აქაურობას, ლეოს, — თქვა დაბალი ხმით ფიქრებში ნასულმა მამა ევგენიმ, — უფალია მისი მფარველი!

მცირე პაუზის შემდეგ ისევ გაგრძელდა საუბარი.

— ალიხანოვ-ავარსკისი დამსჯელმა რაზმებმა იმერეთი და გურია გაანადგურეს და სამეგრელოს დაინდობენ?..

ახავა, აი, ჩვენი ბუდი!.. რა გვეშველება, მამაო, სოფლებში პარტიები თუ გაერთიანებები შექმნილი, ამიტომ მათ ხელმძღვანელებსაც დაეძებენ თურმე, ეგზეკუტორები! — მამაოს მიმართა ზარანდიამ.

— ჰო, — გამოერკვა ფიქრებიდან მამა ევგენი, — ობუჯშიც არის ასეთი — „ერთობა“ ეწოდება. აი, აქ, ცაცხვებთან ხშირად იკრიბებოდნენ და საქვეყნო საქმეებზე მსჯელობდნენ...

მამა ევგენიმ მზერა საყდრის ჯვარს მიაპყრო... საკმაო ხანს მდუმარედ იდგა... მამაოს დუმლით შეჰყურებდნენ ჯიხაშკარელებიც. იხედებოდა და აშკარაც იყო, რომ ათასი აზრები შემოხვეოდნენ მამაოს და მოსვენებას არ აძლევდნენ...

— აქაც შესაძლოა უბედურება დატრიალდეს, — მოულოდნელად წარმოსთქვა მამაომ და მათ მიუბრუნდა: — თქვენი აზრით, რაზმი ორ დღეში გამოჩნდება?

— ჰო, მამაო, ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ ასეთი ვარაუდია, — კვლავ მოახსენეს მღვდელმა.

— შეყოვნება და დროის დაკარგვა არ შეიძლება, ეს მხოლოდ უბედურებასთან



აზნაურ შენგელაიების საგვარეულო გერბი

დაგვაახლოვებს! — მტკიცე ხმით თქვა მამა ევგენიმ.

ხაცავას და ზარანდიას სახეზე გაცხება გამოეხატათ. ვერ მიუხვდნენ მამაოს ნაზურევს და რაღაც ამოუცნობის მოლოდინში ჩუმად იდგნენ...

— უფლის სახლში შევიდეთ და ვილოცოთ! — წარმოთქვა მამაომ და იქვე დაუმატა: თითოეულ ადამიანს უფალმა თავისი კუთვნილი ჯვარი არგუნა! — ამ სიტყვებით მამაო საყდრის შესასვლელისაკენ გაემართა. ხაცავაც და ზარანდიაც უხმოდ მიჰყვნენ მამა ევგენის...

ძველი საყდარი, სადაც ესვენა ქიანის მთავარანგელოზთა ხატი, მათ წინ დიდებით აღმართულიყო!

მოსულეებმა, მიგნით იხილეს, რა ამაღლებული იყო იმის ნახვა, თუ როგორი მონინებითა და მხურვალე ლოცვა-ვედრებით, ცრემლიანი თვალებით, მუხლებზე შემდგარი მღვდელი ავედრებდა უფალს სოფლის მოსახლეობას და მათ მფარველობას სთხოვდა...

... ეზოში იანვრის მზეს სუსტად გაეთბო არემარე, რომელიც, თითქოს ტკბილ ბურანში გახვეულიყო...

გამომშვიდობებისას მამა ევგენიმ კიდევ ერთხელ დალოცა ისინი, სულიერი სიმტკიცისა და სიმშვიდისაკენ მოუწოდა მათ და დაემშვიდობა...

XI

ფიქრებით სავსე ევგენი შენგელაია სახლისაკენ მიემართებოდა, რომელიც ცაცხვებსა და სასაფლაოს ზღუდეს მიღმა, შარავზის გასწვრივ, ფიფიების უბანში იდგა. პატარა, მაგრამ კოხტად მოვლილი ეზო-კარი მოწყვნილი გამოიყურებოდა... სულ სხვა იყო სოფელი წლების წინ... გარკვეული წლების წინ...

მამა ევგენის თვალწინ დაუდგა მაშინდელი ობუჯი მორწმუნე მოსახლეობით! უცნო იყო ისეთი მანკიერი მოვლენები, როგორცაა: შურიანობა, დაუნდობლობა, ღალატი, თუნდაც ქურდობაცაცობა და სხვა... მაგრამ ეს ყველაფერი, სამწუხაროდ, წარსულ დროში დარჩენილიყო...

მოსახლეობაში რწმენას ისე ღრმად ედგა ფესვები, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები, რუსი ბერები, რომლებიც სამეგრელოში და მათ შორის ობუჯშიც იმყოფებოდნენ, გაცილებულნი დარჩენილან სოფლის ღრმად-მორწმუნე მოსახლეობითა და 12 ბრწყინვალე ეკლესია-სამლოცველოებით, დიდების ძეგლებად რომ იყვნენ აღმართულნი სოფლის სხვადასხვა უბნებში!

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ ეს ყველაფერი წარსულში დარჩენილიყო... ფიქრთმდინარეც გრძელდებოდა... მამა ევგენის, კიდევ ერთი ამაღლებული, ობუჯის ისტორიაში ბერული ცხოვრების გმირული წარსული დაუდგა თვალწინ...

ცადაზიდილი ნოჯიხურის მაღალ გორაკზე მდებარე ობუჯის საეპისკოპოსო კათედრალი, სადაც ესვენა სასწაულთმოქმედი წმინდა გიორგის ხატი, რომელიც ძნელბედობის ჟამს ბერთა წინამძღვარმა სვიმონ ფიფიამ წაასვენა სვანეთში, უნივერსიტეტის დონეზე იდგა! მონასტრის უფროსობა სვიმონმა თავის ძმას მათეს გადააკისრა, ჩააბარა მას ჩანაწერები, რაც ობუჯის მაშინდელი ისტორიის მთელ მატიაწეს წარმოადგენდა და მათეს ბავშვებთან ერთად გზას გაუდგა...

ობუჯის მონასტერში იმარებოდნენ სამეგრელოს მაშინდელი მთავარნი. მონასტრის ისტორია მჭიდროდ უკავშირდება ფიფიათა გვარს. ამ გვარის წარმომადგენლებს მონასტრის უფროსობის უფლება მემკვიდრეობით ჰქონდათ. სწორედ იმათ-

12 — გან ინიშნებოდნენ ეპისკოპოსები, კათედრის გაუქმების შემდეგ — მონასტრის წინამძღვრები და მღვდლები...

ფიქრებში ჩაძირულ მამა ევგენის თვალნი დაუდგა მონასტრის ცამეტი ბერის თავგანწირვა იმ უმძიმეს ჟამს, რაც დაუდგა დანაწევრებულ საქართველოს და მათ შორის სამეგრელოს. ეს ის პერიოდი, როცა გამძვინვარებული თურქეთის სულთანმა მონასტრს ცეცხლითა და მახვილით დაატყდა თავს, უმძიმესი ხარკის დროულად გადაუხდელობის გამო.

როცა მთავარი დადიანი მტრის წინააღმდეგ ვერაფერს გახდა, ომერ-ფაშას მოთარეშე რაზმებმა მოახრეს მთელი მხარე, გადასწვდნენ აფხაზეთსაც და ნაძარცვნი დაევიწყნენ დატვირთულნი უკან ბრუნდებოდნენ. სწორედ, მაშინ მოლაღატე აზნაური პახვალა გვათუა გამოცხადდა თურქ სარდალთან და საოცარი რამ აცნობა: ერთი დღის სავალზე მდებარეობს სოფელი ობუჯი, სადაც დიდებული მონასტერია და რაც მთავარია დიდი განძი ინახება. გაოცებულ თურქ ასკერს სასიამოვნო ცნობის გამო თვალები გაუფართოვდა, მოლაღატე გვათუა დასაჩუქრა და მეგზურობა უბრძანა.

ობუჯის მონასტერში 100 ფუთი ოქრო და ორჯერ მეტი ვერცხლი ინახებოდა, ასევე წმინდა გიორგის, ყოვლადწმინდის ხატი, ტაძარში მთავრის სამარხი კი სახსე იყო ძვირფასეულობით.

ბერი მათე ფიფია, რომელმაც ჯვარამდე მიაცილა სვიმონი და ბავშვები, მეორე დღეს ჩქარობდა უკან მობრუნებას, რათა მონასტრის დაცვის ორგანიზებას სათავეში ჩაეგდომოდა. სამწუხაროდ, მათემ ვერ მოუწინა, მონასტერში დარჩენილი ბერები შეიარაღდნენ და მომხდურებს სროლა აუტყვეს. მათე შეიპყრეს თურქებმა. სარდალმა ალუთქვა მათეს დიდი ჯილდო, თუ მონასტერში მათ უბრძოლველად შეიყვანდა. მათემ არ უღალატა თავის მოძმეთ, პირიქით, გაამხნევა და მოუწოდა არ დაეთმოთ მონასტერი, მით უმეტეს მთავარი უკვე მოდიოდა მათ დასახმარებლად.

მათე სახრჩობელაზე ჩამოახრჩვეს, მერე იერიშით აიღეს მონასტერი, ბერები ამოხოცეს, სამარხი გათხარეს და ნადავლით დატვირთულნი წავიდნენ... მხოლოდ საღამოს მოვიდა მთავარი ჯარი, რომელსაც საშინელი სურათი დაუდგა თვალნი: სახრჩობელაზე მათეს ცხედარი იყო ჩამოკიდებული, მონასტერი ნანგრევებად ქცეული, ბერების ნანაშრები ცხედრები და იავარყოფილი სინამრდევები...

გაპატიოსნების შემდეგ ცხედრები მონასტრის ეზოში დამარხეს... ასეთი ამბების გახსენებამ მამა ევგენის სულის ფორიატი გამოიწვია... რომ არა დიდი დალატი, შური თუ სინაზზე, ობუჯში შესაძლოა ახლაც ყოფილიყო დიდი მონასტერი...

ესე იგი, რა გამოდის? შურიანობამ და სინაზებმ დალუბა სოფელიც და ქვეყანაც! თანდათანობით ხალხშიც უფლისადმი რწმენამ იკლო, ფულის მოხვეჭის და მატერიალური კეთილდღეობის სურვილმა იმძლავრა, სულიერებამ, მავანთ თვალში, უკანა პლანზე გადაინა...

— ამ მანკიერმა მოვლენებმა ხომ არ გამოიწვია ჩემი ოჯახის უბედურება? — უცბად გაუელვა გონებაში მამა ევგენის. ვინ იცის, იქნებ ასეც იყო. რომ არა ურწმუნოების მომძლავრება, რომ არა ღვარძლი და დაუნდობლობა, არც ევგენი შენგელაიას სახლის დანვას გაბედავდნენ უკეთურები!..

არადა, დიდად კეთილშობილი სასულიერო მოღვაწე ევგენი შენგელაია ასეთ ხვედრს არაფრის დიდებით არ იმსახურებდა! მთელი მისი შეგნებული ცხოვრება ღვთისადმი სამსახური და ეკლესიისადმი ერთგულება იყო. პატიოსნებისათვის მას დიდ პატივს სცემდნენ მორწმუნეები, ხალხის მხრიდანაც თანადგომას გრძნობდა. მას მოყვასი უყვარდა, ამიტომ ეხსარაფვოდა მისთვის ეკეთებინა მხოლოდ სასიკეთო საქმეები. მცირედმორწმუნეებსაც მამაო ღვთის რწმენასა და სიყვარულს უნერგავდა, დარწმუნებული იყო, რომ ღვთის რწმენის განმტკიცებას ხალხში შეძლებდა...

— ჩვენ ღვთის იმედით უნდა ვიყოთ! — ჩუმიდ თქვა მამაო, პირველი გადამწერა და ჭიშკარი შეაღო...

XII

თებერვლის პირველი რიცხვებია. პოლკოვნიკ სამგინის დამსჯელი რაზმი ჯიხამკარამდე მოვიდა. ბერი ეფემიტიანი გლეხების სახლ-კარი გადაწვეს. ჯიხამკარის მომიჯნავე სოფელ კირცხშიც ცეცხლის ენები ბრიალებენ. განსაკუთრებით დაზარალდა მისი უბანი სარაქონი. აჯანყების

მეთაურები გახიზნულია. სოფლების პრისტავეები სასტიკად დევნიან რევოლუციონერებს. ჯიხამკარში დიმიტრი გეთიას სახლი გადაწვეს, თვითონ ის მუხანათურად მოკლეს ჯალღის ტყეში. სასტიკი დევნის მიუხედავად, „ერთობის“ წევრები ჩუმ-ჩუმად მაინც იკრიბებიან მისარონის ტყეში... ძიკა ხეცის ოჯახზეც მიიტანეს ეჭვი და რაღაც წუთებში მისი მშვენიერი ოდასახლიც დანაცრა... საზარანდიოს უბანში პირველად ჯუკუ ზარანდიას სახლ-კარი მოექცა ცეცხლის რკალში, შემდეგ ერთიმეორეს მიყვანიერად დაწვეს ფურჩხა შენგელაის, ევგენი ებრალიძის, კოსტა თორქიას და ევლოდ გეთიას სახლები...

მდინარე ბროლიას მარჯვენა მხარეს ზეცა განითლდა. ეს სარაქონია რომ ინვის... საზარელი ნივილ-კვილის ხმა ფარავს მიდამოს. ჯიხამკარში კი გადაძვარი სახლებიდან ნაცრისფერი კვამლი ტორტმანით მიიწვეს ზეცისკენ...

სარაქონის ტყეში, პატარა მდინარე ჩელალეს ნაპირებთან სიცოცხლეს გამოასალმეს კიტა ალანია, გრიგოლ შენგელია, ნესტორ გუგუჯიანი, ფილუ შონია და დავით ქაცარავა.

XIII

... ბეჩას ბუნებრივ ქვაბულებთან რაზმის ნაწილი გამოჩნდა. აქედან, როგორც იტყვიან, ხელის განწვდნაზე ობუჯი... ცეცხლის ენები სწრაფად მოიწვეს წინ. ჯიხამკარის მომიჯნავე ობუჯის უბანი — ჭაჭახი განსაცდელშია... არაოფიციალური ვერსიით, ისევე, როგორც ბერი სხვა სოფელი, ჭაჭახიც გადაინვა პატარა მდინარე ურალამდე (მავლემდე).

... მოვიდა პოლკოვნიკის ბრძანება — გარკვეული დროით შეჩერებულიყვნენ, დაესვენათ, ცხენებსაც სჭირდებოდათ დასვენება. ზოგიერთები იქვე ბუჩქნართან ჩამოსხდნენ, იარაღები ქვაბულის დახავსებულ კედლებს მიაყუდნენ, თამბაქო გააბოლეს და მხიარულად აჭიჭიკდნენ... მეორე ნაწილი ზარბაზნებთან ჩამოჯდა და მოწყენილ მიდამოს ინტერესით დაუწყო თვალრება. ჯარისკაცებმა, განკუთვნილი საკვები, „ვემ-მეშოკიდან“ ამოიღეს, გაინაწილეს და მხიარულად შეექცნენ...

პოლკოვნიკისთვის ცალკე დასცეს კარავი. — **Пристава ко мне!** — გასცა ბრძანება სამგინმა.

ობუჯის ბოქაული სოლომონ შენგელაია გამოიჭიმა პოლკოვნიკის წინაშე.

— **Если память не изменяет, вы доложили, что все бунтовщики арестованы, так или нет?** — შეეკითხა პოლკოვნიკი.

— **Ни все, ваше благородие,** — დაიწყო ფერმერთაღმა შენგელაია, თითქოს ენა დაეხა, რაღაც ნაშების მერე ამოღერდა: — **На тех, которые сбежали, все данные уже переслали в губернской жандармерии.**

შენგელაია არ ცრუობდა, ჟანდარმერიის საგუბერნიო სამმართველოში მართლაც დამთავრებული იყო საიდუმლო მასალების შეგროვება, ზუგდიდის მაზრაში რევოლუციური მოძრაობის შესახებ. ამას კი მოჰყვა მის მონაწილეთა მასობრივი დაპატიმრება...

სიჩუმე ჩამოვარდა... — **А кого еще ищут?** — იკითხა სამგინმა.

— **Пока не находят, но ищут: Лео Шенгелая, Константина Норакидзе, Александра Чхетия, Симона Толордава, Сандро Алания, Варлама Чиквани и других, ваше благородие** — მოახსენა შენგელაია.

— **До селений сколько вёрст?** — იკითხა პოლკოვნიკმა.

— **Около двух — ваше благородие** — უპასუხა შენგელაია.

პოლკოვნიკმა მოულოდნელად იკითხა: — **Тот Шенгелая ни ваш родственник?**

სოლომონი გაშრა და საკმაო ხანს ხმის ამოღება ვერ შეძლო. სანამ სოლომონ შენგელაია რამეს იტყოდა, მოულოდნელად მალლობიდან თოფებმა იგრიალეს. ბანაკი აიშალა... ზოგიერთები ქვაბულებშიც კი შეცვივდნენ და სწორედ ტყვიებმა მის ხავსიან კედლებზე მოიღეს ხრიალი...

გამძვინვარდა პოლკოვნიკი კლიმ სამგინი.

— **Кто они такие, чёрт побери! Смелчаки что ли? Окружить и уничтожить!** — ბრძანა პოლკოვნიკმა.

გონს მოსული რაზმი ცხენებზე ამხროდა და შეტევაზე გადავიდა... უთანასწორო ბრძოლა თითქმის ნახევარ საათს გაგრძელდა. პატარა, 15 კაციანი რაზმის თავგანწირული წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა... როცა პოლკოვნიკის რაზმი გაიშალა, საზარელი სურათი გამოჩნდა, მიწაზე

ეყარნენ შეფიცულები: ისონ ჩუხუა ჭაქვინჯიდან, ვალტერ ჯალღლინი სარაქონიდან, ვარლამ, შოთა და ბოტო ზარანდიები ჯიხამკარისთან, ვახტანგ ნორაკია და ალექსანდრე გაბედავა ნიბულიდან, ჯოტო, ბესა და მიხეილ ფირცხალავენი ხორშიდან, ბაგრატ კაკალია ხეთადან, სანდრო მესხია ობუჯიდან, იაკინთე და ფრიდონ ახალაიები ზუგდიდიდან, კოლია გობეჩია მუხურებიდან...

XIV

... ცულ გუნებაზე დამდგარი პოლკოვნიკი კლიმ სამგინი მდუმარედ მოუძღვის რაზმს. მას უხმოდ მოჰყვება ფიქრებში წასული ბოქაული შენგელაია. ვინო შარაგზაზე იმის მხოლოდ ზარბაზნებს ღრჭიალი და ცხენების ფლოქვების ხმა...

აი, პატარა აღმართიც ამოიარეს, მარჯვნივ მოუხვიეს და ცაცხვების ხეივანი გამოჩნდა, მის მიღმა — კი — ისლითა და ყავრით გადახურული, ერთსართულიანი სახლები.

— **Пристав, Это новое селение?** — იკითხა მეთაურმა და ხელი წინ გაიშვირა.

— **Да, ваше благородие, это селение Обуджи, Зугдидского уезда.** — სწრაფად უპასუხა სოლომონ შენგელაია.

პოლკოვნიკმა ცხენი შეაყენა, რაზმიც შეჩერდა. მეთაურმა დაძაბა ყურადღება და სახეზე გაოცება გამოეხატა, თვალებს არ უჯერებს. მომიჯნავე ჭაჭახის იქითა მხარეს, ვინო შარაგზა გადაუკეტავს ერთმანეთთან მიჯრილ ოთხ მაგიდას, რომლებიც სავესა საქმელ-სანოვაგითა და სასმელით იქვე, ხელმძღვანელს, ლოცხთან დგას ანაფორაში გამოწყობილი მღვდელი მშვიდი სახით. ერთ ხელში ჯვარი უჭირავს, მეორეში — ცხენის სადავე უჭერია. მისგან ახლოს დგას შავ სამოსელში გამოწყობილი, სანდომიანი სახის ქალი სამი პატარა ბავშვით. დაახლოებით ისეთი სიურათია, თითქოს მონატრებულ, საყვარელ სტუმრებს ელოდებიანო...

გონს მოსული პოლკოვნიკი ეკითხება ბოქაულს:

— **Что за розыгрыш?.. Иди, узнай, что они затеяли тут!..**

სოლომონი უხმოდ გაემართა მღვდლისაკენ. რაზმი იარაღშემართული უყურებდა ამ საოცარ სცენას და ელოდა, რა ამბავს მოიტანდა ბოქაული. დაძაბულმა ვითარებაში ათი-თხუთმეტე რუთი გასტანა...

უკან ორნი მობრუნდნენ... სამგინმა ეჭვით შეათვალიერა მღვდელი...

— **Кто он?** — მიმართა ბოქაულს, — **ЧТО он хочет?**

— **Он сельский священник, ваше благородие,** — **Евгений Шенгелая... Он вас приглашает к столу...**

კლიმ სამგინს სახეზე გაოცება გამოეხატა. ევგენი შენგელაია გაოცებულ მეთაურსა და არანაკლებ გაოცებულ მის რაზმს ჯვარი გარდასახა, დალოცა და მშვიდი ხმით პოლკოვნიკს მიმართა:

— **Ваше святельство, Мы понимаем, что наши крестьяне допустили ошибку, грубую ошибку...**

— **Ичтовыхотитесвященнослужитель? Что мы их не наказали?** — და სამგინს სახეზე მოულოდნელად ღიმღმა გადაურბინა...

— **Мы вас к столу просим, ваше святельство, там и поговорим,** — ისეთი მტკიცე ხმით უთხრა მღვდელმა სამგინს, რომ მეთაური შეფიქრანდა.

პოლკოვნიკი ცხენიდან ჩამოქვეითდა. უსაფრთხოების დაცვის მიზნით ჯარისკაცებმა ორივე მხარეს ზარბაზნები განალაგეს და პოზიციები დაიკავეს. ათი ჯარისკაცი სამგინს გვერდში ამოუდგა და ყველანი ნელი ნაბიჯით გამლილი სუფრისაკენ გაემართნენ. არც სოლომონი ჩამორჩენილა მათ...

გაშლილ სუფრასთან პოლკოვნიკს და მის ამაღს თავაზიანად მიესალმა მამა ევგენის მუღღლე, ნორაკიძის ქალი, მერე კი ბავშვები, რომლებიც იქვე დატანტალდნენ, მოაშორა იქაურობას:

მამა ევგენიმ აიღო სიტყვა: — **Ваше сиятельство, убедительно просим вас, не принимайте жестокайших мер против простого населения, они не виноваты, они этого не заслужили...**

ეს სიტყვები ისეთი დამაჯერებლობით წარმოთქვა მამა ევგენიმ, რომ სამგინი ყურადღებით უსმენდა მღვდელს და ხმას ვერ იღებდა.

— **Мы знаем настоящих виновных,** — **агерძელბა ევგენი შენგელაია, — мы намерены выявить их и строго наказать...**

ამ სიტყვებმა სამგინი უკეთესობისაკენ განანყო, სახეზე კმაყოფილება დაეტყო და მამაოს დაეთანხმა...

ჯარისკაცები სუფრასთან ილუქებოდ-

ნენ და საუბარსაც უსმენდნენ. პოლკოვნიკი სულ უფრო რწმუნდებოდა მამა ევგენის განსწავლულობაში. მის დამაჯერებელ აზროვნებას მომწუსხველი ძალა გააჩნდა...

როცა შეიტყვეს, რომ მამა ევგენი წინამძღვარია ერთ-ერთი მთავარი ტაძრის, იმ ტაძართა შორის, რომლებიც სოფლის სხვადასხვა უბნებში მდებარეობს, და სადაც ასევენი მთავარანგელოზთა სალოცავი ხატი, მის მიმართ ერთგვარი მოწინებაც კი გამოხატეს...

მთავარი მიზანი მიღწეულია! — გრძნობდა მამაო, — და ეს მიზანი იყო მათი გულის მოგება, იმ რისხვისა და სიძულვილის ჩაქრობა, რომელიც ყველას და ყველავერს ნალექვით ეშუქებოდა...

შემდეგ საქართველო-რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიათა ზოგიერთ საკითხებსაც შეეხნენ...

ერთ საათში ზუგდიდიდან გზავნილი მოვიდა. პოლკოვნიკს ალიხანოვა-ავარსკი ატყობინება, რომ მთავარი მისია შესრულებული იყო და იმავე ნიფის გვირაბით ბრუნდებოდა უკან, ტოვებდა საქართველოს. საქმე იმაში იყო, რომ თვალის ასახვევად თითქოს რევოლუციონერთა დევნა-შევიწროება შეწყდა, ციხიდან გაუშვეს ზოგიერთი პოლიტპატიმარი, თითქოს გაძლიერდა მათ მიმართ შემრიგებლობა, ვითომდა პატიება და ა. შ. სინამდვილეში კი ეს იყო რევოლუციონერთა ადგილსამყოფელის დადგენის ტაქტიკური ღონისძიებანი.

როგორც ცნობილია, ახალგაზრდა ლეო შენგელაიაც აპყვა ამ ცთუნებას და მისის თვეში დიდად მონატრებულ დედას დაუბრუნდა. რადგან მიხვდა არ შესხედრიოა, იგი მართლაც დარწმუნდა, რომ ყველაფერი თითქოს წარსულს ჩაბარდა. მაგრამ 1906 წლის 6 აგვისტოს ლეო შენგელაია დაპატიმრეს ზუგდიდში და თანამოაზრეებთან ერთად აგვისტოს ბოლო რიცხვებში დახურული დილიჟანით ზუგდიდიდან ქუთაისის საგუბერნიო ციხეში გადაიყვანეს...

... მზე, რომელიც სუსტად ათბობდა იქაურობას, დასავლეთისკენ გადახრილიყო. მასპინძლობით კმაყოფილი მხიარული სამხედროები სუფრიდან ნამოიშალნენ...

— **По коням!** — გასცა განკარგულება კლიმ სამგინმა. ყველანი ამხედრდნენ ცხენებზე. ევგენი შენგელაიამ პოლკოვნიკს სიტყვა ჩამოართვა, რომ ობუჯელთა სახლებს არ გაძარცვავდნენ და ცეცხლს არ ნაუკიდებდნენ. მამაო გამოთქვა სურვილი, რომ მათ სოფლის ბოლომდე მიაცილებოდა. მამა ევგენი, საკუთარ ცხენზე შემჯდარი, გვერდით მოჰყვებოდა პოლკოვნიკს, რომლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან სიტყვა არ გატეხა, ჯარისკაცებს არ მისცა სახლებში შეჭრისა და ანიოკების უფლება!..

... მათ გადალახეს მდინარე სქურდილა და სასონგულის უბანი გაიარეს, ინტერესით უმზერდნენ მოსახლეთა ღარიბულ, თუმცა კოსტარ დოვლის, კარმიდამოებს...

სოფლის საზღვართან გამომშვიდობებისას მამა ევგენიმ კიდევ ერთხელ დალოცა ყველანი და მშვიდობით გაისტუმრა...

უკან მობრუნებულს, თოფის გავარდნის ხმა, დაახლოებით მდინარის ნაპირთან მოახლოებულს, მოესმა...

— უფალო, ისხენ სოფელი წალენჯიხაც აოხრებისაგან! — ჩუმიდ თქვა მამაო და ცხენი ააჩქარა...

... ჩამავალი, ობუჯის სევდიანი მზე სოფლის გორაკებიდან თითქოს მადლობის სხივებად იღვრებოდა გზად მომავალი მამა ევგენის წინაშე, რომელმაც არც ძალისხმევა, აზროვნება თუ გონიერება არ დაიშურა მშობლიური სოფლის, მისი მშრომელი მოსახლეობის გადამთიელთა თარეშისგან გადასარჩენად!..

— უფალო, მამა ევგენის უკვდავ სულს დაუმკვიდრე ნათელი ზეციურ საქართველოში! ამინ!..


ჯერჯერობით მხოლოდ ის დავაზუსტეთ, რომ რუსეთის დედაქალაქ მოსკოვიდან 60 კილომეტრზე მდებარე სერგი რადონეჟელის ლავრის ბიბლიოთეკაში ინახება რუსი ბერების ხელნაწერები, რომლებშიც მოთხრობილია მათი შთაბეჭდილებანი სამეგრელოში მოგზაურობის შესახებ და მათ შორის საინტერესო ინფორმაცია ობუჯზე, მის ღრმადმორწმუნე მოსახლეობაზე და იმ 12 ეკლესია-სამლოცველოებზე, დიდების ძეგლებად წამომართულნი რომ იყვნენ სოფელში!..

იმედს არ ვკარგავთ, რომ უფლის მეოხებით ამ საინტერესო ინფორმაციასაც მოვიპოვებთ!..

ვალერი ძაძამია, ობუჯი. თებერვალი-მარტი, 2016 წელი.

პოეზია

რინოს კვარაცხელია



რინოს კვარაცხელია ლაკადური ღირსებაში კოჩი რდ. ოხორანდ ნალენჯიხაში რაიონიში ოფუტე ნაკიფუს. ულუდ სქვამი ოზე-კარი, მუშ ხეთ დონადგინა ღვინი, შურიში მუშაფერაფალი ლერსეფი დო მუთ მთავარი რენი, საქორთუოში სოროფა.

ციკლიმე — „ლაკადური“

კოჩანა
ეჩიდოვითი ვარჩხილიშა
ართგან შურც გემოჩანა
კოჩიშ სახელი ბრელც ჯოხო, —
ჭიჭეს ულუ კოჩანა.

ართმანგი რენო ცა დო რობუ,
ვარა სუფთა გური დო ჩონჩი,
კოჩიშ სახელც მუკოტყოზუ
მუზმა უკოჩობაშ კოჩი.

ართგან ფერს ითირანც
მუჟამც ფუჩხას ქოჩანა;
კოჩანა რე ღურა დლაშა
ასქელადირი კოჩანა.

ღერსის უმარგ ჩქიმი შური

სინწარე დო გურიში ჭუა
ნამთინი ვამორინუნანც;
ღურას ქიმოდირთქენი, —
ღერსი მუკმორთინუნანც...
ღუმე შური ეშობოდგ,
ტანც დაჩხერი გუმორზდ,
მუჟმაჯინე ჩქიმდა მი რდ, —
ღერსი მინჯეთ ალაშირდ.

ჭყონი

სი ქვალე ჩქიმი ჭყონი,
სქანი ოჭიშის ქემკუაპონი,
იმენდოში შარა ბგორი,
ჯვეშის ახალი ქიგუოცონი.
მუზმაშა რექ გენარგინჯა, —
იმენი ხარენც სქანი ნაჯინჯა.
ჩქიმი მენდი რექ, ჩქიმი ოჭმარე,
ენა მუ უჩქ შვხა დო შვხას;
სქანი ოსხუნური მითინი ვარე,
ჩქიმი ცა დო დიხა შქას.

ქიანა ვერგ უმინჯური

ჩქნერი მისი ულუ ზღვა
დო გვალა,
თიში მინჯეთ ვებრეთ ვარა,
მეზობელც დო მეშარეს,
არძოს ოკო მიდალალა.
თეში გურმოჭვე ამდლა მირე, —
მუზმა მიდალალირრე.
მინი თურქიში რე, მინი —
რუსიში,
მინი თათარი დო სომეხიში.
ვართი დინახალე, ვართი გალე, —

ჩქინი მინჯე მითინი ვარე.
მუჭოთ ჩქიქე უძუძურო, —
ქიანა ვერგ უმინჯური.
აიშა მოფრთით მინჯალათ,
ართი გური დო პიჯალათ,
მარა ამდლა ჩიჩიეცალო, —
ჩქე გინიფრთით გაძიცალო,
მუშ დიხას დო მუში წყარც
შვხა მი ირძენც ჩქენიცალო.
ნტერც ნამთინც ვავორჩთ,
ართიანცე პილნთ ვარა,
მიდალალირი ჩიჭე ვარე,
ჭუმე მეტის მიდამლანა,
ჩქენ დუცუ ვოცილთ ძალო,
კინ ჩქინი გურიში გასოფალო,
გალენი ნტერიში მანგიორო
გეგნოგებეს სამარგალო.
თეზმა მუშენი ვაუჩქუნა,
ნერჩის მუშენი ოჩხუშუნა,
შვხა ვორეთო გაჯინალო,
ართი ვარენო საჯინალო,
იბჩიებუთ ხმამადალო:
საქორთუო ვადინ გვალო,
ოდო ქიცი სამარგალო.

ჯინჯი

იფრელც უღუ მუში ჯინჯი,
მუთუნი ვერგ უჯინჯეთ,
შური მუთრე გარზებული,
თიზმა ფსოფით, ურგინჯეთ.
მაზაკვალში ზუკოლით,
კინ ჩქინ დუცუ მუ ბლოლით, —
ჩქინ ოხვამე, ჩქინი ხატი
ჩქინ ხეთ აკოფუფჩხოლით.
ჯგვრობუა სოლე მიშ
თიჯგუა ნერჩი დუორცხით,
ჩქინი გურიში ზისხირით
ჩქინი ნტერეფი დუორძლით,
შვხაში ჩხუპის გემობრძვით,
ჩქინი ჩხუპის დემაბრცხით...
მუ გვიანო გობკურცხით...
მუჭო გინძას დიბრულეთ,
ანნი ვარა მიჩქედანი,
მუ ბქიმინათ, სო იბდათ,
შურით ოკო ვადუნთხათ,
ჯინჯის ოკო დუართათ,
ჩქინი ჭირი ვაფუბლათ,
ნტერი დუასაფულათ.

ქემიჭიშე გოთანაფა

სქანი ცა რე მუნაფილი,
გური მაფუ წყუნაფილი,
ირი დლა დო ირი სერი
ნარლის გინოყუნაფილი.

სი რექ ჩქიმი შურიში დგემა,
სქანი ლახალას მა იბგენა,
სქანი უმუშო ვორდენი თიშა
ღურა მისხუნუ მა სქანცკმა.

ჩქიმი დიდა რექ, ჩქიმი მუმა,
ბაბუში ყებურიში კუმა,
ჭიჭანობას ტუტამი ჭკვდი
თაქი მაფუ ეკნაჭკუმა.

ამდლა გური ჭვილი გაფუ,
მუ ბქიმინა, მუ გერსაფა,
ირი სერი ვეყუაფუ,
ქემიჭიშე გოთანაფა.

სი რექ ჩქიმი შურიში დგემა,
სქანი ჭუას მა იბგენა,
სქანი უმუშო დორინაშა, —
ღურა მისხუნუ მა სქანცკმა.

ღეჯმა სინდისი ვამითხუე

ჯგვირო გეშალობი ცვანა,
ღეც ღეჯობა ვაგუდღანა,
ტყურა იყი მუდგა თქუე, —
ღეჯმა სინდისი ვემითხუე.
მუზმას ჩირთე ართგან კათა,
ღეც ვახვადე გოჯოგაფა.
ღეჯი ვაბჯოგე, მა ბჯოგ
რძღელი, —
კოჩი ღეჯო გინორთელი.

სამარგალო

ჯვეშო უმოსი ქორდი მარა
ასე ჭიჭეთ იძირექ,
თენა ირკოც ვაუჩქ ვარა,
საქორთუოში ჯინჯი რექ.
ვამიჩქ კილც მუს გარზენა,
მის მიოჩქე შვხაში თურო,
სამარგალო ვაკონი თისე
ქოუსორცო საქორთუო?
ნტერიში ოცილარი ტყვიათ
სქანი გურც მუშენ ჭყოლგნდეს,
მოლაღატეთ ორწყენანო
ქუჯის, ცოტნეს, ჭყონდიდელც?
ნტერი-მოჯგირეში ჩინებაში
მუშენი ვაულე ართგანც ჭკუა;
ანნი მუთრე ისქილიდე
გორგინჯილო გურიშ ჭყა.
ვამიჩქ კილც მუს გარზენა,
მის მიოჩქე შვხაში თურო,
სამარგალო ვაკონი თის
მუჭო უსორც საქორთუო?

ჩე დო უჩაში ჩინებას
ბრელი კოჩი რე ღორებული,
თიშენი რე ჩქინი რინა
თენერი გაჯოლორებული.

უმენტაშის ასე ქუჩქე,
მუთუნი ვარე სახილო,
ემშაკიქე ვაგმოდირთე
ღორონთიში მანგიორო

ენა ართგანც ქოუჩქედ
მისთ დუდი გედგდენი,
ღორონთიში საგამათე
მუჭო ეშაკი ვერგდენი.

მიჩქდანი, ღორებულო
დლას ვაბძირგენთ შარა-კარც,
ღორონთიში მანგიორო
ვეკვათხოზათ მაზაკვალც.

თეში ინგარც სქანი გური, —
ზღვას აკათუ ჩილამური.
სქანი რინა წვალეა რე, —
იმენი ნტერიში წვარება რე.
ჭყოლირი გურიში მენამალე, —
თე ქიანას მითინი ვარე.

გურცე დინახალე,
გურცე გალე, —
სერც ორკინც ხვათახალე.
თეში ინგარც სქანი გური, —
ზღვას აკათუ ჩილამური.

კოჩი უჩონჩხე, უგურე,
თელო ღურელც უგურე,
მუს მუთუნი ვეშულე,
შვხაში იმენდის მუკურე.
კოჩი უჩონჩხე, უგურე
თელო ღურელც უგურე.

ჩიჩიე დო შური კუნტა,
კოჩ ვაბზანც ჩაჩამუტა,
თე ქიანას ვადინტირე
ჭიჭე ფსუაქ ქაჩანუდა.
ჩქინ მუკ-მუკი მუზმა ქორე,
შურკუნტა დო უონჯლორე.
მა თეჯგუა ბრელი ბიირი
მისგთი ცვილგნც შვხაში ჯგირი.
ჩიჩიე დო შური კუნტა,
კოჩ ვაბზანც ჩაჩამუტა.

თეს გურჩამა ვაკო ბრელი
ნამუთი უმენტაშის ჯერც,
შქირენული უჯგუ გერი, —
ჯოლორც, დოკირილო რძღელც.

ნტერც ეჩხუპი, ქიქომოლი,
დუდ ვადოდვა, ქიმინდომი,
ჭიჭე შვი დო ჭიჭე ჭკომი, —
ოლონც ვარდა შვხაში ჭკორი.

კოჩიშ რინა თე ქიანას
მუკე-მუკე რთაფა რე,
მულა ვალიში გედვალა რე,
ულა — ვალიში გაფა რე.

მუდგა დროქ მუკორთასნე,
დლა დო სერი ვაგეთებუ:
შურიში ნტებას მუთხილე დო
ღურა სოთინი ვაგენტებუ.

გულიკო ხარჩილას

კოჩანიერი კოჩი რექ,
ჩქენი კუნთხუმი სასახელო;
შვხაში ქიანას ხანდულენქ
სქანი ქიანაში სარგებელო.

დიდი ცუდეთ დო ქონებათ
მითინქ დუდი ვენონუა,
ქუას ვარ, კოჩანას
ოკო ჯგვრო ენონუა.

უჯოლორე ქიანას...

ემშაკი დო მაზაკვალი
ართიანც ულაყაფუნა,
ანთასი ტყურას ქოთქუნა,
თოლც ვაკუფაფუნა,
თე ქიანას შქერენც, ცუმენც,
ღურუს აშუკათუნა,
იზირა დო იძიცანა,
ნამთინი ვაუფარუნა,
უჯოლორე ქიანას
კატუს ოლალაფუნა.
ჯოლორემქ სო იდესნი,
ეს იშენი ვათქუნა,
მუში ქიანაში მოკოროფეს
დუცე დაყვილაფუნა.
ჭიე-ჭიეთ დიხას, წყარც
ირფელც დამითხინუნა.
ნტერიში ოკოთამალი ტყვიას
აშო მუკომრთინუნა.
ირო ტყურას ფუშქინა,
მართალც ვაუკათუნა,
ემშაკი დო მაზაკვალი
ართიანც ულაყაფუნა, —
უჯოლორე ქიანას
კატუს ოლალაფუნა.

ჭეშმარიტი კეღამობი



სუხომლინსკი ნერდა: „მას-
წავლებელი უნდა ფლობდეს
ადამიანთმოყვარეობას, თავი-
სი შრომისადმი დაუმრეტელი
სიყვარულის ტალანტს, რათა
მრავალ წელს შეინარჩუნოს სუ-
ლის მხნეობა, ნათელი გრძნობა,
მგრძნობიარე გული...“

ეს სიტყვები სრულიად ესადა-
გება ობუჯელ პედაგოგს — ვაჟა
პაჭუს ძე შენგელაიას, რომელსაც
ამ დღეებში 81 წელი შეუსრულ-
და!

ვაჟა შენგელაია დაიბადა 1935
წლის 2 მარტს ნალენჯიხის რაი-
ონის სოფელ ობუჯში. 1942 წელს
შევიდა ობუჯის საშუალო სკო-
ლაში, რომელიც 1954 წელს დაამ-
თავრა ვერცხლის მედალზე.

ნიჭიერი ახალგაზრდა იმავე
წელს ირიცხება სოხუმის პედა-
გოგიური ინსტიტუტის ისტო-
რიის ფაკულტეტზე (რუსული
სექტორი), რომელიც 1959 წელს
დაამთავრა და იწყებს მუშაობას
ჯვარის 7-წლიან სკოლაში რუ-
სული ენისა და ლიტერატურის
მასწავლებლად. 11-წლიანი მუშა-
ობის შემდეგ გადაიყვანეს საკა-
ლანდიოს 8-წლიან სკოლაში ენი-
სა და ლიტერატურის მასწავლებ-
ლად, სადაც ასევე ასწავლიდა ის-
ტორიას. საკალანდიოს სკოლაში
ვაჟა შენგელაიამ 1970-დან 1986
წლამდე ნაყოფიერად იმუშავა.

1986 წელს დაინიშნა სამეს-
ხიოს არასრული საშუალო სკო-
ლის დირექტორად, სადაც 2008
წლამდე იმუშავა, შემდეგ გავიდა
პენსიაზე.

აი, ასე მშრალად იკითხება
ბატონი ვაჟა ბიოგრაფია, მაგ-
რამ ამ ბიოგრაფიის უკან დგას
პიროვნება, რომელმაც დამსა-
ხურებისამებრ ზღვა სიყვარუ-
ლი, ავტორიტეტი და დაფასება
მოიძიკა.

თანამდებობა ბატონი ვაჟა-
სათვის თვითმიზანი არასოდეს
ყოფილა. იგი ყოველთვის ცდი-
ლობდა კეთილი საქმე ეკეთებინა,
იყო სიახლეთა დანერგვის ინი-
ციატორი, ნებისმიერ სასიკეთო
საქმეს ჭაბუკური შემართებით
უდგებოდა, კოლექტივებში დიდი
ავტორიტეტით სარგებლობდა.

ბატონი ვაჟა დიდებული ოჯა-
ხის წინამძღოლია. ჰყავს კარგი
მეუღლე, შვილები და შვილიშ-
ვილები; ვაჟიშვილი გურამი და
ქალიშვილი მაკა, რომელიც საკა-
ლანდიოს საჯარო სკოლის დან-
ყებითი კლასების წარმატებული
მასწავლებელია.

საზოგადოების ღირსეულ
წერს, ჭეშმარიტ პედაგოგს ვუ-
ლოცავთ დაბადების დღეს, ვუ-
სურვებთ მტკიცე ჯანმრთელო-
ბას, ბედნიერებასა და დიდი ხნის
სიცოცხლეს საყვარელი ოჯახისა
და ქვეყნის საკეთილდღეოდ!

ვალერი ძაძამია

საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული პატრიოტები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ნოჯიხური“ № 29,31, 32, 33, 34, 35).

ნეტარია მისი ხსენება, ვინც მამულს შეენირა... საქართველო არ დაივინყებს თავისი სასიქადულო შვილების ღვანლს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. 1993 წ. 7 ივნისი



ტენგიზ გონელის ძე კეზუა — დაიბადა 1974 წლის 11 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათში. იყო სამართლიანი, გულკეთილი, თავაზიანი. მას ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეეძლო. სწორედ ამ სულისკვეთებით შევიდა ეროვნულ გვარდიაში, ამ დღეს ყველაზე ბედნიერ დღედ თვლიდა თავის სიცოცხლეში. 1992 წლის 10 ნოემბერს თავის თანამებრძოლებთან ერთად მუხანათურად მოკლეს ხუნტისტებმა ზუგდიდში.



ალექსანდრე (საშა) სამსონის ძე კვარაცხელია — დაიბადა 1944 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში. 1993 წლის აგვისტოში, როცა აფხაზეთს დაკარგვის საშიშროება დაემუქრა, საშამ მიმართა ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობას... იბრძოდა ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინდლთან. 1993 წლის 2 ნოემბერს სენაკის მისადგომებთან გამართულ ბრძოლაში საშა იმსხვერპლა დაქირავებული რუსი ჯარისკაცის ტყვიამ...



ჯენერ (ვახტანგ) კეზუა — დაიბადა 1951 წლის 9 თებერვალს ზუგდიდში. ეროვნულ მოძრაობაში ჩაება 1988 წელს. იყო ეროვნული გვარდიის წევრი. იბრძოდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის. დაიღუპა 1993 წლის 5 ოქტომბერს მალთაყვასთან, „მხედრონის“ ძალებთან შეტაკებისას.



სოსო ველოდის ძე ლემონჯარია — დაიბადა 1972 წლის 2 ივლისს ზუგდიდში. 1990 წელს ჩაირიცხა ლენინგრადის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. სამშობლოზე შეყვარებული ვეჯაკი 1992 წელს უშიშრად ჩაადგა კანონიერი ხელისუფლების დამცველთა რიგებში. დაიღუპა 1993 წლის 20 ოქტომბერს ხონში. მისი უგზო-უკვლოდ დაკარგული, ნაწამები ცხედარი ორი თვის შემდეგ იქნა ნაპოვნი წყალტუბოს ტერიტორიაზე. დარჩა მეუღლე და ორი შვილი.



სიმონ (გია) შოთას ძე კინწურაშვილი — დაიბადა 1957 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ოქტომბერში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1991 წლიდან სოფელ ოქტომბერის საშუალო სკოლის დირექტორი იყო. 1989 წელს აქტიურად ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. 1992 წელს „უცნობმა“ პირებმა სიმონ კინწურაშვილი ავტომანქანაში ჩაცხრილეს მეგობრებთან ერთად.



ტენგიზ გივის ძე ლოგუა — დაიბადა 1959 წლის 26 თებერვალს ზუგდიდში. სწავლობდა ზუგდიდის პოლიტექნიკურ ტექნიკუმში ეროვნულ გვარდიაში 1992 წელს ჩაირიცხა. იცავდა საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას და მის პირველ პრეზიდენტს. დაიღუპა 1993 წლის 5 ოქტომბერს „მხედრონთან“ შეტაკებისას ფოთში. დარჩა მეუღლე და სამი შვილი.




რომან პალიკოს ძე კორკელია — დაიბადა 1967 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში. ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბების დღიდან მის რიგებში ირიცხებოდა. იბრძოდა სამაჩაბლოში. თბილისში კრიმინალთა თარეშის დღეებში პრეზიდენტს იცავდა. თბილისის ზღვაზე მოღალატე კიტოვანის გვარდიელებმა შეიპყრეს, სასტიკად აწამეს, მაგრამ მაინც შეძლო პუტჩისტებს გამოქცეოდა. დაიღუპა ზუგდიდში 1992 წლის 28 იანვარს, ხუნტისტთა მიერ ზუგდიდის პირველად დალაშქერის უამს.



ზვიჩა ვახტანგის ძე მანდარია — დაიბადა 1972 წლის 5 იანვარს ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშიში. 1989 წელს, აფხაზეთის ტრაგიკული მოვლენების დროს აქტიურად ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. იცავდა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, კანონიერებას და პირველ პრეზიდენტს. 1992 წლის 1 ოქტომბერს „მხედრონელებმა“ ზვიჩა მანდარია მხეცურად მოკლეს.



ტენგიზ ნოდარის ძე კუტალია — დაიბადა 1968 წლის 22 აპრილს ზუგდიდში. პუტჩის შემდეგ მოხალისედ შედის ეროვნულ გვარდიაში. სამეგრელოში „მხედრონის“ პირველად შემოჭრის დროს ფოთის მისადგომებს იცავდა ბანდიტებისაგან. 1992 წლის ოქტომბერში ტყვედ ჩაუვარდა „მხედრონელებს“. გაუგონარი სისასტიკით აწამეს, თვალები დასთხარეს, 28 ტყვიით სხეული დაუცხრილეს... ოჯახი არ შეუქმნია.



თეიმურაზ გურამის ძე მესხია — დაიბადა 1963 წლის 21 ივნისს ზუგდიდში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა გამომძიებლად თბილისში, საბურთალოს რაიონში. იყო კანონიერი პრეზიდენტის აქტიური მხარდამჭერი. 1992 წლის 20 თებერვალს სახლიდან გასულს საკუთარ ავტომანქანასთან თავდასხმა მოუწყვეს და სიცოცხლე მოუსწრაფეს ხუნტისტებმა...

სრულიად საქართველოს მოძრაობა „ხსოვნა“ (თავმჯდომარე მადონა მაქაცარია), საქართველოს ეროვნული გვარდიის ზუგდიდის ვეტერანთა კავშირი „ოდიში“ (თავმჯდომარე გიგლა ჭედია).
რედაქცია მადლობას უხდის მათ მასალების მოწოდებისათვის.

(გაგრძელება იქნება)

იუბილე

რა მალე მოსულა 55...



მართლაც წუთია ადამიანის ცხოვრება ამ წუთისოფელში. წლები მიქრინდა და აი, ორმოცდამეათეუთმეტე ზამთარი დამდგარა მარინე ფიფიას ცხოვრებაში.

მარინე დაიბადა 1961 წელს გულმხურვალე ლაკადელი ვაჟკაცის ვაჟა ფიფიას ოჯახში. ხუთი მერცხალი ჟღერტულეობდა დედის, ლია კვარაცხელიას ირგვლივ, როცა ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა მამის ახალგაზრდა სიცოცხლე.

მარინემ წარმატებით დაამთავრა ჯერ ჯგალის საშუალო სკოლა, შემდეგ ასევე წარმატებით დაწესებითი განათლების, მერე კი ფილოლოგიის ფაკულტეტი.

მუშაობდა ჯერ ოქანეს, შემდეგ კი დღემდე ობუჯის საჯარო სკოლებში. ინიციატივით, უდიდესი პასუხისმგებლობით სავსე, შესანიშნავი ფილოლოგი წლების მანძილზე მუშაობდა სკოლის ორგანიზატორად, შემდეგ — დირექტორად. სიახლეების შუაგულში ყოფნა, მონიწივე პოზიციების დაკავება, შრომისმოყვარეობა, სამართლიანობა, პროფესიონალიზმი, კომუნიკაბელურობა, აი, იმ თვისებების მცირე ჩამონათვალი, რაც ახასიათებს სერთიფიცირებულ პედაგოგს და რამაც ადრევე მოაპოვებინა მას პატივისცემა საზოგადოებაში.

მარინე არა მარტო საყვარელი მასწავლებელი და მისაბაძი კოლეგაა, არამედ საიმედო მეუღლე, შესანიშნავი დედა და უსაყვარლესი ბებოც.

მრავალ ზამთარს დასწრებოდე ჩემო ძვირფასო ისე, რომ არ დაგზამთრებოდეს სულში და გაზაფხულის მზის სხივებით იყოს სავსე შენი ცხოვრება.

წლები გარბიან? მერე რა? იქროლონ წლებმა, მთავარია, რომ არ დავბერდეთ სულით ძალუშად, წავიდნენ წლები, დაგვიტოვონ აღიარება, ახალგაზრდობად მაინც ვრჩებით გულით, ძალუშად. მალე მოსულა შემოდგომის თბილი ფერები, თმებში აქა-იქ შეგვპარვია ჭირხლიც ზამთრისა, ერთი ამდენიც, ავივსებით შვილიშვილებით და მათ მოუყვებ ჩვენ, ამბები მთის და ბარისა. წლები მიქრინან? მერე რა? ირბინონ წლებმა, ჯერ ჩვენი ყოფნა ამ თაობას მართლაც სჭირდება მთავარია, რომ ვიყოთ ერთად და გვიხაროდეს ტბილი სიბერე, რომ უკეთეს მერმისს გვპირდება.

საერთოდ მოწესრიგებულ ქალბატონს ერთი დაუდევრობა მაინც ახასიათებს. შესანიშნავი ქართულით მარგალიტებით აწყობილ სტრიქონებს დაუდევრად ფანტავს, მხოლოდ რამდენიმე ლექსის მოძიებალა შეეძელით.

მანანა კაკაჩია

მანანას!

შენ რომ არ მყავდე, მზეს სხივები დააკლდებოდა, ზამთრის სიცივე დააზრობდა სულის იარებს, შენ რომ არ მყავდე, დღე რიჟარაჟზე დაღამდებოდა, არსებობ შენ და ირგვლივ ნაზი სითბო ტრიალებს.

* * *

ისევ ქარია, სევდიანი მუსიკა ისმის და გაძარცვული სხეულიდან ფერფლიდა რჩება, მთელი სამყარო მწუხარების სამოსში იწვის, სიცოცხლის დღენი უღიმღამო ყოფაში კვდება.

საახალწლო სიმღერა

* * *

ეს რა საოცარი დილა გაგვიტენდა, უკვე კარს მოგვადგა წელი ბედნიერი, მეკვლე შემოვიდა, გულით მოგვახარა, დრო დადგება საოცნებო, სანატრელი!..

მისამღერი:

ჰოდა გაიხარეთ, ხალხნო, ჰოდა, იდღეგრძელეთ, ხალხნო, დაგელოცოთ, დაგელოცოთ ფუძე-ჭერი.

ჩვენს ობუჯში თოვლიანი ზამთარია, ძველ სიმღერას კვლავ გუგუნებს ჭანისწყალი, თითო კერა თითო შიოს მარანია, დაილოცოს ჩემი კუთხე საფიცარი.

მისამღერი:

ჰოდა გაიხარეთ, ხალხნო, ჰოდა, იდღეგრძელეთ, ხალხნო, დაგელოცოთ, დაგელოცოთ ფუძე-ჭერი.

ბუხრის პირას მოყოლილი ზღაპარია, თქვენთვისა ვართ ასე გულით ანამდერი, სიყვარულმა თუკი გული გადარია, თქვენ იხარეთ, სხვა არ მინდა არაფერი.

მისამღერი:

ჰოდა გაიხარეთ, ხალხნო, ჰოდა, იდღეგრძელეთ, ხალხნო, დაგელოცოთ, დაგელოცოთ ფუძე-ჭერი.

ბაღში ქარი ქრის, ფოთლები ცვივა, თუმც სიყვარულის ვარდები ვარდობს, ვისაც შევხვდები დადიან წყვილად, მხოლოდ მე ერთი დავდივარ მარტო.

* * *

გაფრენილი სიყვარული დამიბრუნდა, მოფარფატდა უნებურად, ფრთებდალილი, მოკალათდა გულში, იქვე დაიბუდა... „შენ თუ გესმის ჩემი გულის შეძახილი!..“

ო, რად მინდა, გაუხუნდა ფერი ფერებს, გაფრენილ გუნდს კვლავ ჩამორჩა წერო კენტად, პირველ გრძნობას კვლავ ვერავინ ვერ იმღერებს,

გვიანია, ვერ გინამებ გულის ღმერთად... ვით ნაცარში გახვეული ნადვერდალი, ჩუმად იწვის და თავისთვის იფერფლება, კვლავ დაგეძებს, კვლავ გეძახის

გრძნობა მთვრალი, თუმცა, ვიცი, ვერაფერი შეიცვლება...

სსოვნის ნათელი

მტკივა შენი განწყობილი სიცოცხლე...



მონვეულ ტკივილს. უშენოდ სათბურიდან ღია გრუნტზე გადატანილ მცენარეებს ვამსგავსებ თამთას და თეკლეს, უჭირთ უდედობასთან შეგუება, მაგრამ მჯერა არაჩვეულებრივად იყვავილებენ... მიგულე მუდამ მათ გვერდით. განვიცდი უშენობას... მტკივა შენი განწყობილი სიცოცხლე...

დიდი ტკივილითა და მონატრებით ასმათ გახარია.

გაუნაღებელი ტკივილი...

მწარეა ამის თქმა და მძაფრია არსი სიტყვისა — იყავი!..

ულვთო იყო სიკვდილი შენი, კაცურო კაცო, ჩვენი საყვარელი ჯოჯი!.. შენ ხომ ის იშვიათთაგანი იყავი, რომელსაც არ შეეძლო გაეცხარება თუ გაგულისება, ვინმეს აუგად მოხსენიება...

ეს დღეები ტანჯვად გვექცა შენი ამქვეყნიდან მოულოდნელად ნასვლის შემდეგ. ვაი, რა ვუთხრათ ბედის მუხთლობას! განახა, როგორ განიცდიან, იცრემლებიან და იტანჯებიან ყველა ისინი, ვინც შენ გიცნობდა, ვისაც შენ ეიმედებოდი, ვისაც შენი მეობა, ვაჟკაცობა და უღალატობა ლამპარით ენთო წინ... ახლა კი თითოეულ მათგანში სევდა-ვარამი ტრიალებს...

ობლობაში გაზრდილმა ორმოცდაექვსი წელი იცხოვრე მხოლოდ... ადრეული ასაკიდან ნაწვალ-ნაჯაფარმა ვერ მოასწარი, რომ შეგექმნა ნაღდი ქართული ოჯახი, გაგეზარდა შვილები... მუხთალი წუთისოფლის მსხვერპლი გახდი უეცრად... გაუნაღებელია ტკივილი...

ჩვენო ჯოჯი! ერთ რეალობას გავეუსვამ ხაზს მხოლოდ: ამ დაუნდობელმა ჟამმა მრავალი ფასეულობა გადააფსა,



მიდგომებიც შეცვალა, მაგრამ კაცურ-კაცობას და სიკეთეს ვერაფერი დააკლო, რაც პირადად შენც ასე უხვად გქონდა მომადლებული!..

ღმერთმა მარადიულ ნათელში გამყოფოს, ჩვენო ჯოჯი! ამინ!..

ვალერი ძაძამია

საყურადღებო აზრები:

ქართული პირდაპირ განსაცვიფრებელი ფენომენია. ქართული სიმღერა, სასწორზე რომ დადო, ოქროს ზოდივით აინონება, მაგალითად, „მრავალჟამიერი“ მილიონ ტონას აინონის. ავიღოთ თუნდაც გურული ანდა სვანური სიმღერა, ყველა სიმღერას თავისი წონა აქვს, მაგრამ მეგრული სიმღერა მზის სხივსა ჰგავს — საიდანლაც მოდის შორიდან, ძალიან შორიდან... „ნანა“... „ვოი ნანა, დიდავოი ნანა“. ამ სიმღერას ვერ ანონი, ამას წონა არ აქვს, ეს მზის სხივია, საიდანლაც შორიდან მოღწეული...

ნოდარ დუმბაძე

* * *

იმერლები და გურულები გაქართველებულ მეგრელებად უნდა მივიჩნიოთ. ივანე ჯავახიშვილი

* * *

იბერიდა იწყება კოლხეთით. კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე. ლევან სანიკიძე

ნოჯიხური

რედაქტორი — ვალერი ძაძამია

„ნოჯიხურის“ მისამართი:

ნალენჯიხა — ობუჯი. ლეო ქიაჩელის № 37.

ტელ: 591 91-32-89

გამოიცემა 2005 წლის ოქტომბრიდან

ანყობა და დაკაბადონება — თია მიშველია

ტელ: 555 49 22 07; 555 50 40 88